



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სალომე გულიაშვილი

სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა თანაფარდობა პატიმრობის
ინსტიტუტთან

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სერგო ჭელიძე

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

სალომე გულიაშვილი

31.10.2024 წელი

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით განსაზღვრული ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ფუნდამენტური საკითხები. კერძოდ, გაანალიზებულია იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპების - საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, თანაზომიერების, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და პატიმრობის პრინციპები. მათი როლისა და მნიშვნელობის გააზრებით, დღის სინათლეზეა გამოტანილი არასრულწლოვნის უფლებებისა და თავისუფლებების შელუდვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის არსი. იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპების გამოსაკვეთად განხილულ იქნა მათი შინაარსობრივი მხარე და შემდგომ ამისა, მათი თანაფარდობის საკითხი პატიმრობასთან.

კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა სასამართლო პრაქტიკა და მისი საშუალებით გამოიკვეთა პატიმრობის ფორმალური საფუძვლების შინაარსობრივი მხარე და დასაბუთების მნიშვნელობა. აღნიშნული საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების დაცვასთან ერთად, ლოგიკურ ჯაჭვად განხილული საკითხია.

ნაშრომში გამოიკვეთა რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი თეორიული და პრაქტიკული კუთხით. კერძოდ, არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხი, ვინაიდან, საპატიმრო გირაოს თანხის გადახდამდე ბრალდებული ანალოგიურ მდგომარეობაშია, როგორც ბრალდებული, ვის მიმართაც პატიმრობაა გამოყენებული. შესაბამისად, გაანალიზდა ამ ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობა.

საკითხი წარმოჩენილია ორი კუთხით. თავდაპირველად, ნორმა-პრინციპებისა და საპატიმრო გირაოს თანხვედრის კუთხით და ამის შემდეგ, პრაქტიკის ანალიზის გზით გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაო არ უნდა გამოიყენებოდეს, რაც ამგვარადაა დამკვიდრებული პრაქტიკაში, ვინაიდან გირაოს უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი პატიმრობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში უნდა იყოს ინკორპორირებული. იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპთა ანალიზის შედეგად, არასრულწლოვანთა

მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება უნდა იქნეს დაუშვებელი, ვინაიდან ეს არაა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისკენ მიმართული. ამასთან, წინააღმდეგობაშია იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპებთან.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ყურადღებაა გამახვილებული, არის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებამდე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ კოდექსის მიღების მიზანი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებაა.

ინდივიდუალური მიდგომის ამსახველი ინოვაციური დოკუმენტია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, სადაც წარმოჩენილია არასრულწლოვნის საჭიროებები, რაც ხელს უწყობს მის მიმართ რელევანტური გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული დოკუმენტი გადაწყვეტილების მიმღებ პირს აწვდის ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას, რათა ბავშვის რეალურ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის და შესაბამისად, ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალური ქმედითობისათვის, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნები. ვფიქრობ, პატიმრობის შეფარდება განსაკუთრებულად მძიმე კვალს ტოვებს არასრულწლოვანი ბრალდებულის სულიერ განვითარებაზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსებობა აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან სხვა დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნებოდა მოცემული არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, არ არსებობს. პატიმრობის შეფარდებამდე კი გამოძიების ორგანოებსა და სასამართლოს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ არასრულწლოვნის საჭიროებებზე. შესაბამისად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასრულწლოვნის მიმართ საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისას. ამ კუთხით ჩამოყალიბებულია ინოვაციური მიდგომა, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მოდიფიცირება უნდა მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირველი წარდგენის სხდომამდე.

ნაშრომში ჩამოყალიბებული და განვითარებულია მსჯელობა იუვენალურ იუსტიციაში არსებული ნორმა-პრინციპების საშუალებით საკანონმდებლო ხარვეზების დადგენის კუთხით. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული პრინციპთა პრინციპი - საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა იუვენალური იუსტიციის სარკეა, სადაც აირეკლება სამართლებრივი ხარვეზები და გამოიკვეთება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზები.

საბოლოო ჯამში, ნაშრომში პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს: რა მიმართებით უნდა ვეძებოთ თანაზომიერება არასრულწლოვანთა ნორმა-პრინციპებსა და პატიმრობას შორის? რამდენად შესაძლებელია პრინციპის საშუალებით მოწესრიგდეს ხარვეზი? არის თუ არა იუვენალურ იუსტიციაში დაშვებული საპატიმრო გირაოს გამოყენება? შესაძლებელია თუ არა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში გამოყენებული იქნეს არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებამდე?

ნაშრომში განსახილველი საკითხები გაანალიზებულია მყარ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, როგორცაა: ლოგიკური, გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური კვლევის მეთოდები, შედარებით-სამართლებრივი და პრობლემური ანალიზის მეთოდი.

ვეფიქრობ, სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები და ჩამოყალიბებული დასკვნები იუვენალური იუსტიციის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც თეორეტიკოსი, ისე, პრაქტიკოსი იურისტებისათვის. იგი ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, როგორც განვითარების პროცესში მყოფი დარგის, დახვეწას და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას.

Annotation

The present doctoral thesis discusses the fundamental issues of the most severe deterrent measure defined by juvenile justice - imprisonment. In particular, the norm-principles of juvenile justice - the principle of priority of the best interests, the principle of proportionality, the individual approach to minors and the principles of imprisonment as an extreme preventive measure - are analyzed. By understanding their role and importance, the essence of the strictest measure to prevent the encroachment of the rights and freedoms of minors - imprisonment - has been brought to light. In order to outline the norms-principles of juvenile justice, their content was discussed, and then the question of their relationship with imprisonment.

In the process of research, judicial practice against minors was analyzed and through it the content side of the formal grounds and the importance of justification were highlighted. The mentioned issue is considered as a logical chain along with the protection of the principles of juvenile justice, which shows the practice in this regard.

In the paper, several fundamental issues were identified from the theoretical and practical point of view. In particular, the issue of using bail for minors. Since the accused is in a similar situation as the accused before the payment of the prison bail, the feasibility of this institution was analyzed. The issue is presented from two angles. At first, from the point of view of the compatibility of the norms and principles and the prison bail, and then by analyzing the practice, a conclusion is made, according to which the prison bail should not be used for minors, which is regulated in this way by practice. Since the possibility of using detention as a preventive measure for securing bail is a specific power that should be precisely regulated by the Juvenile Justice Code. As a result of the analysis of the norms and principles of juvenile justice, the use of pre-trial bail for minors should be inadmissible, since it is not aimed at the best interests of the minor. Therefore, the continued imprisonment of the minor defendant until the payment of the bail amount cannot be considered legally correct. The practical definition of the legal norm fully fits the reasoning developed above.

The second important issue to be addressed is the use of the individual assessment report as a deterrent measure prior to incarceration. The card explaining the adoption of the Juvenile Justice Code emphasizes that the main essence of the adoption of the Juvenile Justice Code is the primary consideration of the juvenile's best interests and individual approach when making decisions. An innovative document reflecting the individual approach is the individual assessment report, which outlines the minor's special needs, which aims to develop recommended measures to promote the minor's integration into society. The purpose of the individual assessment report is to provide the judge with information about the child's bio-psycho-social needs, it is a document of a recommendatory nature and not of any evidentiary nature. The significance of the psychologist's and social worker's conclusions is important for determining the best interests of the minor and, accordingly, for the actual effectiveness of the principle of individual approach to the child. Imprisonment leaves a particularly heavy burden on the spiritual development of the minor accused. The existence of an individual assessment report should be a necessity, because there is no other document detailing the bio-psycho-social condition of a minor, and because the investigating authorities and the court should have a clear idea of the minor's needs before the imprisonment. In this regard, an innovative approach has been established, according to which the individual assessment report should be modified before the first presentation hearing of a juvenile in conflict with the law.

In the end, the following questions were answered in the paper: in what relation should we look for the balance between the norm-principles of minors and imprisonment? To what extent is it possible to fix the fault through the principle? Is bail allowed in juvenile justice? Can individual assessment reports be used on juveniles prior to detention?

The issues discussed in the paper are analyzed based on solid methodological foundations, such as: logical, grammatical, historical, teleological, systematic research methods, comparative-legal and problem analysis method. In addition, it is innovative to use the legimetric method, by means of which the issues under discussion are discussed in relation to the individual needs of the minor and the state. By considering the policy in unity, which aims to make the most fair decision among the possible decisions.

The issues discussed in the dissertation and the conclusions drawn will play an important role in the development of juvenile justice. The work is interesting for both theorists and practicing lawyers. Juvenile justice, as a field in the process of development, will be an additional scientific work in a way and will further strengthen the protection of the rights of minors.

შინაარსი

შესავალი.....	1
თავი I. პრინციპების როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებული პატიმრობის ინსტიტუტის გამოყენებისას.....	9
1.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებული ნორმა-პრინციპები და პატიმრობა.....	9
1.1.1 საუკეთესო ინტერესების პრინციპის პრიორიტეტულობა და მისი მიმართება პატიმრობის გამოყენების საკითხთან.....	9
1.1.2 თანაზომიერების პრინციპი.....	14
1.1.3 პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება.....	20
1.2 პრინციპი - როგორც საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის საშუალება.....	24
1.2.1 კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზთა შევსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები.....	26
1.2.2 პრინციპი, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის აღმოჩენის მცდელობა.....	30
1.2.3 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა პრინციპის - საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზაზე.....	32
თავი II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრული პატიმრობის საკანონმდებლო კონსტრუქცია.....	36
2.1 პატიმრობის გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი.....	36
2.2 პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძველი.....	38
2.2.1 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელისშემშლის საფრთხე.....	43
2.2.1.1 სასჯელის სიმძიმე.....	43
2.2.1.2 ბრალდებულის საცხოვრებელი გარემო.....	46

2.2.1.3 პატიმრობაში გატარებული დროის ფაქტორი.....	47
2.2.2 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და განადგურების საფრთხე.....	48
2.2.2.1 გამოძიების მიმდინარეობისას მოსაპოვებელ მტკიცებულებათა მდგომარეობა.....	48
2.2.3 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....	50
2.2.3.1 დანაშაულის ბუნება და ხასიათი.....	50
2.3 პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება.....	51
2.4 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხის გადასინჯვა მოსამართლის მიერ.....	53
2.5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე.....	56
თავი III. არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდება გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად.....	61
3.1 საპატიმრო გირაოს არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.....	61
3.2 საპატიმრო გირაოს საკანონმდებლო რეგულირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	69
3.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.....	73
3.4 საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.....	74
თავი IV. ინდივიდუალური შეფასების არსი და მისი მიმართება პატიმრობის გამოყენების საკითხთან.....	77

4.1 ინდივიდუალური შეფასების არსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	82
4.2 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევები.....	84
4.3 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და პატიმრობის გამოყენება?.....	86
4.4 საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება.....	88
დასკვნა.....	96
ბიბლიოგრაფია.....	104

შესავალი

თემის აქტუალურობა. არასრულწლოვნთა მართლმსაჯულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება სისხლისსამართლებრივ ორბიტაში მოხვედრილ არსრულწლოვნებს. სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს მათი სათანადოდ აღზრდისა და რესოციალიზაციისათვის. არასრულწლოვანთა პატიმრობა განსაკუთრებულად სენსიტიური საკითხია იუვენალურ იუსტიციაში, რადგანაც, ესაა მათი უფლებებისა და თავისუფლებების ყველაზე მეტად მზღუდავი საშუალება და ამიტომაც, მისი გამოყენების საფუძვლების, პროცესუალური წესების გაანალიზება, თეორიისა და პრაქტიკის შეჯერება აუცილებელია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები არსებობს და როგორ შეიძლება მათი მოდიფიცირება იმგვარად, რომ ეს, რეალურად, არასრულწლოვნისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას წარმოადგენდეს.

აუცილებელია, მოხდეს სწორად განსაზღვრა, თუ რა არის კარგი და რა საჭიროებს სამართლებრივ დახვეწა/განვითარებას იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოვიდეთ საერთაშორისო კანონმდებლობასთან და იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპებთან, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი საკითხის გაანალიზებისათვის. ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დახვეწის სტადიაშია, ვფიქრობ, განხილული საკითხების აქტუალურობა/პრობლემურობა თვალსაჩინოა და მათი გაანალიზებით, რიგი საკითხების ინოვაციურად წარმოჩენის გზითა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებით, მნიშვნელოვანი ნაშრომი იარსებებს ამ თემებით დაინტერესებული პირებისათვის.

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მონოგრაფიები და სტატიები, ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა მასალები.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების საკითხის თეორიული და პრაქტიკული გაანალიზება, იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპების განსაზღვრა და საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ საკითხებში არსებული ხარვეზების მათი საშუალებით აღმოჩენა-აღმოფხვრა, ყველა იმ ფუნდამენტური საკითხის შესწავლა, რაც არასრულწლოვანთა პატიმრობას შეეხება. ამ მიზნით, ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, ქართული სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

საკვლევი თემის **ჰიპოთეზა** მდგომარეობს შემდეგში: რამდენად შესაბამისობაშია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნორმა-პრინციპები პატიმრობის გამოყენების საკითხთან, არის თუ არა არასრულწლოვანთა პატიმრობასთან დაკავშირებული საკითხები კანონმდებლობის კუთხით გამართული, რა გზები და საშუალებები არსებობს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, რამდენად მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება; ასევე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, როგორც არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების საუკეთესოდ განმსაზღვრელი დოკუმენტის, პატიმრობამდე გამოყენება და პრაქტიკული საკითხების მოდიფიცირება.

აღნიშნული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ

საკვლევი კითხვებს:

1. როგორ შეიძლება დავადგინოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული ნორმა-პრინციპების საშუალებით არასრულწლოვანთა კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები?

2. რა საკითხებთან მიმართებითაა შესაბამისი თუ შეუსაბამო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნორმა-პრინციპები პატიმრობის გამოყენების ინსტიტუტთან?
3. უნდა გამოიყენებოდეს თუ არა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში პატიმრობის საკითხის გადაწყვეტამდე?
4. არის თუ არა სამართლებრივად შეუსაბამო საპატიმრო გირაოს გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ?

შესაბამისად, კვლევის მიზნის მისაღწევად, ფორმულირებულია შემდეგი ამოცანები:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმა-პრინციპების არსის განსაზღვრა საკანონმდებლო ხარვეზების დასადგენად;
- პატიმრობის გამოყენების მიზნების და საფუძვლების დადგენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით;
- პატიმრობასთან დაკავშირებული ინოვაციების წარმოჩენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით;
- საპატიმრო გირაოს, როგორც არასრულწლოვანთა პრინციპებთან შეუსაბამო ინსტიტუტის, თავისებურებების განსაზღვრა;
- პატიმრობის საკითხის გადაწყვეტამდე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, როგორც არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის საუკეთესო გამოხატულების, მნიშვნელობის წარმოჩენა.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნორმა-პრინციპების მიმართება პატიმრობის ინსტიტუტთან; რამდენად ქმედითია საერთაშორისო კანონმდებლობის კუთხით არსებული ინოვაციები ქართულ რეალობაში პრაქტიკის გაანალიზების კუთხით; საპატიმრო გირაოს გამოყენების კუთხით რამდენად მოწესრიგებულია საკანონმდებლო ბაზა, რამაც უნდა შექმნას შემდგომი ბაზისი პრაქტიკაში სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის; ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების მიზანშეწონილობა არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებამდე.

კვლევის ობიექტია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები და მათი თანაფარდობა პატიმრობის გამოყენების მიზნებთან, საფუძვლებთან და ყველა იმ საკითხთან, რაც არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდებამდე კანონმდებლობითაა გათვალისწინებული; ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და მისი გამოყენება პატიმრობის საკითხის გადაწყვეტამდე; საპატიმრო გირაოს, როგორც კანონმდებლის კვალიფიციური დუმილის არსის განსაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.

თემის შესწავლის მდგომარეობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება განვითარების პროცესში არსებული უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელმაც განვითარების რთული გზა განვლო. 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მიხედვით, რიგი გამონაკლისები არსებობდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების თვალსაზრისით. კერძოდ, პატიმრობა არ გამოიყენებოდა დანაშაულებზე, რომელთა სანქციაც არ ითვალისწინებდა 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. პატიმრობის გამოყენება მიზანშეუწონელი იყო მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსულის, ხანდაზმულის (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან) მიმართ, ასევე, პირის მიმართ, რომელსაც ჰყავდა 1 წლამდე ასაკის ბავშვი - თუ მათ ჩაიდინეს დანაშაული გაუფრთხილებლობით ან/და კონკრეტული დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელი არ აღემატებოდა 3 წელს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებული დაარღვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობას.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გაზიარებულია ევროპის ცალკეული ქვეყნების პრაქტიკა, რასაც „რევოლუციური პროექტის“ სახელით მოიხსენიებენ ქართულ სამართლებრივ სივრცეში. ბავშვთა უფლებების დაცვა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია, მათ შორისაა ჩვენი ქვეყანაც; ამ მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯი ამ სფეროსადმი ინსტიტუციონალური მიდგომის ჩამოყალიბებაა.

ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით დაიწყო. მანამდე

არასრულწლოვანთა საკითხები საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მხოლოდ ერთი თავით რეგულირდებოდა. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიღების მიზანი ეროვნული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა. აღნიშნული დარგი განვითარებისა და დახვეწის პროცესშია და ნაშრომში განხილული თემები ინოვაციურადაა წარმოდგენილი, რაც საკითხს მეტ მნიშვნელობასა და აქტუალობას სძენს.

კვლევის დროს გაანალიზებული და შესწავლილ იქნა შემდეგი შრომები:

- მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2016;
- მაია კვაჭაძე (რედ.), აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, 2020;
- გიორგი გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015;
- ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2018;
- ფეოდორ ლიჩი, სევა ლევის-ენტონი, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი), 2009;
- შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009;
- მარიამ ბობოხიძე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, 2020;
- ირინე იმერლიშვილი, არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა. ადამიანის უფლებათა დაცვა, 2017;
- თამარ მახაროზიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2016;

- ნანა მჭედლიძე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. 2017 წლის იანვარი;
- მინდია უგრეხელიძე, სამართალი, როგორც განზომილებითი, 2016.
- სოფო კილაძე, პაატა ტურავა, ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები. 2021;
- Uchenna Emelonye, Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria, 2014;
- Rachel Taylor, Putting children first? Children’s Interests as a primary Consideration in Public Law, child and family law quarterly, 2016;
- European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the protection of children’s Rights, 2014;
- Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2011;
- Asgeir Falch-Eriksen and Elisabeth Backe-Hansen, Human Rights In Child Protection, Implications for professional practice and Policy, 2018;
- Council Of Europe, Handbook on European law relating to the rights of the child, 2022;
- Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member states on the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures;
- European Court of Human Rights, Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, right to liberty and security, 2022.

იუვენალურ იუსტიციაში ერთ-ერთი სენსიტიური საკითხია პატიმრობა. ყველა სახელმწიფოებრივმა ინსტიტუტმა, რომელსაც შეხება უწევს ამ პროცესთან, უნდა გაითვალისწინოს, რომ არასრულწლოვანი ჩამოყალიბებისა და განვითარების სტადიაში მყოფი პირია, რომლისთვისაც მასზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება უპირველესია. იგი მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის მიმართ და ამიტომაც, სახელმწიფო ორგანოებმა/პირებმა პოზიტიური როლი უნდა ითამაშონ

სისხლის სამართლის ორბიტაში მოხვედრილი არასრულწლოვანი პირების ხელახალი აღზრდისა და რესოციალიზაციის მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და იგი თანხვედრაში უნდა იყოს არასრულწლოვნის პიროვნების საჭიროებებსა და ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან. ამასთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, რითაც ყველაზე მეტადაა შესაძლებელი არასრულწლოვნის აღზრდა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები დაინტერესებულ პირთათვის თეორიულად საინტერესო და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება. საკვლევ თემაში მოყვანილი საკითხები საკმაოდ აქტუალურია თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის კუთხით. ამასთან, არ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით საკვლევ თემის ირგვლივ რაიმე ერთიანი ნაშრომი, რის გამოც მისი მნიშვნელობა დიდია.

კვლევის მეთოდები. მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, გამოყენებულ იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდი. კერძოდ: ლოგიკური, გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური კვლევის მეთოდები, შედარებით-სამართლებრივი და პრობლემური ანალიზის მეთოდი. თვისებრივი კვლევისას გამოყენებულ იქნა შინაარსის ანალიზი (კონტენტ ანალიზი).

კვლევის საკითხების თემატიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდები საკმაოდ ეფექტურია, რადგან ტექსტების და ინფორმაციის შემცირება, ანალიზი, შეჯამება დამეხმარა ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებასა და წარმოდგენაში.

კვლევაში წარმოდგენილი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება დამეხმარა შესასწავლი საკითხის მრავალფეროვნად წარმოჩენაში, რათა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებამ, არამედ, ზოგადად, თემით დაინტერესებულმა მკითხველმაც, შეძლოს მათი გაგება და სწორად აღქმა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. კვლევის სამეცნიერო სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნება მონოგრაფიული ნაშრომი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნორმა-პრინციპების პატიმრობასთან თანაფარდობის კუთხით, რომელშიც, შიდა კანონმდებლობის გარდა, გაანალიზებული იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა. ამასთან, ჩამოყალიბებული იქნება რეკომენდაციები და ინოვაციური სამეცნიერო თუ პრაქტიკული მიდგომები, რომლებიც, ვფიქრობ, ამ დარგის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ოცდაოთხი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ყოველი მათგანი შინაარსობრივად ერთმანეთთან სტრუქტურულად დაკავშირებული უწყვეტი ჯაჭვია.

თავი I. პრინციპების როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებული პატიმრობის ინსტიტუტის გამოყენებისას

1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირებული ნორმა-პრინციპები და პატიმრობა

1.1.1 საუკეთესო ინტერესების პრინციპის პრიორიტეტულობა და მისი მიმართება პატიმრობის გამოყენების საკითხთან

„Children are not the people of tomorrow, but are people of today. They have a right to be taken seriously, and to be treated with tenderness and respect. They should be allowed to grow into whoever they were meant to be – the unknown person inside each of them is our hope for the future“.*

ყველაზე მთავარი პრინციპი და ინოვაცია, რომელიც 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ განისაზღვრა არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, რომლის მთავარი არსი არის ის, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორბიტაში მოხვედრილ არასრულწლოვანს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე თავისი საჭიროებისდა მიხედვით უნდა მოეპყრან.¹

იგი პრინციპთა პრინციპია, ამასთან, წარმოადგენს უფლებასაც და საპროცესო ნორმასაც.² იგი არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელი პრინციპი და ამასთანავე, მიზანია, რათა სათანადოდ დაცულ და განხორციელებულ იქნეს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში,³ მათ შორის, რა თქმა უნდა,

* *Janusz Korczak*, Lecture by Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights Council of Europe, „The principle of the best interests of the child – What it means and what it demands from adults“, CommDH/Speech (2008) 10, (Strasbourg, 30 May 2008): <<https://rm.coe.int/16806da95d>> (08.07.2023).

¹ მარი ქუთათელაძე, „განრიდება, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით“, მართლმსაჯულება და კანონი, № 4(52) (2016): 112.

² ხატია შეყილაძე, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“, სამართლის ჟურნალი, №2 (2016): 286.

³ იოსებ ვარძელაშვილი, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1 (2017): 72.

ადკვეთის ღონისძიების საკითხის კონცეპტუალური გააზრების გზაზე. მით უფრო, როდესაც საუბარია ყველაზე მკაცრ ადკვეთის ღონისძიებაზე - პატიმრობაზე.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის „უპირველეს ყოვლისა“ გათვალისწინება გულისხმობს, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმების ამ პრინციპთან შესაბამისობას, ასევე, ყველა იმ ორგანოსა და პირის მიერ მის გათვალისწინებას, ვისაც რაიმე ფორმით შეხება აქვს იუვენალურ იუსტიციასთან. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა კანონმდებლობისა და პოლიტიკის განსაზღვრის მთავარი იარაღია.⁴

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გათვალისწინება კანონმდებლობაში აუცილებელია. ამასთან, ბავშვის უფლებათა კონვენციასთან საქართველოს მიერთება დამატებით ბოჭავს ეროვნულ კანონმდებლობას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის „უპირველეს ყოვლისა“ გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიყენოს, რათა მხედველობაში იქნას მიღებული დაინტერესებული მხარეების ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები, განსაკუთრებით - ბავშვის საუკეთესო ინტერესები; აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანსა და მისი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია აჭარბებდეს სხვათა ინტერესებსაც კი“.⁵

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის აუცილებელია მყარი სამართლებრივი გარანტიების შექმნა და მათ მიმართ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პროცედურების უკიდურესი საშუალების სახით ე.წ. *ultima ratio*-დ გამოყენება.⁶

⁴ Lecture by Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights Council of Europe, „The principle of the best interests of the child – What it means and what it demands from adults“, CommDH/Speech (2008) 10, (Strasbourg, 30 May 2008): 3. <<https://rm.coe.int/16806da95d>> (08.07.2023).

⁵ ECtCH. Case of N.Ts. and others v. Georgia (Application no. 71776/12) 2 February 2016. §71.

⁶ Uchenna Emelonye, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“ (Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014), 78. <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

1959 წლის დეკლარაცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც ასახულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის თაობაზე. საერთაშორისო დონის დოკუმენტებში ასახულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორცაა:

1. 1924 წლის „ჟენევის დეკლარაცია ბავშვთა უფლებების შესახებ“;
2. 1966 წლის „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა“ საერთაშორისო პაქტი;
3. 1985 წლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები ე.წ. „პეკინის წესები“;
4. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, ე.წ. „რიადის წესები“.

ყველა დასახელებული დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა სრულიად უნდა ორიენტირდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე და ამ მიზნით სახელმწიფოს ვალდებულებაა, მოახდინოს ყველა რესურსის სრული მობილიზება.⁷

საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“, ერთი მხრივ, მე-4 მუხლში განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მეორე მხრივ, კი კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „საუკეთესო ინტერესები“ - ესაა „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-

⁷ Geneva Declaration of the Rights of the Child, League of Nations (LON), 1924, <<https://www.humanium.org/en/geneva-declaration/>>(08.07.2023); Universal Declaration of Human Rights, United Nations Department of Public Information, NY, 1948, <<https://www.ohchr.org/en/human-rights/universal-declaration/translations/english>> (08.07.2023); International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, General Assembly resolution 2200A (XXI), 16 December 1966, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights>> (08.07.2023); United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>> (08.07.2023); United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines) Adopted and proclaimed by General Assembly resolution 45/112 of 14 December 1990, <<https://humanrights.gov.au/sites/default/files/Annexure%20F%20-%20Riyadh%20Guidelines.pdf>> (08.07.2023).

რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე, მისი აზრის გათვალისწინებით, განისაზღვრება“.⁸ კანონში არსებული ჩანაწერი - „უპირველეს ყოვლისა“, გულისხმობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ამ პრინციპის ფუნდამენტურად გათვალისწინებას.⁹

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მხედველობაში მიღება, პირველ რიგში, გულისხმობს სისხლის სამართლის ტრადიციული მიზნების - სამაგიეროს მიზღვისა და დასჯის ნაცვლად რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანს,¹⁰ რაც ნიშნავს ორიენტირებას ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და არა მათ დასჯაზე.¹¹

ლიტერატურაში საუკეთესო ინტერესების განმსაზღვრელი ერთიანი მიდგომა არ არსებობს, იგი კომპლექსური და არასრულწლოვნის ცხოვრების ყველა დეტალის მომცველი საკითხია. მხარდაჭერას არ იმსახურებს, რიგ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც საუკეთესო ინტერესების ცნება განუსაზღვრელი და ბუნდოვანია, რაც მისი არასწორად ინტერპრეტირების საფრთხეს ქმნის; მიმაჩნია, რომ შეუძლებელია ასეთი მრავლისმომცველი ინფორმაციის მატარებელი ცნების კანონმდებლობაში სრულყოფილად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, მით უფრო, რომ არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი საუკეთესო ინტერესების პრინციპის განსაზღვრების მხოლოდ ჩარჩოებს არ აწესებს.

მთავარია, კანონმდებლობაში მისი ზოგადი სახით განსაზღვრება, რომლის სრულყოფილი მოდიფიცირება ყოველ კონკრეტულ საქმეში მოხდება არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. სასამართლოსთვის რომ არანაირი სირთულე „საუკეთესო ინტერესების“ განმარტებას არ შეუქმნია, მოწმობს სასამართლო

⁸ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

⁹ ხატია შეყილაძე, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“, სამართლის ჟურნალი, №2 (2016): 284.

¹⁰ General comment No. 10 (2007): Children's Rights in Juvenile Justice, CRC/C/GC/10, <<https://www.refworld.org/docid/4670fca12.html>> (08.07.2023).

¹¹ მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია ხასია, *სასჯელმართლებების სამართალი*. (თბილისი: მერიდიანი, 2014), 348.

პრაქტიკიდან გადაწყვეტილებები, სადაც მოსამართლემ მიიჩნია კანონთან კონფლიქტში მყოფის საუკეთესო ინტერესად მისი კეთილდღეობა, განათლება, განვითარება და მიზანშეწონილად ჩათვალა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა.¹²

აღსანიშნავია, ერთ-ერთი საქმე, სადაც მოსამართლემ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენა შინაპატიმრობა მინიმალური ვადით.¹³ აშკარაა, რომ სასამართლო თავისუფლების აღკვეთას იყენებს, როგორც *ultima ratio* საშუალებას. კერძოდ, ერთ-ერთ განაჩენში სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ არასრულწლოვანის მიმართ „ზედმეტად“ ლოიალური დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს მის გამოსწორებასა და ამით დანაშაულის თავიდან აცილების პრევენცია ვერ მოხდება. მით უმეტეს, რომ არასრულწლოვანს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში აქვს განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობა.¹⁴

ვეფიქრობ, რომ „სრულყოფილი“ დეფინიცია უფრო მზოჭავი იქნება, ვიდრე სრულყოფისკენ გადადგმული ნაბიჯი. მთავარია, კანონმდებლობა იყოს შესაბამისი ამ ფუნდამენტურ პრინციპთან. ამ კუთხით, აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე მაქსიმალურად დეტალურად და გულმოდგინედ იქნეს შესწავლილი ფორმალური და ფაქტობრივი მხარეები¹⁵ და მათი მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან, რათა მიზანი ფართო ხედვით იქნეს მიღწეული.

ნებისმიერი ინსტიტუტი, რაც კი გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, დაფუძნებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე და

¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/181–16; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენი, საქმე №1/144–16.

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №1/571–16.

¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/313–160.

¹⁵ იური გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, (თბილისი: მერიდიანი, 2003), 36.

გადაწყვეტილებები სწორედ ამ პრინციპთან კავშირისა და გაანალიზების შედეგად უნდა იქნეს მიღებული, რამეთუ, ბავშვთა საუკეთესო ინტერესები ყველაფერზე მაღლაა. აღნიშნულ პრინციპს განსაკუთრებული როლი აქვს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებამდე. არსობრივად, არასრულწლოვნისათვის შეფარდებული პატიმრობა მისთვის საუკეთესოთა შორის საუკეთესო გადაწყვეტილება უნდა იყოს.

1.1.2 თანაზომიერების პრინციპი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, ეყრდნობა ორ მთავარ პრინციპს - საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისა და თანაზომიერების პრინციპებს. აღნიშნულ ორ პრინციპს ერთგვარ „ტყუპ საყრდენ პრინციპებად“ მოაზრებენ.¹⁶ ყველა სხვა პრინციპი, საკანონმდებლო ნორმა თუ ქმედება აღნიშნული პრინციპებიდან უნდა იღებდეს დანაწესს. მათი როლი განსაკუთრებულია იუვენალური იუსტიციის განვითარების გზაზე.

თანაზომიერების პრინციპს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, როგორცაა პროპორციულობა, შესაბამისი, გონივრული, ზომაზე მეტი.¹⁷ აღნიშნული სამართლებრივი პრინციპი უძველესი ისტორიული ფესვებისაა, რომელიც ხამურაბის კანონებში მოიაზრება, როგორც დანაშაულთან თანაზომიერების გამოხატულების მაჩვენებელი.¹⁸ თანაზომიერების პრინციპი ექსკლუზიურად სამართლის რომელიმე სფეროსთან არაა დაკავშირებული. იგი ყველა სამართლის მიმართულების

¹⁶ Uchenna Emelonye, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“ (Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014), 105. <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

¹⁷ ლევან იზორია, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002, 44.

¹⁸ Uchenna Emelonye, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“ (Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014), 85. <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

ინსტრუმენტალური ნორმა-პრინციპია. ადამიანის უფლებათა თეორიაში და პრაქტიკაში თანაზომიერების პრინციპი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ესაა უფლებების განსჯის დომინანტური ტექნიკა მსოფლიოში.

თანაზომიერების პრინციპი შეიძლება განვმარტოთ, როგორც სამართლებრივი რაციონალურობის ზოგადი სტანდარტი. პროპორციულობის ტესტი არის ადამიანის უფლებების დარღვევის დასაბუთების მთავარი კრიტერიუმი,¹⁹ რომლის საშუალებითაც უნდა დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა. თანაზომიერების პრინციპის არსებობა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს უფლების დაცვას, მეორე მხრივ, კი, მისი შეზღუდვის შემთხვევაში ჩარჩოებს აწესებს.

თითოეული კონსტიტუციური უფლება გულისხმობს დასაბუთების უფლებას, გადაწყვეტილების მიღებისას პრინციპის მხედველობაში მიღებით როგორ ხდება ფაქტობრივი გარემოებებისა და ბავშვის პიროვნული მახასიათებლების გაანალიზება, რის შემდეგაც მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის კეთილდღეობას და მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას უნდა ისახვდეს მიზნად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვთა შორის სამართლიანობის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენება დეონტოლოგიური პროპორციულობა, რაც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის სამართლიანი სასჯელის მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება მათ ასაკს და განვითარების დონეს, რაც უზრუნველყოფს მთავარ მიზანს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები იმსახურებენ შემცირებულ სასჯელს.²⁰

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დამნაშავეობა განსხვავდება ზრდასრულებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთნაირი დანაშაული შეიძლება ჰქონდეთ ჩადენილი. დეონტოლოგიური თანაზომიერების თანახმად, ბავშვთა მიმართ დასაშვებია გადახრა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ბრალეულობის

¹⁹ Matthias Klatt, „Proportionality and Justification“, Constitutionalism justified: Rainer Forst in discourse Oxford University Press 2019, 24. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3518502> (08.07.2023).

²⁰ Uchenna Emelonye, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“ (Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014), 97. <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

შემსუბუქებისკენ.²¹ ამრიგად, თანაზომიერების პრინციპი იძლევა საშუალებას, მოქნილად იქნეს გამოყენებული დადგენილი წესები და ბავშვთა მიმართ მათი უფლებების ნაკლებად შემზღვეველი გადაწყვეტილებები მიიღონ.

აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს ბავშვებზე მოპყრობას მათი კეთილდღეობის შესაბამისად, სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვთა მიმართ ინსტიტუციური მზრუნველობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიმართ გადაწყვეტილებების მიღება მათი კეთილდღეობის და დანაშაულის პროპორციულობის დაცვის შესაბამისად.²²

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პატიმრობის საკითხის გადაწყვეტამდე, უმნიშვნელოვანესია, გაანალიზებული იყოს პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ქმედებასა და პიროვნულ მახასიათებლებთან, რაც თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღწევა. იგი კონსტიტუციური რანგის პრინციპადაა მოხსენიებული და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მისი ინკორპორირებით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას იუვენალურ იუსტიციაში.

საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“, კერძოდ, მე-7 მუხლში განსაზღვრულია აღნიშნული პრინციპი, რომლის თანახმადაც: „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს“.²³ ამრიგად, თანაზომიერების პრინციპის დაცვისა და ჯეროვნად განსაზღვრისათვის კუმულაციურად ფასდება

²¹ Uchenna Emelonye, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“ (Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014), 98. <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

²² UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child>> (08.07.2023).

²³ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

ჩადენილი ქმედების თანაზომიერება არასრულწლოვნის პიროვნულ მახასიათებლებთან ერთად.

თანაზომიერების პრინციპის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევის თაობაზე აღნიშნულია გაეროს მინიმალურ სტანდარტებში არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრირებისთვის ე.წ. „ბეიჯინგის წესებში“. ამ პრინციპის მთავარი არსია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ სისხლის სამართლის მექანიზმების ამოქმედებამდე, ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან ერთად, არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები გაანალიზდეს, როგორცაა მისი სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, მიყენებული ზიანი და მისი მზაობა აანაზღაუროს იგი და ა.შ.²⁴ რაც ყოველ კონკრეტულ საქმეში, ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს.

თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიღებულ გადაწყვეტილებაში იგულისხმება, რომ ის უნდა იყოს სამართლიანი, ვინაიდან მიღებულია საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასრულწლოვნის პიროვნების მახასიათებლებიდან გამომდინარე.²⁵

თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერებას მოითხოვს, სახელმწიფოს მიერ სიკეთეთა განაწილების სამართლიან ბალანსს.²⁶

თანაზომიერების პრინციპი კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას მოკლებულია. ყოველი საკითხის გადაწყვეტისას იგი დაცულია, თუკი დაცულია მისი ძირითადი

²⁴ Unodc, United Nations Office On Drugs and Crime, Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, (New York: United Nations, 2013), 70. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf> (08.07.2023).

²⁵ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>> (08.07.2023).

²⁶ ლევან იზორია, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002, 46.

სტრუქტურული ელემენტები, რომლებიცაა: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.²⁷

უფლების შეზღუდვა კონკრეტული საჯარო ლეგიტიმური მიზნის გარეშე დაუშვებელია.²⁸ ლეგიტიმური მიზნის ერთიანი ფორმულა არ არსებობს. არსებობს:

1) ზოგადი ლეგიტიმური მიზნები, რაც იუვენალური იუსტიციისათვის არის დამახასიათებელი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელება ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის გათვალისწინებით²⁹;

2) არსებობს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც ზოგადთან ერთად თანაარსებობენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესს, რაშიც მოიაზრება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ინტერესები, საზოგადოებაში ინტეგრაცია, ცნობიერების ჩამოყალიბება და სხვა.³⁰ ყოველივე ზემოაღნიშნული იუვენალურ იუსტიციაში ლეგიტიმურ მიზნებად უნდა მოვიაზროთ.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, მით უფრო, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიმართ პატიმრობის შეფარდებამდე, მისი თავისუფლების შეზღუდვით, მიღწეულ უნდა იქნეს იმგვარი ლეგიტიმური მიზნები, როგორცაა ბრალდებულის მიერ სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდება, მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა და განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა.³¹

²⁷ გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, მზია ლეკვეიშვილი, მაია ივანიძე, თემურ ცქიტიშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, *სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში* (თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016), 499.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

²⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე <<https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf>> (09.07.2023).

³⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №1გ/924-23.

³¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> (09.07.2023).

ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია დადგინდეს, შერჩეული ზომა არის თუ არა გამოსადეგი. იმგვარად შერჩეული საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს, დაუშვებელია.³² აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებამდე, სამართალწარმოების სუბიექტმა უნდა განსაზღვროს, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება რამდენად იქნება გამოსადეგი. ამის შემდგომ, თანაზომიერების მესამე ელემენტზე - აუცილებლობაზე უნდა მოხდეს მსჯელობა. აუცილებლობის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ გამოყენებული ზომა ალტერნატიულ საშუალებებს შორის ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი უნდა იყოს.³³ იქ, სადაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია აღკვეთის ღონისძიების სახით არასრულწლოვანთა უფლებების ნაკლებად მზლუდავი ღონისძიების გამოყენება, პატიმრობა არ უნდა იქნეს შეფარდებული.

თანაზომიერების პრინციპის მეოთხე ელემენტია პროპორციულობა, რაც გულისხმობს ლეგიტიმური მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების პროპორციულობის დადგენას. ამ მიზნით, შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასება უნდა მოხდეს,³⁴ რითაც უზრუნველყოფილ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევით არსებული სიკეთე და შეზღუდვის საშუალება.

თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლებაში ჩარევის ნებისმიერი შემთხვევა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, მით უფრო, როდესაც ადამიანის

³² ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი და სანდრო ჯორბენაძე, *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი* (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 25 <[http://www.library.court.ge/upload/Constitution Commentary Human Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution%20Commentary%20Human%20Rights.pdf)> (09.07.2023).

³³ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი და სანდრო ჯორბენაძე, *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი* (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 25 <[http://www.library.court.ge/upload/Constitution Commentary Human Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution%20Commentary%20Human%20Rights.pdf)> (09.07.2023).

³⁴ ლევან იზორია, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002, 46.

თავისუფლების უფლებაში ჩარევაზე საუბარი იმგვარი მეთოდით, როგორცაა პატიმრობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტებულია, რომ: „თანაზომიერების პრინციპით ხელისუფლების ყველა შტო შეზღუდულია. პირის დაკავება უნდა იყოს სათანადო, აუცილებელი და პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მიზნების მისაღწევად“.³⁵

არასრულწლოვანთა მიმართ მიდგომა სრულწლოვნებისაგან განსხვავებით, ლოიალურია, რაც იმას გულისხმობს, რომ ნორმაშემფარდებელს დასაბუთების მაღალი ხარისხი მოეთხოვება არასრულწლოვნის უფლებაში ჩარევისას. პატიმრობის შეფარდებამდე უნდა გაანალიზდეს მიზანი, რომელსაც პატიმრობა ემსახურება.

1.1.3 პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება

აღკვეთის ღონისძიების სახეებს შორის პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები და სასამართლო პრაქტიკა, რომელთა თანახმადაც, პატიმრობა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას გამოყენებადი პრევენციულ-უზრუნველმყოფი საშუალებაა. თუმცა, საინტერესოა, რომ საქართველოს კანონმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა“ ის, რაც ისედაც კითხვის ნიშანს არ უნდა ბადებდეს, პრინციპად განსაზღვრა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით - „პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება“.

ამ დათქმით კანონმდებელმა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანა კანონმდებლობა, გაიზიარა საერთაშორისო დოკუმენტებში არსებული დათქმები, რომელიც პრაქტიკაში მისი შესრულების წინარე ეტაპია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული პრინციპები და ყველა ნორმა ერთმანეთთან

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

თანხვედრაშია და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დაუშვებელია არასრულწლოვანისათვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი“.³⁶

ამავდროულად, ეს შინაარსი იკითხება საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-7 მუხლით განსაზღვრულ თანაზომიერების პრინციპში, რომელიც მიზნისა და გამოყენებული საშუალების კუთხით თანაზომიერების დადგენას ითხოვს და მისი შემადგენელი კომპონენტების გაანალიზების შედეგად დაუშვებელია არასრულწლოვანს განესაზღვროს თავისუფლების შეზღუდვა, თუ ალტერნატიული საშუალებით მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 64-ე მუხლში, რომლითაც ინკორპორირებულია პატიმრობა, დადგენილია სამი პირობა, რომელთა ერთობლივად არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია პატიმრობის გამოყენება, კერძოდ:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.³⁷

ამავე მუხლში განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო პატიმრობა წინასასამართლო

³⁶ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

³⁷ კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე, თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. წინასასამართლო სხდომის ჩატარების შემდეგ, მოსამართლე ვალდებულია, თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც, განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.³⁸

საქართველოს კანონით „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ მოწესრიგებული პატიმრობის საკითხები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. გაეროს ბავშვის უფლებათა ევროპული კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ადგენს პატიმრობის უკიდურესი ღონისძიების ზომად და შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადით გამოყენების აუცილებლობას.³⁹

თუ რა იგულისხმება „შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში,“ დამოკიდებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონკრეტულ სისტემაზე. თუმცა, ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში მოცემულია რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ წინასწარი პატიმრობის პერიოდი წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, ხოლო რეგულარულ გადასინჯვის ვადად რეკომენდაციის სახით უთითებს 2 კვირიან შუალედს.⁴⁰

ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება პრიორიტეტულად მიზანშეწონილია, თუმცა, თუ ეს ვერ მოხერხდება პატიმრობის აუცილებლობიდან გამომდინარე, მაშინ პატიმრობა, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადით უნდა იქნეს გამოყენებული.⁴¹ ეს არ უნდა ატარებდეს თვითნებურ ხასიათს.⁴² როდესაც ხდება პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტა,

³⁸ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22> (08.07.2023).

³⁹ UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child> (08.07.2023).

⁴⁰ General comment No. 10 (2007): Children's Rights in Juvenile Justice, CRC/C/GC/10, 22, <https://www.refworld.org/docid/4670fca12.html> (08.07.2023).

⁴¹ UNICEF, *Implementation Handbook For The Convention On The Rights Of The Child* (Geneva: United Nations, 2007), 559, <https://www.unicef.org/lac/media/22071/file/Implementation%20Handbook%20for%20the%20CRC.pdf> (09.07.2023).

⁴² UNICEF, *Implementation Handbook For The Convention On The Rights Of The Child* (Geneva: United Nations, 2007), 556,

ჯერ ალტერნატივები უნდა განიხილოს, რითაც ყველაზე მეტად მიიღწევა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია,⁴³ რის შემდეგმაც უკიდურეს შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ე.წ. „პეკინის წესების“ მე-17 წესის „ბ“ პუნქტის მიხედვით, ზემოქმედების ზომის განსაზღვრისას არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების შეზღუდვა გულმოდგინედ უნდა იქნეს შესწავლილი და მისი გამოყენება მინიმუმამდე შემცირებული.⁴⁴ უფრო მეტიც, იგი, კონკრეტულად, უთითებს, რომ არასრულწლოვანი უნდა იყოს ბრალდებული მძიმე დანაშაულისთვის, მაგალითად, ძალადობრივი დანაშაული, დანაშაულის არაერთჯერადად ჩადენა და სხვ.⁴⁵

არასრულწლოვნის უფლებებში ისე მძაფრად ჩარევისას, როგორცაა პატიმრობა, იგი მხოლოდ მინიმალურად საჭირო დროითა და კანონიერი მიზნის მისაღწევად უნდა გამოიყენებოდეს - მინიმალური ჩარევის პრინციპის დაცვით. ზემოქმედების ზომის განსაზღვრისას პროპორციულობის და ინდივიდუალიზაციის პრინციპები შეჯერებულად უნდა იქნეს გაანალიზებული, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების გაანალიზებას გულისხმობს.⁴⁶

<https://www.unicef.org/lac/media/22071/file/Implementation%20Handbook%20for%20the%20CRC.pdf> (09.07.2023).

⁴³ Council Of Europe, *Handbook on European law relating to the rights of the child* (European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2022), 252, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_rights_child_ENG (09.07.2023).

⁴⁴ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile> (08.07.2023).

⁴⁵ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile> (08.07.2023).

⁴⁶ Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member states on the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures, 2 <https://www.refworld.org/docid/4a7058c02.html> (09.07.2023).

ე.წ. „ჰავანის წესების“ თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იქნეს დაშვებული.⁴⁷ სასამართლო და საგამომიებო ორგანოებს ეძლევათ რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ „უმაღლესი პრიორიტეტი“ მიანიჭონ აღნიშნული კატეგორიის საქმეებს, რათა პატიმრობის გამოყენება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. მით უფრო, როდესაც პატიმრობა ეხება არასრულწლოვანს, ეს უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიების სახით გამოყენებული, როდესაც ალტერნატიული საშუალებებით აღკვეთის ღონისძიების მიზნები ვერ იქნება მიღწეული.⁴⁸

1.2 პრინციპი, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის საშუალება

კანონი არაა აბსოლუტური მოცემულობა. იგი დროსთან და გარემო მდგომარეობასთან ერთად ცვლადი ჯერარსული მოვლენაა, რაც უწყვეტი დახვეწა-განვითარების გზას ადგას.⁴⁹ მიღებული კანონების შინაარსობრივი კორექტირება იურისპრუდენციის ჩვეულებრივი მდგომარეობაა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ კანონში „ზარის“ არსებობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მოხდეს მისი უფრო გამართულად ჩამოყალიბება. იურისპრუდენცია არ მიეკუთვნება ზუსტ მეცნიერებას. აქ არის არგუმენტების ჭიდილი, საიდანაც ერთი შეხედულება უფრო დასაბუთებულია, ვიდრე მეორე, თუმცა, არა აბსოლუტურად მართებული.⁵⁰

უმნიშვნელოვანესია კანონში ჩადებული აზრის დაზუსტება, განვითარება თუ მოდიფიცირება. კანონის ნებისმიერი სახის ინტერპრეტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს

⁴⁷ United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty, Adopted by General Assembly resolution 45/113 of 14 December 1990, <<http://ork.lu/index.php/en/rights-of-the-child/international-acts/731-1990-united-nations-rules-for-the-protection-of-juveniles-deprived-of-their-liberty>> (09.07.2023).

⁴⁸ ECtCH. Case of D.L. v. Bulgaria (Application no. 7472/14) 19 May 2016. § 74.

⁴⁹ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 62-63.

⁵⁰ რაიონჰოლდ ციპელიუსი, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება* (მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, მეათე გადამუშავებული გამოცემა, 2006), 99.

„სამართლის ერთიანობის“ პრინციპთან. პრინციპები ის ფუნდამენტებია, რომლებზედაც „დაშენებულია“ საკანონმდებლო ბაზა. იურისპრუდენციას განმარტავენ, როგორც „საწარმოს“, სადაც პრინციპები გამოხატავენ მის ბუნებით შინაარსობრივ მდგომარეობას.⁵¹ ნორმატიული აქტების მამოძრავებელი და ერთგვარი გამკოტროლებელი, სწორედ რომ პრინციპებია.⁵² იგი ზოგადი ხასიათის მოცემულობაა, რომელიც ნებისმიერი სახის ნორმატიულ აქტში უნდა იკითხებოდეს.⁵³

პრინციპის გაანალიზების საშუალებით შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ ნორმის მოდიფიცირების აუცილებლობა, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკაში იმგვარი დარეგულირება, რომ ნორმის პირდაპირი გაგება არანაირ პრობლემას არ ქმნიდეს, ხოლო ყველაზე მთავარი ცვლილება, ესაა საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანა. მთავარია, რომ საკითხი არ დარჩეს მოუწესრიგებელი, რითაც საფრთხე შეექმნება მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას. ეს კი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა, ქვაკუთხედი დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.⁵⁴

⁵¹ Office of Legal Policy, Original meaning jurisprudence: a sourcebook. U.S.A. (Washington: Office Of The Attorney General, 1987), 6, <<https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/original-meaning-jurisprudence-sourcebook>> (09.07.2023).

⁵² Robert H. Bork, „Neutral Principles and some First amendment Problems“, Indiana Law Journal, 47 (1), (Fall 1971): 6. <<https://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=2720&context=ilj>> (09.07.2023).

⁵³ Raoul Berger, „A Response to D.A.J. Richards’ Defense of Freewheeling Constitutional Adjudication“, Indiana Law Journal, 59 (3), (Summer 1984): 12, <<https://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2204&context=ilj>> (09.07.2023).

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება №1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, I-5.

1.2.1 კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზთა შევსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები

კანონები არ არის სრულყოფილი, ვინაიდან, არავის, მათ შორის, არც კანონმდებელს კანონის ჩამოყალიბების პროცესში არ შეუძლია განჭვრიტოს კანონმდებლობაში მოცემული ნორმა რამდენად გამართულია და, ასევე, როგორ იფუნქციონირებს იგი პრაქტიკაში.⁵⁵ როცა სამართლებრივი განმარტების მეთოდების საშუალებით დგინდება ნორმის არასრულყოფილება, საქმე გვაქვს ნორმის ნაკლთან. არსებობს კანონის ღია ნაკლი, რაც გულისხმობს, რომ კანონში მოცემული არაა ის შინაარსი, რაც კანონმდებლის რეალურ ნებას ასახავს და კანონის ფარული ნაკლი, როდესაც კანონი, მართალია, შეიცავს მოწესრიგებას, მაგრამ არ აწესრიგებს მისგან გამონაკლისებს, რომელიც კანონმდებლის აზრით კანონში უნდა არსებულიყო.⁵⁶

კანონების განმარტება სამართალმცოდნეთა პრეროგატივაა, თუმცადა, არსებობს ნორმები, რომელთა შინაარსობრივი მხარის დასარეგულირებლად კანონში მისი სხვაგვარად ინკორპორირებაა აუცილებელი. მოსამართლე მოლაპარაკე კოდექსი არ არის.⁵⁷ პრაქტიკოს იურისტთა პროფესიონალიზმი კანონში ჩადებული ნების მოქმედებაში მოყვანას გულისხმობს.⁵⁸

იურისპრუდენციის მთავარი საკითხი სწორედ ისაა, თუ როგორ უნდა განიმარტოს კანონი. ნებისმიერი კანონის ჩანაწერისათვის აუცილებელია გაგებაზე ორიენტირებული ჰერმენევტიკა - თეორია თარგმნის, ინტერპრეტაციის შესახებ, რომლის არსიც ისაა, რომ ყოველი საკითხის შინაარსი ყალიბდება და სრულყოფილდება გაგებით. საჭიროა ნიშნების აღქმა, შეცნობა. ესაა კანონის განმმარტებლის აზრიანი და ნაყოფიერი ქცევა.⁵⁹

⁵⁵ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 166.

⁵⁶ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 168-169.

⁵⁷ მერაბ ტურავა, *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა* (თბილისი: მერიდიანი, მეცხრე გადამუშავებული გამოცემა, 2013), 203.

⁵⁸ გურამ ნაჭყებია, „სამართლის ნორმაშეფარდებისა და მისი მეთოდების პრობლემა“, *სამართალი და მსოფლიო*, №4, 2016: 149.

⁵⁹ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 48-49.

კანონის ხარვეზის აღმოფხვრის წინაპირობაა მისი კანონმდებლის ნების შესაბამისი განმარტება. კანონის ხარვეზის დადგენის შემდეგ მისი გადაწყვეტის გზების მოძიებაა აუცილებელი. ვინც კანონის ხარვეზს ავსებს, იგი ამით, ერთგვარად, კანონმდებელს ანაცვლებს.

კანონის განვრცობისა და შესწორებისათვის არსებობს მოძღვრება საკანონმდებლო ხარვეზის შევსების შესახებ, რაც გულისხმობს კანონით დაურეგულირებელი საკითხის გამოსასწორებლად მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების გამოყენებას.⁶⁰ აღნიშნული საკითხისათვის გამოიყენება საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის ორი მეთოდი, როგორებიცაა: 1) ნორმის ფორმულირებაში დაშვებული ხარვეზი; 2) ნორმის განმარტებისას დადგენილი ხარვეზი.

ხარვეზი ფორმულირებაში მაშინ არსებობს, როდესაც კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტება შეუსაბამოა ნორმის რეალურ ნებასთან.⁶¹ შეფასების შედეგად დადგენილი ხარვეზი გულისხმობს მის ფორმულირებაში კორექტირების შეტანას პრაქტიკოს იურისტთა მიერ, მაშინ როდესაც სამართლის ნორმა ვიწროდ ან ფართოდ არის ჩამოყალიბებული.⁶²

კანონის ხარვეზის დადგენა პირველი ნაბიჯია, რის შემდგომაც უნდა გაანალიზდეს სამართლის პოლიტიკა და პასუხი გაეცეს კითხვას, არსებობს თუ არა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროება. შესაძლებელია თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლებაში შეჭრის გარეშე ნორმის სამართლებრივად მართებული განვრცობა.⁶³

სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები, რომელიც ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო ხასიათის მატარებელია.

⁶⁰ რაიონჰოლდ ციპელიუსი, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება* (მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, მეათე გამომუშავებული გამოცემა, 2006), 99.

⁶¹ რაიონჰოლდ ციპელიუსი, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება* (მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, მეათე გამომუშავებული გამოცემა, 2006), 79-84.

⁶² რაიონჰოლდ ციპელიუსი, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება* (მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, მეათე გამომუშავებული გამოცემა, 2006), 80.

⁶³ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 182-183.

კანონმდებლობაში არსებული არასტაბილურობის აღმოფხვრის საჭიროება მაშინ დგება დღის წესრიგში, როდესაც ნორმის ვერანაირი სახის განმარტება ნორმას მის ბუნებით მნიშვნელობასთან ვერ აბრუნებს, რაც წარმოშობს კანონმდებლობაში მისი სხვაგვარად მოწესრიგების აუცილებლობას.⁶⁴

მოსამართლის როლი განსაკუთრებულია საკანონმდებლო ხარვეზის დადგენისა და ამის შემდეგ, მის ხელთ არსებული ბერკეტების საშუალებით კანონმდებლობის დახვეწა-განვითარების კუთხით, როგორცაა მაგალითად, მისი უფლებამოსილება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც მიზანშეწონილად ჩათვლის კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დროს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების აუცილებლობას. საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმის მნიშვნელობა აცდენილი ხომ არაა პრინციპის სამყაროს.⁶⁵

ფაქტობრივად, გამოდის, რომ „კანონმდებლისთვის საუკეთესო თანაშემწე საკონსტიტუციო სასამართლოა. არაკონსტიტუციური ნორმების რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც ლომის წვლილს იღებს კანონმდებლის ნების ჩამოყალიბებაში“. ⁶⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე აქვს კონსტიტუციურ წესრიგთან. ⁶⁷ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა „კონსტიტუციური კანონიერების“ დაცვა.⁶⁸

აღნიშნულ საკითხს, პირველ რიგში, არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც: „საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის

⁶⁴ Office of Legal Policy, *Original meaning jurisprudence: a sourcebook*. U.S.A. (Washington: Office Of The Attorney General, 1987), 35, <<https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/original-meaning-jurisprudence-sourcebook>> (09.07.2023).

⁶⁵ ბესარიონ ზოიძე, *საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში* (თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007), 46.

⁶⁶ ბესარიონ ზოიძე, *საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში* (თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007), 61.

⁶⁷ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, *გურამ ნაჭყებია -75, საიუბილეო კრებული* (თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2016), 459.

⁶⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ <[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“.⁶⁹

ამავდროულად, მსგავსი შინაარსის ნორმაა მოცემული საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, მე-19 მუხლის მეორე პუნქტში,⁷⁰ ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში,⁷¹ რომელიც ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შეტანას, რათა დადგინდეს კონკრეტული ნორმატიული აქტის საქართველოს უზენაეს კანონთან - კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

ამრიგად, საერთო სასამართლოებს აქვთ იმის უფლებამოსილება, რომ საქმის განხილვის მიმდინარეობისას, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვით ეცადონ, გამოასწორონ ის საკანონმდებლო ხარვეზი, რაც კონკრეტული საქმის განხილვისას დადგადლის წესრიგში. სასამართლო პრაქტიკით კანონის „გონი“ ღრმავდება.⁷²

გარდა იმისა, რომ ნორმატიული აქტით გათვალისწინებული საკითხების ბუნება (რეგულირების საგანი, სფერო) კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს, ასევე, იგი უნდა პასუხობდეს იმ პრინციპებსა და სამართლებრივი რეგულირების მიზნებს, რომელიც კონსტიტუციის პრეამბულითაა განსაზღვრული.⁷³

⁶⁹ საქართველოს კონსტიტუცია <[საქართველოს კონსტიტუცია | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](#)> (09.07.2023).

⁷⁰ საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. <[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](#)> (09.07.2023).

⁷¹ საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. <[საერთო სასამართლოების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](#)> (09.07.2023).

⁷² რაიონჰოლდ ციპელიუსი, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება* (მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, მეათე გადაამუშავებული გამოცემა, 2006), 99.

⁷³ კონსტიტუციის 42-ე მუხლი, *საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები და პროცედურები* (თბილისი: გამომცემლობა კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2008), 9.

1.2.2 პრინციპი, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის აღმოჩენის მცდელობა

„პრინციპი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს სახელმძღვანელო იდეას.⁷⁴ მაშასადამე, იურისპრუდენციისათვის იგი გულისხმობს ქცევის ძირითად წესს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ პრაქტიკულ თუ თეორიულ საქმიანობაში. ამგვარი ამოსავალი იდეები გამოხატულებას პოულობენ ნორმატიულ აქტებში.⁷⁵ „სამართლის პრინციპები სახელმწიფოსა ან მის ორგანოებზე არიან მიმართულნი. სწორედ ამიტომ, რომ სამართლის ამა თუ იმ დარგის პრინციპები გამოხატულნი უნდა იყვნენ ამ დარგის ნორმებსა და ინსტიტუტებში“.⁷⁶

პრინციპები სამართლისა და საბოლოო ჯამში, სამართლიანობის დამდგენი ზოგადსავალდებულო კრიტერიუმებია. ⁷⁷ „პრინციპები არის უმნიშვნელოვანესი თავისთავად არსებული მოცემულობები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის ამა თუ იმ მიმართულების სისტემას, მოცემული ნორმების შინაარსსა და ფორმას, მათ ბუნებასა და დანიშნულებას. ისინი უზრუნველყოფენ სამართალწარმოების ამოცანების სამართლიანად დარეგულირებას“.⁷⁸

„სამართლის პრინციპები ზოგად მოცემულობას აყალიბებენ სამართლის ამა თუ იმ დარგისათვის, რის გამოც, აუცილებელია გადაწყვეტილება ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომასთან დაკავშირებით პრინციპებთან თანხვედრაში არსებობდეს.

⁷⁴ პრინციპის განმარტება: <[პრინციპი - ვიკიპედია \(wikipedia.org\)](http://wikipedia.org)> (09.07.2023).

⁷⁵ გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, გიორგი ტყეშელიაძე და მზია ლეკვეიშვილი, *სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი*. (თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2016), 52.

⁷⁶ გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, გიორგი ტყეშელიაძე და მზია ლეკვეიშვილი, *სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი*. (თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2016), 52.

⁷⁷ ირინა აქუბარდია, რევაზ გოგოშელიძე, ლალი ფაფიაშვილი და ნინო გოგონიაშვილი, *სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები)*. (თბილისი: სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2009), 117.

⁷⁸ ირინა აქუბარდია, რევაზ გოგოშელიძე, ლალი ფაფიაშვილი და ნინო გოგონიაშვილი, *სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები)*. (თბილისი: სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2009), 117.

პრინციპები სწორედ რომ მიმართულების განმსაზღვრელი ფუნდამენტური მოცემულობებია ნებისმიერი სამართლის დარგისათვის“.⁷⁹

გონის სამართლის იგივე, ბუნებითი სამართლის მიხედვით ზოგიერთი სამართლის პრინციპი უფრო წინადა ვიდრე სამართლებრივი აქტი,⁸⁰ ვინაიდან, ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი შებოჭილია სამართლის პრინციპებით. პრინციპები ქმნიან „სიკეთეთა ობიექტური წესრიგის“ საძირკველს.⁸¹ პრინციპით გამოხატულია მართლმსაჯულების ძირითადი იდეა.⁸² კანონის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღება არაა მისი მუდმივად და იმავე ფორმითა და შინაარსით არსებობის აპრიორი. მთავარია, კანონმდებლობაში არსებობისას რამდენად დააკმაყოფილებს სამართლის უზენაესობის საკითხს, რაც პრინციპებთან თანხვედრით უნდა იქნეს გაანალიზებული პრაქტიკაში მუშაობის დროს.⁸³

არსებობს „ყველა სიტყვას აქვს მნიშვნელობის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც „ისე უბრალოდ“ ნათქვამი კანონმდებლობაში არაფერია. კანონში არსებულ ყველა ნორმას თავისი დანიშნულება და მიზანი აქვს.⁸⁴ ამრიგად, პრინციპების საშუალებით ხორციელდება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; მათი საშუალებით შესაძლებელია კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზთა აღმოჩენა და გადაჭრის გზების მოძიება.

⁷⁹ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 83.

⁸⁰ გუსტავ რადბრუხი, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი. სამართლის ჟურნალი, 1-2 (3-4), (2012): 248-249.

⁸¹ ბესარიონ ზომიძე, *საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში* (თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007), 46.

⁸² მორის შალიკაშვილი და გივი მიქანაძე, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება*. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: გამომცემლობა მერიდიანი, მეორე გამოცემა, 2016), 73.

⁸³ Office of legislative counsel, *Principles of legislative drafting, A guide to legislation and legislative process in British Columbia* (Ministry Of Justice Province Of British Columbia, 2013), 1, <https://www.crownpub.bc.ca/Content/documents/2-DraftingPrinciples_August2013.pdf> (09.07.2023).

⁸⁴ Office of legislative counsel, *Principles of legislative drafting, A guide to legislation and legislative process in British Columbia* (Ministry Of Justice Province Of British Columbia, 2013), 3, <https://www.crownpub.bc.ca/Content/documents/2-DraftingPrinciples_August2013.pdf> (09.07.2023).

1.2.3 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა პრინციპის - საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზაზე

2015 წლის 12 ივნისს მიღებულ საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ პირველად აისახა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ცნება. თუმცა, ბავშვთა უფლებების დაცვის ამოსავალ დოკუმენტში „ბავშვთა უფლებათა კონვენციაში“ იგი 1989 წლიდან სახელმძღვანელო პრინციპად მოქმედებს. ვინაიდან საქართველო აღნიშნულ დოკუმენტს 1994 წელს შეურთდა, გამოდის, რომ ჩვენმა ქვეყანამ ამ დროიდან აიღო ვალდებულება ამ პრინციპის ქმედითობაზე, თუმცა, ფაქტია, საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიღებამდე იგი არსად ფიქსირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო 1800-იანი წლებიდან ბავშვის მეურვეობის საკითხის გადასაწყვეტად. უფრო კონკრეტულად კი, სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით განსაზღვრავდნენ არასრულწლოვნისათვის საუკეთესო მეურვეს.

ქართულ საკანონმდებლო აქტებში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპი განსაზღვრულია არა მხოლოდ საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“, ასევე, 2019 წლის 27 სექტემბერს მიღებულ საქართველოს კანონში „ბავშვის უფლებათა კოდექსში“, რომელმაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას“.

არასრულწლოვნისადმი სრულწლოვანთაგან განსხვავებული მიდგომა განპირობებულია მათი მოწყვლადობიდან,⁸⁵ რაც „გარდატეხის ასაკიდან“ მომდინარე ცვლილებებითაა გამოწვეული,⁸⁶ კერძოდ, ბავშვის გონებრივი და ფიზიკური მოუმწიფებლობით. სწორედ,

⁸⁵ Children in the world [Children in the World - Humanium](#) (09.07.2023) World population: past, present and future. <[World Population Clock: 7.9 Billion People \(2021\) - Worldometer \(worldometers.info\)](#)> სტატისტიკურად მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ბავშვია (09.07.2023).

⁸⁶ მორის შალიკაშვილი, *არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები* (თბილისი: 2013), 14. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Ganrideba-morisi.pdf (09.07.2023).

ამ ფაქტორებიდან გამომდინარეა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია ბავშვთა უფლებების მთავარი დამცავი მექანიზმი.⁸⁷ საუკეთესო ინტერესების არსებობა არის გარანტია იმისა, რომ არასრულწლოვნის მიმართ დასჯის ნაცვლად იმგვარი ღონისძიებები იქნება გამოყენებული, რაც ხელს შეუწყობს მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.⁸⁸

„საუკეთესო ინტერესების“ ამომწურავი განმარტება არც ერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ გვხვდება. „საუკეთესო ინტერესების“ ტესტის მთავარი მოთხოვნაა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ორიენტირებული იყოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე და გაემიჯნოს დამსჯელობით ღონისძიებებს.⁸⁹ საუკეთესო ინტერესების გაანალიზებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, რომ იგი იუვენალური იუსტიციის მთავარი პრინციპია და მიუხედავად იმისა, რომ სხვა პრინციპებიც ფუნდამენტურია, სხვა ყველა პრინციპი მასთან შესაბამისობაში უნდა არსებობდეს ნებისმიერი საკითხის დარეგულირებისას.⁹⁰

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიხედვით, იუვენალური იუსტიცია ურთიერთდამოკიდებული წესების ერთობლიობაა, სადაც ბავშვი - მთავარი ინტერესისა და პირველადი განხილვის სუბიექტია მის მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილებისას.⁹¹ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიხედვით: „უპირველეს ყოვლისა გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“. ⁹² ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება არის

⁸⁷ მარიამ ბობოხიძე, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები“ (დისერტაცია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2020), 5. <<https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf>> (09.07.2023).

⁸⁸ ირინე იმერლიძევილი, არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა. ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, (თბილისი: 2017), 76.

⁸⁹ ქეროლინ ჰამილტონი, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები* (ნიუ-იორკი: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011), 34.

⁹⁰ European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the protection of children's Rights (Venice: Council of European, 2014), 12.

⁹¹ Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice (Council Europe of Publishing, 2011), 18.

⁹² საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ <[არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

სამგანზომილებიანი და იგი ერთდროულად: 1) მატერიალური უფლება; 2) ძირითადი სამართლებრივი პრინციპია; 3) საპროცესო ნორმაა.⁹³

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები უპირველესად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც უნდა შეფასდეს საქმის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.⁹⁴ „სახელმწიფომ უნდა დაიცვას და განამტკიცოს ყველა ბავშვის უფლება და თავისუფლება, რასაც საფუძვლად ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უნდა დაედოს. ბავშვებთან დაკავშირებული ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას კი, საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ ყოველთვის ხსენებული პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს“.⁹⁵

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლოს ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას“.⁹⁶

ამავე კოდექსის მეხუთე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „სამართლის ნორმის განმარტებისას გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად“.⁹⁷

⁹³ General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para.1) <https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc_c_gc_14_eng.pdf> (09.07.2023).

⁹⁴ ევროპის საბჭო, *ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო*. მთარგმნ. ლაშა ლუსმანაშვილი (თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020), 171.

⁹⁵ ევროპის საბჭო, *ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო*. მთარგმნ. ლაშა ლუსმანაშვილი (თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020), 6.

⁹⁶ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, <[ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://www.matsne.gov.ge)> (09.07.2023).

⁹⁷ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, <[ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://www.matsne.gov.ge)> (09.07.2023).

არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ან მოქმედება, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ბავშვის საუკეთესო ინტერესებად, თუ მის რეალურ საჭიროებებზეა მორგებული.⁹⁸ არასრულწლოვნები თავიანთი განვითარების დონით, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით განსხვავდებიან, როგორც ერთმანეთისაგან, ისე, სრულწლოვანთაგან, რაც მოითხოვს ყველას მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას, რაც არასრულწლოვნისათვის საუკეთესო შედეგის მომტანი იქნება.⁹⁹

არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების გარეშე პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რაც ქმედითი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა, ვერ იქნება მიღწეული.¹⁰⁰ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვის მიმართ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაში მთავარია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვა, რითაც იუვენალური მართლმსაჯულების მიზნები თავისთავად მიღწეულია, რაცაა ქვაკუთხედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების.¹⁰¹ აღნიშნული პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სარკეა, სადაც ჩანს სამართლებრივი ხარვეზები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით განსაზღვრული საკითხები უნდა გავანალიზოთ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან მიმართებით, თუ შეუსაბამობა იქნება, მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობაში ხარვეზია და შემდგომ ნაბიჯად მისი მოწესრიგება უნდა განიხილებოდეს.

⁹⁸ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო* (თბილისი: 2015), 13.

⁹⁹ General Comment No. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, <https://www.right-to-education.org/sites/right-to-education.org/files/resource-attachments/CRC_General_Comment_10.pdf>

¹⁰⁰ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>> (08.07.2023).

¹⁰¹ Asgeir Falch-Eriksen and Elisabeth Backe-Hansen, *Human Rights In Child Protection, Implications for professional practice and Policy* (Oslo: Macmillan, 2018), 62.

თავი II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრული პატიმრობის საკანონმდებლო კონსტრუქცია

2.1. პატიმრობის გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას კუმულაციურად უნდა არსებობდეს ფაქტობრივი ანუ მტკიცებულებითი და ფორმალური ანუ საპროცესო საფუძველები. ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველი გულისხმობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობას. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ბრალდების მხარეს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები სრულად აქვს შეგროვებული ან საქმის მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგი საგამომიებო მოქმედებები მიმდინარეა, თუმცა, უკვე არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ბრალდების დასაბუთებლად. აღნიშნული მოცემულობა უნდა იყოს „რელევანტური“ და „საკმარისი“ იმისათვის, რომ პირის მიმართ წარდგენილი ბრალი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იყოს მოცემული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის მიხედვით, პატიმრობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია საფუძვლიანი ეჭვი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რაც უფრო ნაკლებ მტკიცებულებას გულისხმობს, ვიდრე მსჯავრდება, თუმცა, საფუძვლიანი ეჭვის არსებობა ობიექტურ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საფუძვლიანი ეჭვი გულისხმობს ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობას, რაც ობიექტური პირისათვის საკმარისია ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩასადენად. ამ დროს მტკიცებულებები „საფუძვლიანი“ უნდა იყოს,

რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში მხედველობაში მიღების შემდეგ განისაზღვრება.¹⁰²

მტკიცებულებების შემოწმებისას ყველა საწინააღმდეგო გარემოება უნდა იქნეს გაანალიზებული უდანაშაულობის პრეზუმფციის მხედველობაში მიღებით, რაც ამართლებს ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევას. პატიმრობა მიზანშეწონილია მაშინ, თუ ამის დამადასტურებელი „რელევანტური და საკმარისი“¹⁰³ არგუმენტები არსებობს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღკვეთის ღონისძიების ნებისმიერი სახის გამოყენების შემთხვევაში, იქნება ეს უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა თუ უფლებების ნაკლებად შემზღვეველი სახე, მაგალითად - გირაო, მტკიცებულებითი საფუძველი ერთნაირი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა არსებობდეს. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რაც გულისხმობს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და მეორე მხრივ, ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებების მომცველი ფაბულის შემთხვევაში გამოძიების მიერ ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა ერთნაირი სტანდარტით უნდა არსებობდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ყოველმხრივ და სრულად უნდა აწარმოოს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის მითითება არაა საკმარისი.

სავალდებულოა მოხდეს ფაქტებისა და ინფორმაციის კონკრეტულად მითითება და განხილვა, თუ რა დადგინდა ამ მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლივი განხილვის შემდგომ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ობიექტურ დამკვირვებელს უნდა შეექმნას რწმენა იმისა, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება ბრალდებულმა ჩაიდინა. რეკომენდირებულია, რომ მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებაში კონკრეტული მტკიცებულებების იმგვარივე ფორმით და უფრო მაღალი სტანდარტითაც განხილვა

¹⁰² ECtCH. Case Of Fox, Campbell and Hartley v. UK (Application nos. 12244/86 and 12383/86), 8 February 1990, §32.

¹⁰³ ECtCH. Case Of Yagci and Sargin v. Turkey (Application nos. 16419/90 and 16426/90), 8 June 1995, §50.

მოხდეს, როგორც ეს პროკურორის მიერ წარდგენილ აღკვეთის შუამდგომლობაშია მითითებული, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიება კუმულაციურად მოიცავს მტკიცებულებით და ფორმალურ საფუძველებს. შესაბამისად, სათანადო არგუმენტებით უნდა დასაბუთდეს, რატომ არსებობს ორივე საფუძველი ერთობლიობაში და მხოლოდ მშრალი მითითება ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველის არსებობის თაობაზე დასაბუთების გარეშე არ შეესაბამება სასამართლოს მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილებისათვის აუცილებელ დასაბუთებულობის სტანდარტს.

2.2 პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძველი

საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, კუმულაციურად უნდა არსებობდეს ორი საფუძველი, კერძოდ: ფაქტობრივი იგივე მტკიცებულებითი და ფორმალური იგივე საპროცესო საფუძველები. ფორმალურ საფუძველებს მიეკუთვნება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებული საფრთხე იმისა, რომ ბრალდებულის მიერ მოხდება მიმალვა და ამ გზით მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, მტკიცებულებების განადგურება და/ან ახალი დანაშაულის ჩადენა.¹⁰⁴

კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შერჩევა დამოკიდებულია თითოეული საფრთხის ინტენსივობაზე და არა მათ სიმრავლეზე. უნდა გაანალიზდეს თითოეული საფრთხის არსებობა და მათი რელევანტურობა მართლმსაჯულების შედეგიან განხორციელებაში. პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა და იგი მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით პრევენციულ-უზრუნველმყოფი მიზნები ვერ მიიღწევა, რაც არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო მიზანი.¹⁰⁵

¹⁰⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> (09.07.2023). საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

¹⁰⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> (09.07.2023). საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

პატიმრობის დასასაბუთებლად ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების შემდგომ, მისი მიზანშეწონილობის საკითხის განსაზღვრა აუცილებელია, რაც გულისხმობს დასაბუთებას, რომლითაც დადასტურდება, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები, რაც ბრალდებულის უფლებებში ნაკლებ ჩარევას მოითხოვს არასაკმარისი იქნება აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად. „პრევენციული პატიმრობა უსაფუძვლოა, თუ დემოკრატიულ საზოგადოებაში სათანადო ბალანსი არ დამყარდა დანაშაულის ჩადენის გარდაუვალი საფრთხის პრევენციასა და თავისუფლების უფლებას შორის“.¹⁰⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენებისას ფორმალური საფუძვლების არსებობა „გონივრული ეჭვის“ სტანდარტით უნდა არსებობდეს.¹⁰⁷ აღნიშნული გულისხმობს ობიექტური დამკვირვებლისათვის იმგვარი ფაქტების ერთობლიობას, რაც „გონივრულობის“ იმგვარ ბარიერზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე უბრალოდ „ეჭვია“.¹⁰⁸ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღიარებული აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების სახელმძღვანელო სტანდარტი - „გონივრული ეჭვი“ და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტი შინაარსობრივად იდენტურია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ქრილში განიხილავს ბრალდებულთა პატიმრობის შესაბამისობას ევროპულ კონვენციასთან. კერძოდ, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების თანახმად, ზოგადი უფლებაა თავისუფლების უფლება, რომლისგანაც

¹⁰⁶ ECtHR, Case of S., V. and A. v. Denmark (Application nos. NN35553/12, 36678/12 and 36711/12), 22 October 2018, §161.

¹⁰⁷ European Court of Human Rights, *Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, right to liberty and security* (Council of Europe: 2022), 20. <https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf> (10.07.2023).

¹⁰⁸ European Court of Human Rights, *Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, right to liberty and security* (Council of Europe: 2022), 22. <https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf> (10.07.2023).

გამონაკლისია უფლებებში ჩარევის კანონიერი აუცილებლობები, როგორცაა, მაგალითად კანონიერი დაპატიმრება, მათ შორის, არასრულწლოვნის მიმართ.¹⁰⁹

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების საკითხის გაანალიზებისთვის რელევანტურია, როგორც არასრულწლოვანთა, ისე სრულწლოვანთა პრაქტიკის შესწავლა, რადგანაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან თანხვედრაში უნდა დამუშავდეს მისაღები გადაწყვეტილება. მიზანშეწონილია, განმარტების მეთოდის - „მით უფრო, დასკვნის“ არგუმენტის გამოყენება, რომლის თანახმადაც: „რაც უფრო მეტი ხარისხითაა ნიშანი არსებული, მით უფრო უნდა დადგეს/არ დადგეს სამართლებრივი შედეგი“.¹¹⁰

არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეფარდებისას მთავარი განსხვავება ისაა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ შეფარდებული პატიმრობა გარდა იმისა, რომ უფრო მეტად დასაბუთებული უნდა იყოს, ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტურ ნორმა-პრინციპებთან ერთიანობაშიც უნდა განიხილებოდეს, როგორცაა - არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის, პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიებისა და არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპები.

სწორედ, ამიტომ არის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით - პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობასა და სასამართლოს განჩინებებში, არანაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ფაქტობრივი და ფორმალური დასაბუთების შემდგომ აღნიშნული პრინციპების შესაბამისობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და არასრულწლოვნის პიროვნებასთან მიმართებით.

¹⁰⁹ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.11.1950. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Convention_ENG> (10.07.2023).

¹¹⁰ ოლაფ მუთჰორსტი, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა* (თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019), 151.

სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის დასასაბუთებელი ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები მსგავსია. თუმცა, საკითხის უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენისათვის უნდა განვიხილოთ საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ მოცემული კოდექსისეული კონსტრუქცია, რომელიც სრულწლოვანთაგან განსხვავებით დამატებით წინაპირობებად განსაზღვრავს შემდეგს: „1) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა; გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს“.¹¹¹ შესაბამისად, კოდექსისეული განმარტება მკაფიოდ აყალიბებს დასკვნას, რომლის თანახმადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისათვის პატიმრობა აღმატებულად უკიდურესი საშუალებაა.¹¹²

„პეკინის წესებში“ განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომელთა კუმულაციური არსებობისას პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას პატიმრობა. კერძოდ: „ა) ზემოქმედების ზომები თანაზომადი უნდა იყოს არამხოლოდ სამართალდარღვევის გარემოებებსა და სიმძიმესთან, ასევე, არასრულწლოვნის მდგომარეობასა და საზოგადოების მოთხოვნილებებთანაც;

ბ) არასრულწლოვნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, მის მიმართ პატიმრობის შეფარდების შესახებ გულმოდგინედ უნდა იქნეს შესწავლილი და მინიმალური სახით ჩარევა მოხდეს არასრულწლოვნის უფლებების შეზღუდვაში;

გ) არასრულწლოვანის მიმართ პატიმრობა მის მიერ სერიოზული დამართალდარღვევისას უნდა იქნეს გამოყენებული;

¹¹¹ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

¹¹² CCPR/C/GC/35, General Comment No35_ Article 9 (Liberty and Security of Person) UNHCR, 28/10/2014; IV -38, <<https://www.refworld.org/docid/553e0f984.html>> (10.07.2023).

დ) არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის შეფარდებამდე მთავარი მხედველობაში მისაღები გარემოება არასრულწლოვნის კეთილდღეობა უნდა იყოს“.¹¹³

საქართველოში საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, განსაკუთრებული სიფრთხილით ხდება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევა არასრულწლოვანთა მიმართ. როგორც წესი, სასამართლო მხედველობაში იღებს მის ასაკს, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევისა და მისი ხელახალი აღზრდისათვის აუცილებელ გარემოებებს, რასაც აფასებს მისი პიროვნული მახასიათებლებისა და საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების მიხედვით.

პატიმრობა საგამონაკლისო ღონისძიების სახით არსებული ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა.¹¹⁴ კანონმდებლობაში და შემდგომ, უკვე პრაქტიკაში იმგვარად უნდა იყოს დარეგულირებული არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენება/შეფარდების საკითხი, რომ მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში და მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას გამოიყენებოდეს, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას.

მხედველობაში მისაღები საკითხია, რომ პატიმრობის დასასაბუთებლად რელევანტური ფორმალური საფუძვლების რაიმე ერთიანი ფორმულა ბუნებაში არ არსებობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველი კონკრეტული საქმე ინდივიდუალურია, სადაც საქმის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების, ამასთან, არასრულწლოვნის პიროვნების მხედველობაში მიღების შემდეგ უნდა განისაზღვროს რომელი აღკვეთის ღონისძიება იქნება პრევენციულ-უზრუნველმყოფი ხასიათის მომხდენი.

თუმცა, პრაქტიკის შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან უფრო თვალნათელს გახდის საფრთხეების დასაბუთებას კონკრეტული მაგალითებით. მთავარი სახელმძღვანელო

¹¹³ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>> (10.07.2023).

¹¹⁴ Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial,para.1 <[https://www.barobirlik.org.tr/dosyalar/duyurular/hsykkanteklifi/recR\(80\)11e%20De%C4%9Fi%C5%9Ftirilmi%C5%9F%20rec\(2006\)13.pdf](https://www.barobirlik.org.tr/dosyalar/duyurular/hsykkanteklifi/recR(80)11e%20De%C4%9Fi%C5%9Ftirilmi%C5%9F%20rec(2006)13.pdf)> (10.07.2023).

იდეაა, რომ დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურებისა და მიმალვის საფრთხის აბსტრაქტულად, pro forma-დ მითითება.¹¹⁵

2.2.1 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე

2.2.1.1 სასჯელის სიმძიმე

აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება მიმალვისა და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის საფრთხის დასაბუთება, რაც უმეტესწილად საბუთდება ბრალად წარდგენილი დანაშაულისათვის არსებულ სასჯელზე მითითებით. თუმცა, ამგვარი დასაბუთება დაგმობილია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე ეროვნული პრაქტიკით და განმარტებულია, რომ მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე მითითება არაა საკმარისი მიმალვის საფრთხის დასაბუთებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში დასაბუთება აბსტრაქტული და შაბლონური ხასიათისაა, რაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ დაუშვებელია.¹¹⁶

მიმალვის საფრთხე უნდა დასაბუთდეს სასჯელის სიმძიმესთან ერთობლიობაში არსებული სხვა რელევანტური ფაქტორებით, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად გადასაწყვეტია, რითაც ან დასაბუთდება ან უარყოფილ იქნება მიმალვის საფრთხის არსებობა,¹¹⁷ თუ რა უნდა იყოს ამგვარი მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც მიუთითებს, რომ ბრალდებული თავს აარიდებს გამოძიებასა და სასამართლოს დამოკიდებულია ბრალდებულის პიროვნებასთან, მის პროფესიასთან, ასაკთან,

¹¹⁵ Council Of Europe, Parliamentary Assembly, 2077(2015), Abuse of pretrial detention in States Parties to the European Convention on Human Rights, 01/10/2015, §6 <http://www.europeanrights.eu/public/atti/2077-riso-inkl_PDF.pdf> (10.07.2023).

¹¹⁶ EctHR, Case Of Patsuria v. Georgia (Application no. №30779/04), 6 November 2007, §77.

¹¹⁷ ECtHR, Case of Letellier v. France (Series A no. №207), 26 June 1991, §43.

ჯანმრთელობისა თუ ოჯახური მდგომარეობასა და სხვა გარემოებებთან, რაც საფრთხის რეალურობას წარმოაჩენს.¹¹⁸

ბრალდების სიმძიმე თავისი არსით, მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანი წონის ადეკვატური არგუმენტია, თუმცა, პრობლემა მაშინ არსებობს, როცა მიმალვის საფრთხის დასაბუთებლად ერთადერთი საფუძველია. სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში ბრალდების სიმძიმე ასაბუთებს მიმალვის საფრთხეს;¹¹⁹ მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე მითითება აბსტრაქტული ვარაუდია და, შესაბამისად, დაუსაბუთებელია, ¹²⁰ თუმცა, დანაშაულის სიმძიმეზე მითითება უკანა პლანზე გადაწეული ვერ იქნება, ვინაიდან, იგი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით პიროვნების სამომავლო ქცევაზე გარკვეული მნიშვნელობის წარმოდგენას გვიქმნის.

ბრალად წარდგენილი დანაშაულის კატეგორია და სასჯელი არ არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის. საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის განჩინება, რომელითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასრულწლოვნისათვის შეფარდებული პატიმრობა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენებულ იქნა გირაო, მიუხედავად იმისა, რომ ბრალი წარდგენილი ჰქონდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1 ნაწილით. სასამართლომ განმარტა, რომ ბრალად წარდგენილი ქმედების ძალადობრივი ხასიათი და შინაარსი, მართალია, არ უთითებს არასრულწლოვანი ბრალდებულის დადებით მახასიათებლებზე, თუმცა, არც იმას მიუთითებს, რომ აქვს მყარი მიდრეკილებანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენისაკენ. მხოლოდ ქმედების ხასიათი და სიმძიმე არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პატიმრობის გამოყენების უალტერნატივო საფუძველი. აღნიშნული გარემოებები სასამართლოს არწმუნებს ახალი დანაშაულის შესაძლო საფრთხის აღსაკვეთად ეფექტური აღკვეთის ღონისძიების შერჩევის აუცილებლობაში. საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ბრალდებული არსებითად აცნობიერებს და გულწრფელად განიცდის მისი ქმედებებით გამოწვეულ

¹¹⁸ ECtHR, Case of Panchenko v. Russia (Application no. №45100/98), 8 February 2005, §75; ECtHR, Case of Becciev v. Moldova (Application no. №9190/03), 4 October 2005, §58.

¹¹⁹ ECtHR, Case of Ilijkov v. Bulgaria (Application no. №33977/96), 26 July 2001, §80.

¹²⁰ ECtHR, Case of Idalov v. Russia (Application no. №5826/03), 22 June 2021, §145.

მავნე შედეგებს, როგორც დაზარალებულის, ასევე, მისი და მისი ოჯახის წევრების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებული 15 წლის მოზარდია, ის მეათე კლასის მოსწავლეა, რომლის ცნობიერება და ხასიათი ჩამოყალიბების პროცესშია. ის არ არის ნასამართლევნი და მშობლების მიერ არ ხასიათდება უარყოფითად, მომეტებულად არ ვლინდება ბრალდებულის სურვილი, თავი აარიდოს მართლმსაჯულებას და მიიმალოს სასჯელის შიშით, მით უმეტეს, რომ მისთვის ცნობილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული საკანონმდებლო შეღავათების თაობაზე.

ამდენად, სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების ხასიათის, სიმძიმის, მომხდარი დანაშაულით დამდგარი შედეგის მიმართ არასრულწლოვანი ბრალდებულის დამოკიდებულების, მისი პიროვნების, სათანადო ქცევის მზადყოფნის გათვალისწინებით, კოლეგია განმარტავს: განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეფასებულიყო მისგან მომდინარე ახალი დანაშაულის ჩადენის თუ მიმალვის, სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდების რისკის ხარისხი და გაანალიზებულიყო, გადაწონიდა თუ არა არასრულწლოვნის თავისუფლებაში ყოფნის სარგებელი პატიმრობის შედეგად მიღწეულ მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხეები არ არის იმ ხარისხის, რომ ამართლებდეს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.¹²¹

სხვა რელევანტური ფაქტორები, რომლებიც სასჯელის სიმძიმესთან ერთად მიმალვის საფრთხის რეალურობას ასაბუთებს შეიძლება იყოს ბრალდებულის არაკანონმორჩილი ქცევა, როდესაც იგი თავს არიდებს საგამომიებო ორგანოში მისვლას, ამასთან, საზღვარგარეთ წასვლის სურვილში, როდესაც ბილეთები აქვს ნაყიდი და აპირებს გამგზავრებას, ასევე, მისი მხრიდან კანონის დარღვევის მცდელობებიც ერთგვარი მყარი არგუმენტი შეიძლება იყოს მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის.¹²²

¹²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №1გ/924-23.

¹²² Home office, detentions: general instructions, (Published for Home Office staff on 14 January 2022), 17. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/1114683/Detention_General_instructions.pdf (10.07.2023).

გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის ქვეშ მისი მიმალვის საფრთხეს გარკვეულწილად ასაბუთებს სასჯელის სიმკაცრესთან ერთობლიობაში. ვინაიდან, პირობითი მსჯავრის ქვეშ დანაშაულის ჩადენა ბრალდებულს მძიმე სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს და თუ მასთან საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა შეღავათიანი პირობით, მას რეალური თავისუფლების აღკვეთა ემუქრება და ეს ფაქტორები ბრალდებულისთვის ცნობილია, რამაც შესაძლოა მისი მხრიდან მიმალვის სურვილი წარმოშოს.

2.2.1.2 ბრალდებულის საცხოვრებელი გარემო

სასამართლო გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის რელევანტური ფაქტორებია ის, რომ ბრალდებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა, საქართველოსთან მჭიდროდ არაა დაკავშირებული საცხოვრებლით, სამსახურით, სწავლითა თუ ადამიანებით, რაც ერთობლიობაში უთითებს იმაზე, რომ მისთვის საქართველოს დატოვება რაიმე სახის ზიანთან არაა დაკავშირებული, თუმცა, მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეობაც არაა დასაბუთებისათვის საკმარისი, თუ სხვა რაიმე რელევანტური ფაქტორებიც არ გვექნება მოცემული.¹²³

ასევე, შესაძლებელია ბრალდებული იყოს საქართველოს მოქალაქე, მაგრამ იმ დონეზე მყარი კავშირები ჰქონდეს საზღვარგარეთ, როგორცაა ოჯახისა თუ სამსახურის უცხო ქვეყანაში არსებობა, ასევე, უძრავი ქონება უცხო ქვეყანაში, რომ ეს ფაქტორები მისი მხრიდან ნებისმიერ დროს საქართველოს დატოვების საფრთხეს წარმოშობდეს და ამ გზით მიმალვის საფრთხეს ასაბუთებდეს,¹²⁴ თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ საზღვარგარეთ კავშირი, თუ ყველა ფაქტორი ერთობლიობაში არ გაანალიზდა არაა მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის რელევანტური.¹²⁵

¹²³ CCPR/C/GC/35, General Comment No35_ Article 9 (Liberty and Security of Person) UNHCR, 28/10/2014; IV -38, <<https://www.refworld.org/docid/553e0f984.html>> (10.07.2023).

¹²⁴ გიორგი გიორგაძე, რედ., *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით* (თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015), 594.

¹²⁵ ECtHR, Case of Aleksandr Makarov v. Russia (Application no. №15217/07), 12 March 2009, §126.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიმალვის საფრთხე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან ერთად, უსაფუძვლოდ მიიჩნია მხოლოდ იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ბრალდებულის მიმართ წარსულში არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, არ არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილით, არ აქვს სამსახური და ოჯახი.¹²⁶ სასამართლომ აღნიშნული მოცემულობები ზოგად და აბსტრაქტულ მსჯელობად მიიჩნია და ამგვარი დასაბუთების პირობებში, პატიმრობა არარელევანტურად.¹²⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ ბრალდებულს სამართალმწარმოებელ ქვეყანასთან არ აქვს არანაირი სახის კავშირი, არც ნათესაური, არც სამსაურეობრივი, არც საცხოვრებელი გააჩნია და სხვა რაიმე, უთითებს მისი მხრიდან მიმალვის საფრთხის არსებობას, თუ მის მიმართ პატიმრობა არ იქნება გამოყენებული.¹²⁸

2.2.1.3 პატიმრობაში გატარებული დროის ფაქტორი

მიმალვის საფრთხეზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია პატიმრობაში გატარებული დრო, ვინაიდან, უმეტესწილად, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას პირველი წარდგენის სხდომაზე არსებული საფრთხეების ხარისხი იკლებს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მაშინ როდესაც ძირითადი მტკიცებულებები დამაგრებულია საქმეზე ან/და საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას გამოკვლეულია მტკიცებულებების ძირითადი ნაწილი ამ დროს პატიმრობის დასაბუთების არგუმენტირება იკლებს.¹²⁹

სასამართლო განმარტავს, რომ პატიმრობაში გატარებული დრო მიმალვის საფრთხის არსებობას ამცირებს, რადგან ბრალდებულმა იცის, რომ პატიმრობაში გატარებული დრო

¹²⁶ ECtHR, Case of Sulaoja v. Estonia (Application no. №55939/00), 15 February 2005, §54.

¹²⁷ ECtHR, Case of Sulaoja v. Estonia (Application no. №55939/00), 15 February 2005, §64.

¹²⁸ ECtHR, Case of Chraidi v. Germany (Application no. № 65655/01), 26 October 2006, §40.

¹²⁹ ECtHR, Case of Clooth v. Belgium (Application no. №12718/87), 12 December 1991, §44.

სასჯელის საბოლოო ვადებში იქნება ჩათვლილი და ეს მის პიროვნებას სასჯელის დამძიმების თავიდან აცილებისკენ უბიძგებს.¹³⁰

2.2.2 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და განადგურების საფრთხე

2.2.2.1 გამოძიების მიმდინარეობისას მოსაპოვებელ მტკიცებულებათა მდგომარეობა

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის დასაბუთება კონკრეტულ გარემოებებს უნდა ეფუძნებოდეს.¹³¹ მათ შორის, მნიშვნელოვანია „მტკიცებულებების მდგომარეობის“ შეფასება, რაც შესაძლებელია მიანიშნებდეს საქმის სერიოზულობას.¹³²

აღსანიშნავია, დანაშაულთა სახეები, სადაც მოწმეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია მთავარი მტკიცებულებებია, შესაბამისად, ამ კატეგორიის დანაშაულებზე მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე მომატებულია, როგორცაა მაგალითად, თაღლითობა. საკითხი მით უფრო რთულდება, თუ თაღლითობის რამდენიმე ეპიზოდთან მიმართებითაა ბრალდება წარდგენილი, რა დროსაც საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას დაზარალებულები არიან დასაკითხნი, ხოლო ბრალდებული კარგად იცნობს დაზარალებულს და მასზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რაც უმეტესად ფიქსირდება თაღლითობის საქმეებში. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ბრალდებულის მიერ დაზარალებულებსა და მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენაც მისი პიროვნული მონაცემებიდან გამომდინარე შესაძლებელია.

მტკიცებულებების განადგურების საფრთხე რელევანტურია ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულების დროსაც, უმეტესწილად ბრალდებულები იცნობენ ერთმანეთს და

¹³⁰ ECtHR, Case of Neumeister v. Austri (Application no. №1936/63), 27 June 1968, §10.

¹³¹ ECtHR, Case Of Patsuria v. Georgia (Application no. №30779/04), 6 November 2007, §71.

¹³² ECtHR, Case of Dereci v. Turkey (Application no. №77845/01), 24 May 2005, §38.

მეგობრები არიან და ერთიანად შეთანხმებული პოზიციით მოქმედებენ ან/და პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით მოქმედებენ მოწმეებზე და ამ გზით ანადგურებენ საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს.¹³³

ბრალდებულის პიროვნება მნიშვნელოვანი გარემოებაა თუ რა გავლენა ექნება მას მოწმეებზე, მაგალითად, როდესაც ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსანია რისკი იმასთან დაკავშირებით, რომ მისი თავისუფლებაში ყოფნისას მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენა შესაძლებელია.¹³⁴ თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე მითითებით არარელევანტურია პატიმრობის დასაბუთება.¹³⁵

ასევე, სენსიტიური საკითხია და მოწმეებზე ზემოქმედების მაღალი რისკის მატარებელია, ოჯახური დანაშაულები. ბრალდებულს შეუძლია ოჯახის წევრებს აიძულოს მისი მამხილებელი ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავება, რითაც განადგურდება საქმეზე ჭეშმარიტების დამდგენი მტკიცებულებები, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახური დანაშაულები მოწმეთა ნაკლებობით ხასიათდება და უმეტესად, ბრალდებულისა და დაზარალებულის გარდა სხვა მოწმე არ არსებობს. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ოჯახური კავშირი არაა მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის დასაბუთებელი, უნდა არსებობდეს რაიმე მასტიმულირებელი ფაქტორი იმისათვის, რომ მოწმეებზე მოახდინოს ზემოქმედება და განადგუროს მტკიცებულებები, რითაც ხელს შეუშლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე აღარ იარსებობს, როდესაც საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას ისინი სასამართლოს წინაშე დააფიქსირებენ მათთვის ცნობილ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციას.¹³⁶

¹³³ ECtHR, Case of Mikiashvili v. Georgia (Application no. №18996/06), 9 October 2012, §102.

¹³⁴ ECtHR, Case of Merabishvili v. Georgia (Application no. №72508/13), 14 June 2016, §30.

¹³⁵ ECtHR, Case of Clooth v. Belgium (Application no. №12718/87), 12 December 1991, §36.

¹³⁶ ECtHR, Case of Letellier v. France (Series A no. №207), 26 June 1991, §39.

2.2.3 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

2.2.3.1. დანაშაულის ბუნება და ხასიათი

დანაშაულის ბუნება რიგი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე უთითებს. მაგალითად, ასეთ კატეგორიებს, მიეკუთვნება ოჯახური დანაშაულები, რაც თავისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე განმეორებითობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, რადგანაც, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტური სიტუაცია ამოწურული არ არის, რის გამოც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე გაზრდილია.

ბრალდებულის მიმართ წარსულში არსებული გამამტუნებელი განაჩენების რაოდენობა, თუნდაც გაქარწყლებული, ბრალდებულის პიროვნებას დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილად წარმოაჩენს.¹³⁷ მით უფრო, თუ მის მიერ ანალოგიურ ხასიათის დანაშაულია ჩადენილი. ასევე, მის პიროვნებას უარყოფითად წარმოაჩენს მის მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული შეღავათები, ასევე, დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის მიმდინარეობისას, რაც უთითებს, რომ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ამ ყოველივემ ვერ მოახდინა გავლენა, რომ ბრალდებული არის დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილი და არაკანონმორჩილი, რაც საბოლოოდ მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს ასაბუთებს.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე უთითებს ბრალდებულის პიროვნების უარყოფითი მახასიათებლები, ასევე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების დარღვევის ხასიათი, მისი განწყობები, ინტერესები, ქცევის თავისებურებები და შესაძლებლობები, დანაშაულის ჩადენის ხერხი, ხასიათი, დანაშაულებრივი კავშირები; მისი პიროვნების მხედველობაში მიღება, თუ მისთვის არანაირი სახის შემაკავებელი ფაქტორი არაა მაგალითად, სხვისი საკუთრების არამართლზომიერი დაუფლება, რაც მის პიროვნებას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისაკენ წარმოაჩენს.

¹³⁷ ECtHR, Case of Nart v. Turkey (Application no. №20817/04), 6 June 2008, §28.

არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასასაბუთებლად მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების - განრიდების მხედველობაში მიღებაც, ვინაიდან განრიდება თავისი არსით გულისხმობს იმას, რომ დანაშაული მომხდარია, თუმცა, სახელმწიფომ შეღავათი გამოიყენება და არასრულწლოვანს ერთგვარად აპატია პირველ ჯერზე ჩადენილი დანაშაული.

დანაშაულის ჩადენის სპეციფიკა პიროვნებას მნიშვნელოვნად აფასებს. მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ ძარცვის განხორციელება მომეტებულ გამბედაობაზე უთითებს, მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მის მიმართ ნასამართლობა და პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა.

2.3 პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება

კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა - ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების იმგვარი არსებობა, რაც პატიმრობის მიზანშეწონილობას ასაბუთებს, როგორც მის საწყის ეტაპზე, ასევე, შემდეგაც, მანამდე, სანამ ბრალდებული პატიმრობაში იქნება.¹³⁸ პროკურორმა უნდა დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოიკვეთოს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით რატომ ვერ იქნება პრევენციულ-უზრუნველმყოფი მიზნები მიღწეული.¹³⁹

მტკიცებულებითი და ფორმალური საფუძვლების დასაბუთების შემდეგ, პროკურორის მიერ უნდა დასაბუთდეს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, რაც განხილული დასაბუთების ერთგვარი შეჯამება უნდა იყოს. მიზანშეწონილობის დასაბუთება არ გულისხმობს საპირისპირო ტაქტიკის ანუ გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას.¹⁴⁰ ამ დროს, პატიმრობის დასაბუთება არ გულისხმობს იმის აღნიშვნას, რომ მაგალითად, ადამიანის უფლებების უფრო ნაკლებად მზღუდველი აღკვეთის

¹³⁸ ECtHR, Ilijkov v. Bulgaria (Application No. 33977/96), 20 October 1997. §88.

¹³⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> (09.07.2023).

¹⁴⁰ გიორგი გიორგაძე, რედ., *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი*, (თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015), 559.

ღონისძიება - გირაო ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა და შესაბამისად, მისი მოთხოვნისას ბრალდების მხარე უნდა იყოს კატეგორიული, ხოლო დასაბუთება - მისი გამოყენების აუცილებლობაზე აგებული.

ეროვნული სასამართლოს განჩინებების შესწავლის შედეგად,¹⁴¹ ირკვევა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება ხდება ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით და რაიმე ახალ განმარტებას ან ფორმულირებას არ ითხოვს. სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ქმედების ხასიათს, მისი ჩადენის ხერხსა და სპეციფიკას, ბრალდებულის პიროვნებას, მის ასაკს, საქმიანობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას. თუ აღნიშნული გარემოებების ერთობლიობაში გაანალიზების შემდეგ სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის გამოყენება მისი მხრიდან აღკვეთის ღონისძიების ფორმალური საფრთხეებისგან დაცვას უზრუნველყოფს, მაშინ გამოდის, რომ სასამართლოსთვის პატიმრობის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია.

ამასთან, აღნიშნულ განჩინებებში, ხშირად, სასამართლოს მიერ მიზანშეწონილობის დასაბუთებისას პროპორციულობაზე მითითება ხდება, კერძოდ, თუ რამდენად პროპორციულია ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების მხედველობაში მიღების შემდეგ. მიზანშეწონილობა, ერთგვარად, განმარტებულია პროპორციულობად და გულისხმობს, საქმის ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების პროპორციულობას შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებასთან.

¹⁴¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1985-22, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1779, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3899-22, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განჩინება, საქმე №10ა/5076, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე №10ა/269, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3929.

2.4 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხის გადასინჯვა მოსამართლის მიერ

სისხლის სამართლის პროცესი არაა სტატიკური. ესაა მუდმივად გამოწვევებით სავსე და მოქნილ ქმედებათა ჯაჭვი. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე არსებული საფრთხეები შეიძლება მოდიფიცირდეს და დღის წესრიგში დადგეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი.

საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ მე-9 მუხლში გამოკვეთილადაა ყურადღება გამახვილებული პატიმრობის გადასინჯვაზე, რაც პრინციპის დონეზეა ინკორპორირებული.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 64-ე მუხლში განმარტებულია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგ, წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე, საკუთარი ინიციატივით იხილავს პატიმრობის ძალაში დატოვების, შეცვლის ან გაუქმების მიზანშეწონილობას. ამის შემდეგ კი, მას აქვს ვალდებულება, ყოველ 20 დღეში ერთხელ განიხილოს მისი ძალაში დატოვების აუცილებლობა. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის თუ გაუქმების თაობაზე მტკიცების ტვირთი პროკურორის მხარესაა.

საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ სხვა რაიმე სახის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა საფუძვლებით შეიძლება გამყარდეს პატიმრობის გადასინჯვა ან მოსამართლემ რა გარემოებები უნდა მიიღოს მხედველობაში, არ იძლევა. ამ საკითხის მეტი კონკრეტიზაციისათვის უნდა მივმართოთ საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ დებულებებს, ვინაიდან საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს“.¹⁴²

¹⁴² საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

შესაბამისად, ამ საკითხს დღის სინათლეს ჰფენს საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის თანახმადაც პატიმრობის შესაცვლელად დასმული უნდა იყოს „ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და წარმოდგენილი მტკიცებულებები“, რომელიც „შეიძლება“ უთითებდეს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების „შესაძლებლობაზე“.¹⁴³

კანონმდებელი არ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს „ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხი და მტკიცებულებები“. მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტების თანახმად, ახალი, არსებითი მნიშვნელობის უნდა იყოს საკითხი და მტკიცებულება, რომელიც პატიმრობის შეცვლას გამოიწვევდა. „საკითხი“ და „მტკიცებულება“, ერთგვარად, შეგვიძლია ერთ ჭრილში განვიხილოთ, თუმცა, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, „საკითხად“ შეიძლება მივიჩნიოთ იმგვარი გარემოებები, რაც უფრო მეტად პიროვნულია და საქმის ფაქტობრივ და ფორმალურ გარემოებებთან არსებითად არაა დაკავშირებული.

მაგალითად, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის შემთხვევაში ლეტალურად დამთავრდება და რომ პენიტენციურ დაწესებულებას არ აქვს შესაძლებლობა, კონკრეტული მიმართულებით იმგვარი სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ბრალდებულს, რაც მისთვის პატიმრობას შესაძლებელს გახდის. რაც შეეხება ახალ, არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას, ეს, ცხადია, უნდა უკავშირდებოდეს ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებს. ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება უნდა უთითებდეს საფრთხის შემცირებაზე ან გაზრდაზე, რაც დამოწმებული უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცებულებით.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების პატიმრობით შეცვლის საკითხი დაისმის, როდესაც: 1) ამოიწურება პატიმრობის მაქსიმალური ვადა; 2) ბრალდებულმა თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში უარი

¹⁴³ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> (09.07.2023).

განაცხადა გირაოს თანხის გადახდაზე; 3) ბრალდებულმა დაარღვია აღკვეთის ღონისძიების პირობები; 4) შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე, შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას.¹⁴⁴

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ვკითხულობთ, რომ ახალი, არსებითი ხასიათის მტკიცებულებად უნდა მიიჩნეოდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა,¹⁴⁵ ვინაიდან აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოძიების პროცესში არსებული რისკების ინტენსივობის ხარისხს. კონკრეტულად, ბრალდებულს ნაკლებად წარმოაჩენს მტკიცებულებათა განადგურებისკენ მიდრეკილად, ასევე, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეც შესუსტებულია და მიმალვის საფრთხეც არარელევანტურია.

თუმცა, ყოველი ახალი არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხი და მტკიცებულება მართალია წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის საფუძველს, მაგრამ უპირობოდ არ წამოადგენს მისი გაუქმების ან ნაკლებად მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველს. საქმეში არსებული ყველა რელევანტური გარემოების მხედველობაში მიღების შემდეგ უნდა იქნეს მიღებული შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილება.

ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხი და მტკიცებულება სათანადო მასალებით უნდა იქნეს დამოწმებული, რაც იქნება დამაჯერებელი აღკვეთის ღონისძიების შესაცვლელად.

¹⁴⁴ გიორგი გიორგაძე, რედ., *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი* (თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015), 616.

¹⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის განჩინება, საქმე №1გ/98.

2.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე

1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირველი, იურიდიულად სავალდებულო, საერთაშორისო სამართლებრივი აქტია. ევროპული კონვენცია მეცნიერთა მიერ განმარტებულია, როგორც „მშრალი“ დოკუმენტი.¹⁴⁶ შესაბამისად, პრეცედენტული სამართალი ამდიდრებს და მნიშვნელობას სძენს თითოეულ ნორმას და ადგენს გარემოებებს, თუ როდის, როგორ შეიძლება განიმარტოს ესა თუ ის ნორმა. სწორედ, ამ დოკუმენტის და გადაწყვეტილებების დამსახურებაა ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარება, მათი უფლებრივი გარანტიების განმტკიცება, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსისა და მნიშვნელობის გაფართოება.¹⁴⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პოსტულატ პრინციპებს წარმოადგენს კანონის უზენაესობა და თვითნებური უფლებამოსილების თავიდან აცილება.¹⁴⁸ აღნიშნული პრინციპების დაცვით ძლიერდება საზოგადოების ნდობა და ყალიბდება გამჭვირვალე მართლმსაჯაულება, რაც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია.¹⁴⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო სამართლის წყაროდ მიიჩნევა, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო დონეზე მისი ნორმების შესრულება საქართველოსთვის სავალდებულოა, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან

¹⁴⁶ კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 67.

¹⁴⁷ კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 66.

¹⁴⁸ ECtHR, Case of Roche v. United Kingdom (Application no. №32555/96), 19 October 2005, §. 116.

¹⁴⁹ ECtHR, Case of Suominen v. Finland (Application no. №37801/97), 1 July 2003, §37; ECtHR, Case of Tatishvili v. Russia (Application no. №1509/02), 9 July 2007, §58.

კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“.¹⁵⁰

აღნიშნული ჩანაწერით და საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, იგი იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზეც, რამაც წარმოშვა უფლება-მოვალეობები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.¹⁵¹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებით უნდა იხელმძღვანელონ ეროვნულმა სასამართლოებმა მართლმსაჯულების განხორციელებისას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები პრეცედენტულია ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული კონვენციის ნორმათა „ავტორიტეტული განმარტების“ თვალსაზრისით, ¹⁵² რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არის შესაძლებელი ნორმის შინაარსის გაანალიზება. უფრო კონკრეტულად, ეროვნულმა სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის შინაარსის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად გადაწყვეტილება არაა სავალდებულო ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დავის მხარეები არიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან“.¹⁵³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოველ გადაწყვეტილებაში დადგენილია ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები. სასამართლოს

¹⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია <[საქართველოს კონსტიტუცია | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"](http://matsne.gov.ge) (matsne.gov.ge)> (09.07.2023).

¹⁵¹ კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 53.

¹⁵² კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 56.

¹⁵³ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.11.1950. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Convention_ENG> (10.07.2023).

გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებული ნორმებისათვის ნათელის მოფენას და ამ გზით მათი განვითარებისათვის ბრძოლას, რითაც ხელი შეეწყობათ სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ნორმების განმარტების კუთხით,¹⁵⁴ მათ შორის, საქართველოს პრაქტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ევროპული გადაწყვეტილებების გაანალიზება.

ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილებების დასაბუთებისას მიზანშეწონილია გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რათა მათი მხრიდან არ მოხდეს ნორმის ვიწროდ განმარტება, მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ნორმის სხვაგვარი განმარტებაა მიღებული.¹⁵⁵ მით უფრო, მნიშვნელოვანია ევროპული პრეცედენტების გაზიარება, რომ ევროპული კონვენცია არის „ცოცხალი ორგანიზმი“ და არა სტატიკური დოკუმენტი,¹⁵⁶ რომელიც მუდმივად ვითარდება და განვითარების გზას გადის.

ეროვნული სასამართლო პრაქტიკა ვითარდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ მისი ჯეროვანი გამოყენება მოხდეს ეროვნულ გადაწყვეტილებებში, რისთვისაც მოძიებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება, კერძოდ, ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც კონკრეტულ შემთხვევას მეტად მოჰფენს ნათელს. ამ გზით, ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს სტანდარტებით მოხდება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მრავალფეროვანი პრაქტიკა გააჩნია ევროპულ სასამართლოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულწლოვანთა მიმართ

¹⁵⁴ ECtHR. Case Of Ireland v. The United Kingdom (Application no. №5310/71), 20 March 2018, § 97.

¹⁵⁵ კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 65.

¹⁵⁶ კონსტანტინე კორკელია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, (თბილისი: 2002), 66.

გამოყენებული გადაწყვეტილებები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გავრცელდეს არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდების დასაბუთებაზე.

ამ კუთხით, სასამართლოს როლი მნიშვნელოვანია ანალოგიური გადაწყვეტილებების მოძიების და დასაბუთების კუთხით, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროკურორის როლი, რომელმაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს პატიმრობის მოთხოვნის მიზანშეწონილობა და უმჯობესია, თუ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებულობა გაჯერებული იქნება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რაც დასაბუთებას მაღალ ხარისხს შეძენს და ამ გზით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პრაქტიკის დახვეწაში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება ფართოდ გავრცელებულია ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.

თუმცა, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია ყველა გადაწყვეტილებაში მიეთითოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თაობაზე. ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილ განჩინებებში იშვიათია იმგვარი გადაწყვეტილება, სადაც მითითებული არაა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონის გამოყენებისას მიღებული გადაწყვეტილება იგივეა, რაც მაშინ, თუ სასამართლო ეროვნულ კანონსა და კონვენციას ერთად გამოიყენებდა, მაშინ კონვენციის გამოყენების ფუნქცია, რეალურად, მეორეხარისხოვანი როლისაა. ამ დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია,¹⁵⁷ გადაწყვეტილებას სძენს ავტორიტეტულობას და ადასტურებს, რომ იგი დაფუძნებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტზე, ისე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.

საქართველოს ეროვნული პრაქტიკის გაცნობისას, ფაქტობრივად, არ მოიძებნება ბრალდებულის პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების განჩინება, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არაა მოყვანილი, რითაც

¹⁵⁷ კონსტანტინე კორკელია, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში*, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2003), 108.

უფრო მეტად არგუმენტირებულია განჩინება და იგი სარწმუნოობის მაღალ სტანდარტს იძენს.¹⁵⁸

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თუ მიეთითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მისი ფაქტობრივი გარემოებები იდენტური უნდა იყოს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების. რეკომენდებული არაა, ყველა სისხლის სამართლის საქმე ერთი და იმავე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დასაბუთდეს. აღნიშნული, უფრო მეტად, აბსტრაქტულ მსჯელობაზე უთითებს და არა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ჯეროვან გამოყენებაზე.

¹⁵⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1985-22, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1779, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3899-22, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განჩინება, საქმე №10ა/5076, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე №10ა/269, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3929.

თავი III. არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდება გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად

3.1. საპატიმრო გირაოს არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით

თავისუფლების პრეზუმფცია გულისხმობს პრეზუმფციას გათავისუფლების სასარგებლოდ. თავისუფლების შეზღუდვა გამონაკლისის სახით უნდა გამოიყენებოდეს, აბსოლუტური აუცილებლობის გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფლების ნებისმიერი სახის აღკვეთა პირის თვითნებობისაგან თავისუფალი უნდა იყოს.¹⁵⁹ პატიმრობა დამაჯერებლად არგუმენტირებული უნდა იყოს, რისთვისაც სახელმწიფომ „რელევანტური და საკმარისი“ მიზეზები უნდა მოიძიოს.¹⁶⁰

აღკვეთის ღონისძიების საპროცესო მიზანი პრევენციულ-უზრუნველყოფი ხასიათისაა, მისი დანიშნულება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაა.¹⁶¹

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია, არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, რომლის ჩადენის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასდება ბრალდებულის პიროვნება და მისგან მომდინარე საფრთხეები, რაც მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლაზე მიუთითებს. დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტიქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს და ასე შემდეგ.¹⁶²

საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით რეგულირებულია გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხი. საპატიმრო გირაო გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი დაკავებით, ხოლო თუ

¹⁵⁹ ECtHR. Case of A. And Others v. United Kingdom, (Application no. №3455/05), 19 February 2009, §162-164.

¹⁶⁰ ECtHR. Case of Smirnova v. Russia, (Application nos. №46133/99 and №48183/99), 24 July 2003, § 61-63.

¹⁶¹ თამარ ბოჭორიშვილი და ბექა თაკვალანძე, *აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები* (თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), 22.

¹⁶² გიორგი გიორგაძე, რედ., *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი* (თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015), 558-559.

პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მის მიმართ ბრალის წაყენებით - გამოიყენება არასაკატიმრო გირაო.¹⁶³

საკატიმრო გირაოს კოდექსისეული განმარტებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების საკითხი დროსთან ერთად მოდიფიცირდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებამ საკატიმრო გირაოს გამოყენების თაობაზე მიდგომა შეცვალა. მართალია, თავად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მეექვსე ნაწილის ფორმულირების მოდიფიცირება არ მომხდარა, თუმცა, პრაქტიკამ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება ტელეოლოგიურ მიზნად განმარტა და ამით კანონმდებლის მიზანი პრაქტიკაში გადაიტანა.

2022 წლის 24 ივნისის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, აღნიშნული მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, დაკავება იყო წინაპირობა „საკატიმრო გირაოს“ გამოყენების, რაც იმით საბუთდებოდა, რომ რეალურად მოქმედი რედაქცია მოსამართლეს არ აძლევდა შესაძლებლობას თავად გადაეწყვიტა საკატიმრო გირაოს გამოყენება.¹⁶⁴ აღნიშნული მსჯელობით გამოდიოდა, რომ მოსამართლის ნაცვლად გადაწყვეტილებას „კანონი“ მშრალად, „ფორმალურად“ იღებდა.¹⁶⁵ კანონი სიტყვა-სიტყვითი განმარტებით იქნა გაგებული და სიტყვები - პატიმრობას „უფარდებს“, თავდაპირველი პრაქტიკით გულისხმობდა მოსამართლის ვალდებულებას

¹⁶³ 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე. <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13018>> (10.07.2023).

¹⁶⁴ გიორგი ლაცაბიძე, „პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების, თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში“, სამართალი და მსოფლიო, №10 (2018): 45. იხ. აგრეთვე, 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე. <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13018>> (10.07.2023).

¹⁶⁵ გიორგი ლაცაბიძე, „პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების, თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში“, სამართალი და მსოფლიო, №10 (2018): 48.

გამოყენებინა საპატიმრო გირაო, ¹⁶⁶ რადგანაც სიტყვა - „უფარდებს“ ნიშნავდა გამოყენების ვალდებულებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.¹⁶⁷

საინტერესოა, რომ საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ თავდაპირველ რედაქციებში იყო ჩანაწერი - „სასამართლო უფლებამოსილია“, მოქმედ რედაქციაში კანონმდებელმა ეს სიტყვები შეცვალა სიტყვით - „უფარდებს“. აღნიშნული ცვლილებით კანონმდებელმა, ფაქტობრივად, წესის გამოყენების სავალდებულობაზე მიუთითა და არა არჩევანის თავისუფლებაზე. რთული სათქმელია, რომ არა წესის სავალდებულობა, რატომ შეცვალა კანონმდებელმა სიტყვა „უფლებამოსილება“ სიტყვით „უფარდებს“?!

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს მაშინაც კი არ რჩებოდა შეფასების თავისუფლება, როდესაც პროკურორი არ ითხოვდა საპატიმრო გირაოს შეფარდებას, მთავარი ფაქტორი აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების შესაფარდებლად იყო დაკავება. კანონის განმარტების მიხედვით, მთავარი იყო საბოლოო შედეგი ყოფილიყო პატიმრობა და ამის გადაწყვეტის დისკრეციას არც პროკურორს და არც მოსამართლეს არ აკისრებდა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილების მთავარი მიმღები იყო კანონი და მოსამართლისა და პროკურორის როლი იყო ფორმალური, მთავარი იყო ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით - დაკავება არსებულიყო.¹⁶⁸

2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მე-200 მუხლის მეექვსე ნაწილი - საპატიმრო გირაოს არსი, თანაზომიერების პრინციპის მიხედვით შეაფასა. კერძოდ, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების მიხედვით:

- 1) განსაზღვრა, თუ რა არის ადამიანის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი;
- 2) შეზღუდვის გამოსადეგობის რაობა;

¹⁶⁶ გიორგი ლაცაბიძე, „პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების, თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში“, სამართალი და მსოფლიო, №10 (2018): 52.

¹⁶⁷ 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13018>> (10.07.2023).

¹⁶⁸ 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13018>> (10.07.2023).

3) შეზღუდვის აუცილებლობა, რის შემდგომაც გამოირიცხა შეზღუდვის აუცილებლობის დაცულობა და მეოთხე ელემენტის - პროპორციულობის განხილვის საჭიროება დღის წესრიგში აღარ დადგა.

კონსტიტუციის მე-13 მუხლიდან, რაც ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას გულისხმობს, გამომდინარეობს მისი შეზღუდვის შემთხვევები. თავის მხრივ, მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთეს წარმოადგენს შესაძლო დამნაშავეს გამოვლენა და მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება. ასევე, ბრალდებული პირის მიმართ სათანადო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების წინაპირობაა.¹⁶⁹

ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის შემდეგ, უნდა დადგინდეს, თუ რამდენად გამოსადეგია მისაღწევი მიზნის გზაზე ადამიანის უფლების შეზღუდვის საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ: „გირაოს უზრუნველყოფამდე პირის პატიმრობაში დატოვება, ფაქტობრივად, გამოირიცხავს ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობას, არსებითად აზღვევს მისი მხრიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებას, ისევე, როგორც ხელახალი დანაშაულის ჩადენას და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას, ხოლო მოგვიანებით, გირაოს უზრუნველყოფა ქმნის გარანტიებს, რომ ბრალდებული, ქონებრივი ინტერესის გათვალისწინებით, იმოქმედებს მისთვის კანონით დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება გამოძიებისთვის ხელშეშლის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისათვის პირობების შექმნის გამოსადეგი საშუალებაა“.¹⁷⁰

გამოსადეგობის შემდგომ დასადგენი კრიტერიუმია აუცილებლობის არსებობა. ყველა აღკვეთის ღონისძიება ემსახურება ერთი და იმავე მიზნის მიღწევას. ყოველი

¹⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/654 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50.

¹⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341,1660 საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, 4-27.

კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალიზირებული შეფასების შემდეგ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უნდა პასუხობდეს აუცილებლობის მოთხოვნას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის საკანონმდებლო კონსტრუქციის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება აუცილებლობის მოთხოვნას არღვევს და შესაბამისად, ამ კრიტერიუმის არარსებობით ნორმის ამგვარად განმარტება თანაზომიერების, პროპორციულობის შეფასებას გამოიცხავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს: „პრაქტიკაში, შესაძლებელია, არსებობდეს, გირაოს გადახდის უზრუნველსაყოფად პირის პატიმრობაში დატოვების ობიექტური საჭიროება. მაგალითად, მოსამართლე შეიძლება მიიჩნევდეს, რომ გირაოს გადახდამდე ბრალდებულის გათავისუფლება ქმნის მიმალვის დაუყოვნებელ საფრთხეს. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსამართლე, ასევე, შეიძლება თვლიდეს, რომ მიმალვის მყისიერი საფრთხე არ არსებობს, თუმცა, არის რისკები, რომ ბრალდებული არ გამოცხადდება გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე.

ბუნებრივია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან შემთხვევათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შეუძლებელია წინასწარ აღნიშნული შემთხვევების ამომწურავად განსაზღვრა, რამდენადაც ამგვარი ვითარების არსებობა საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე და სხვადასხვა გარემო ფაქტორზეა დამოკიდებული. თუმცა, ასევე, ბუნებრივია, რომ სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მოსამართლე შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ არსებობს გირაოს გამოყენების საფუძველი, მაგრამ აუცილებელი არ არის ბრალდებულის მიერ მისი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, ანდა, გირაოს უზრუნველყოფისათვის აუცილებელი არ არის ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება.

ამგვარ ვითარებაში, გირაოს (ან მისი ნაწილის) გადახდამდე ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობს. ამდენად, აშკარაა, რომ სწორედ საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე და არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, უნდა შეაფასოს მოსამართლემ, თუ გირაოს დაუყოვნებლივ

გადახდის უზრუნველსაყოფად რამდენად არსებობს პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა“.¹⁷¹

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სადავო ნორმა არ აძლევს მოსამართლეს შესაძლებლობას, შეაფასოს, ერთი მხრივ, რამდენად არსებობს პირის გათავისუფლებამდე გირაოს გადახდის აუცილებლობა, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად არის საჭირო გადახდის უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება... მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა, ნაკლებად მზლუდავი საშუალება იქნებოდა მოსამართლის მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირისათვის პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის შემოწმება. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა იმაზე ფართოა, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის ობიექტურად საჭირო. ამდენად, სადავო რეგულირება არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს“.¹⁷²

ამრიგად, აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის კოდექსისეული განმარტება შეიცვალა. კანონმდებლის რეალური ნება ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკით და დაკავებული ბრალდებულისთვის ავტომატურად საპატიმრო გირაოს შეფარდება აღარ ხდება. ამ შემთხვევაში, საფრთხეების გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება ჩვეულებრივი გირაოს თუ ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, პატიმრობის საკითხის გადამწყვეტი პირის/ორგანოს უფლებამოსილება უნდა იყოს მიიღოს საქმისთვის რელევანტური გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს მის უფლებამოსილებას ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების რეალური დისკრეცია, რაც შედეგი იქნება საქმის

¹⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341,1660 საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, 4-35.

¹⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341,1660 საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე -200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, 4-36/37.

ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების მხედველობაში მიღებით. ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პრობლემა საპატიმრო გირაოს გამოყენება კი არაა, არამედ უნდა დასაბუთდეს, რატომ საპატიმრო გირაო და დასაბუთება უნდა იყოს იმ სტანდარტის, რაც პატიმრობის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან დაუშვებელია პირისათვის თავისუფლების შეზღუდვა მყარი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გარეშე. მისი არარსებობა იწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას. აღნიშნულ მიდგომას თუ მივუსადაგებთ გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენების წესს, როდესაც საპატიმრო გირაოს გამოყენების მთავარი საფუძველი იყო დაკავება, ამით სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს სერიოზული ზიანი ადგებოდა.¹⁷³

ასევე, მისი ნაკლოვანება კარგად ჩანდა მაშინაც, როდესაც პატიმრობა დაუშვებლად მიიჩნეოდა და დაკავებული პირისათვის შეფარდებული საპატიმრო გირაოს თანხის გადაუხდელობისას ბრალდებული პატიმრობაში რჩებოდა, რაც ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებული იყო. აღნიშნული სამართლებრივი ნონსენსი სრულიად შეუსაბამოა სისხლის სამართლის პრინციპებთან.

აღსანიშნავია, ომარ ჯორბენაძის მოსაზრება, რაც მსგავსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობისა. კერძოდ, ომარ ჯორბენაძის განმარტებით, პრობლემა საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის არაკონსტიტუციურობა ან/და ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამობა კი არაა, არამედ პრობლემა გადაწყვეტილების მიმღებ პირებშია (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი), რომელთა მიერ ნორმის არასწორი განმარტება მოხდა და ჩამოყალიბდა იმგვარად, თითქოს დაკავების შემდეგ ბრალდებულს ავტომატურად უნდა შეეფარდოს განგრძობადი პატიმრობა.¹⁷⁴

¹⁷³ 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13018>> (10.07.2023).

¹⁷⁴ ომარ ჯორბენაძე, „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, მართლმსაჯულება და კანონი, 1'18 (2018): 106.

ომარ ჯორბენაძის განმარტებით, თუ „უფარდებს“ კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა, მაშინ, გამოდის, რომ: „პირს პატიმრობას უფარდებს არა სასამართლო, არამედ პროკურორი ან გამომძიებელი, რადგან თუ პროკურორი ან გამომძიებელი მიიღებენ პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას და დააკავებენ მას, მოსამართლე, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შემთხვევაში, ვალდებული ხდება გამოიყენოს დაპატიმრება ანუ გამოდის, რომ პროკურორის და გამომძიებლის დისკრეციაა, გამოყენებულ იქნას თუ არა დაპატიმრება გირაოს გამოყენების მიზნით და სასამართლო ვერაფერს ვერ შეცვლის. ანუ თუ პროკურორი ან/და გამომძიებელი მიიღებენ პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას, დააკავებენ ბრალდებულს და პროკურორი მოითხოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას ან გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით, ხოლო მოსამართლე არ დააკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების შესახებ და თავისი ინიციატივით შეუფარდებს გირაოს ან თუ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას გირაოს გამოყენების შესახებ, მოსამართლე ვალდებული ხდება, გამოიყენოს დაპატიმრება გირაოს უზრუნველყოფის მიზნით მხოლოდ იმის გამო, რომ პროკურორმა ან/და გამომძიებელმა მიიღეს გადაწყვეტილება პირის დაკავების შესახებ და სასამართლოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს გირაო, გაათავისუფლოს პირი დაკავებიდან და განუსაზღვროს გირაოს შეტანის ვადა“.¹⁷⁵

სადაო არაფერია იმაში, რომ ნორმის სიტყვა-სიტყვით განმარტებაზე მნიშვნელოვანი ნორმის რეალური არსისა და მიზნის გაანალიზებაა, მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნორმა იმდენად განჭვრეტადი უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ სენსიტიურ საკითხთან გვაქვს, როგორცაა პატიმრობა, რომ საკითხის სხვაგვარად განმარტების არანაირ გზას კანონმდებელი არ ტოვებდეს. უხეშად რომ ვთქვათ, ათი იურისტიდან ერთმაც რომ არასწორად განმარტოს ეს საკითხი და პრაქტიკულად გამოიყენოს, უკვე სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, მით უფრო, თუ საქმე ეხება არასრულწლოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების

¹⁷⁵ ომარ ჯორბენაძე, „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“. მართლმსაჯულება და კანონი, 1'18 (2018): 106-107.

შემდეგ, საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის კოდექსისეული ჩანაწერი იგივე დარჩა, თუმცა, შეიცვალა მიდგომა და პრაქტიკა, რამაც კანონმდებლის რეალური არსი გამოხატა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საპატიმრო გირაოს პრაქტიკაში არსებობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანება გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტს ეხებოდა. კერძოდ, ის ფაქტორი, რომ: „სასამართლო პრაქტიკაში, თითქმის არ არსებობს შემთხვევა, როდესაც გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, განჩინებაში დასაბუთებულია პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა. დასაბუთების საგანი გირაოა, ხოლო პატიმრობის შეფარდება მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმის მშრალი მითითების საფუძველზე ხდება, იქნება ეს უშუალოდ ე.წ. საპატიმრო გირაოს შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება თუ პატიმრობის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევა და გირაოს შეფარდება. უმრავლეს შემთხვევაში, ბრალდებულის დაპატიმრების საკითხი პირდაპირ განჩინების სარეზოლუციო ნაწილშია გადაწყვეტილი, რაც, თავისთავად, მისი გამოყენების არბიტრარულ ხასიათზე მეტყველებს“.¹⁷⁶

3.2 საპატიმრო გირაოს საკანონმდებლო რეგულირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

საინტერესოა, შეიძლება თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება.¹⁷⁷ საქართველოს

¹⁷⁶ ნანა მჭედლიძე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, (თბილისი: ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი, 2017 წლის იანვარი), 93.

¹⁷⁷ სტატისტიკის მიხედვით, საპატიმრო გირაო ჩვეულებრივ გამოიყენებოდა და რაიმე აკრძალვა პრაქტიკული კუთხით ამ აღკვეთის ღონისძიების მიმართ არ არსებობდა - 2019 წლის 6 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით - პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი შეადგენდა 42%-ს (62 საქმე), გირაო - 29%-ს (44 საქმე); არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა 21%-ს (31 საქმე); შეთანხმება გასვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - 4%-ს (6 საქმე); გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით - 4%-ს (6 საქმე) <<https://pog.gov.ge/uploads/7bc4208f-statistika-arasrulwlovnebe.pdf>> (10.07.2023).

კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ ამ საკითხის პირდაპირი დარეგულირება არ გვხვდება. თუმცა, ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სხვა ნორმატიული აქტების გამოყენება მაშინ შეიძლება თუ არასრულწლოვნისათვის შეღავათის მომტანია.

მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება. მათ შორის აღსანიშნავია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ არასრულწლოვნისათვის შეფარდებული საპატიმრო გირაო: *„გირაოს უზრუნველყოფის მიზნით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა სპეციფიკური უფლებამოსილებაა, რომლიც ზუსტად უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დარეგულირებული. ასევე, ბრალდებულს აღნიშნულ საქმეში არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი და იგი მშობლების ან/და ნათესავის გადახდის იმედადაა, რაც, მაღალი ალბათობით, მისთვის პატიმრობის შეფარდების ტოლფასია“*.¹⁷⁸ ამრიგად, მოსამართლემ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რადგან ინკორპორირებული არაა საპატიმრო გირაო, იგი არც არსებობს, რაც ინოვაციური განმარტებაა, მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან ერთეული შემთხვევები, მოწმობს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოიყენებოდა. შესაბამისად, საკითხი დარეგულირებას მოითხოვს ორაზროვანი განმარტებების გარეშე.

მეცნიერთა შორის გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება დაუშვებელია, ¹⁷⁹ რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც არგუმენტირებულად გმობს არასრულწლოვანთა

¹⁷⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №1გ/1516.

¹⁷⁹ თათია ქვრივიშვილი, „არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1 (2017): 109.

მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენებას, მათ შორის აღსანიშნავია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც წითელ ხაზადაა მოცემული საპატიმრო გირაოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შეუსაბამობა: „არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება.

თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არ არის განსაზღვრული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაკავებულია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, ხოლო რაც შეეხება სხვა საპროცესო ნორმის გამოყენებას, ამავე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს, ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ შეღავათს და ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს. შესაბამისად, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს უზრუნველსაყოფად არ გამომდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნებიდან და ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რის გამოც მის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავება განგრძობადი პატიმრობის სახით უნდა გაუქმდეს“.¹⁸⁰

¹⁸⁰ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 დეკემბრის განჩინება, საქმე 10/ა- 19/18.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გარდა, თუ რა პრობლემური საკანონმდებლო თუ პრაქტიკული მხარეები აქვს საპატიმრო გირაოს გამოყენებას არასრულწლოვანთა მიმართ, კუმულაციურად უნდა ვიმსჯელოთ, თუ რამდენად შესაბამისობაშია იგი იუვენალური იუსტიციის ზოგად პრინციპებთან. მათ შორის, პრინციპის დონეზე გატარებულ პრინციპთან, როგორცაა - პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება; აღნიშნული მოითხოვს, ერთი მხრივ, დადგენილ იქნას არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის პატიმრობაში ყოფნის უპირატესობა,¹⁸¹ მის თავისუფლებაში ყოფნასთან შედარებით და, მეორე მხრივ, არასრულწლოვანისათვის შეფარდებულმა პატიმრობამ იმაზე მეტი ზიანი არ უნდა გამოიწვიოს, ვიდრე მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოიწვევდა.¹⁸²

ყველაზე მთავარი ნორმა და პრინციპი კი, ესაა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, რომლის გარეშეც იუვენალურ იუსტიციაში არანაირი ნორმისა და ქმედების განმარტება არ უნდა ხდებოდეს.

იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპთა ანალიზის შედეგად არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება უნდა იქნეს დაუშვებელი, ვინაიდან ეს არაა არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებისკენ მიმართული და აცდენილია სამართლებრივ დასაბუთებას.¹⁸³

სამართლებრივი ნორმის პრაქტიკული განმარტება სრულად მიესადაგება ზემოთ განვითარებულ მსჯელობას. მისასაღმებელია, რომ დღეის მდგომარეობით, ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში არ მოიძებნება არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შერჩეული იქნა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

საკითხისადმი მიდგომა განმარტებულია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოს პროკურატურის 2022 წლის

¹⁸¹ ლალი ფაფიაშვილი, „დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (თბილისი: 2010), 168.

¹⁸² მორის შალიკაშვილი და გივი მიქანაძე, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: გამომცემლობა მერიდიანი, მეორე გამოცემა, 2016), 185.

¹⁸³ მარინე კვაჭაძე, რედ., *აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში* (თბილისი: მერიდიანი, 2019), 83.

სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება, რომლის თანახმადაც, აღკვეთის ღონისძიების სახედ მითითებულია გირაო და მსჯელობა საპატიმრო გირაოსთან მიმართებით არ ხორციელდება, ვინაიდან მისი პრაქტიკაში ფუნქციონირება არ ხდება.¹⁸⁴ პრაქტიკის ამგვარი მოცემულობა ზემოთ განვითარებული მსჯელობის შესაბამისი და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და სამართლის ნორმათა განმარტების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.

3.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით განსაზღვრული თავისუფლების უფლება ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს მის დაცვას და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის გულმოდგინე დამოკიდებულებას. რაც უფრო მკაცრდება უფლებებში ჩარევა, მით უფრო მაღალი ხარისხის დასაბუთებაა საჭირო. სწორედ, ამგვარია აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, იგივე „საპატიმრო გირაო“. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნებისმიერი სახის თავისუფლების შეზღუდვა სათანადო, დამაჯერებელი არგუმენტებით უნდა იქნეს დასაბუთებული.¹⁸⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი წესის თანახმად, სრულწლოვანთა მიმართ არსებული სტანდარტები ანალოგიურად ვრცელდება უფრო მეტი დასაბუთების პირობებში არასრულწლოვანთა მიმართ.¹⁸⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ბრალდებულის მიმართ საპატიმრო გირაოს შეფარდებას დასაშვებად მიიჩნევს სათანადო დასაბუთების პირობებში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ იმ ოდენობის გირაოს თანხა იყოს შეფარდებული, რომ ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ სხვა პირს მისი გადახდა შეეძლოს.¹⁸⁷ წინააღმდეგ

¹⁸⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში, 2023, <<https://pog.gov.ge/uploads/b1e8eb81-arasrulwlovanTa-marTlmsajulebis-shedegebis-angarishi.pdf?fbclid=IwAR0eIosebIeZjNxZbyMk2oR0fDhV3fvTu0v1dJPHTptXzpg1Ah6ukkwE9Ik>> (06.09.2023).

¹⁸⁵ ECtHR. Case of Dubinskiy v. Russia, (Application no. №48929/08), 3 July 2014, §59.

¹⁸⁶ მარინე კვაჭაძე, რედ., აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში (თბილისი: მერიდიანი, 2019), 79.

¹⁸⁷ ECtHR. Case of Toshev v. Bulgaria, (Application no. №56308/00), 10 August 2006, §69-70.

შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა სასამართლო „თვითნებობად“ განმარტავს ბრალდებულის შემოსავლებთან და ქონებრივ მდგომარეობასთან შეუსაბამოდ დიდ თანხას და თავისუფლების უფლებაში ჩარევის დარღვევას ადგენს.¹⁸⁸

გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, შედეგობრივად, პატიმრობის მსგავსი იქნება, თუ ხელისუფლების ორგანოები „განსაკუთრებულ გულისხმიერებას“ არ გამოიჩენენ,¹⁸⁹ რაშიც იგულისხმება ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის და შემოსავლების განსაზღვრა, მის ქონებასთან და შემოსავლებთან დაკავშირებული მასალის მოძიება, საქმის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების ზედმიწევნით გაანალიზება. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ კი უნდა მოხდეს საპატიმრო გირაოს შეფარდება. თუ ბრალდებული თანხას ვერ იხდის, გამოდის, რომ თვითნებობას ჰქონდა ადგილი და საპატიმრო გირაო სინამდვილეში შეფარული პატიმრობაა.

3.4 საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

საინტერესოა, საუკეთესო პრაქტიკის მქონე იუვენალური მართლმსაჯულების სისტემებში საპატიმრო გირაოს გამოყენების კუთხით არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და მეცნიერ თუ პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებები. მასალების შესწავალამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება შესაძლებელია, თუ ამის სათანადო დასაბუთება არსებობს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე მსჯელობისას გავაანალიზებთ გერმანიისა და ხორვატიის პრაქტიკას.

გერმანიის იურისპრუდენციაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განმსაზღვრელი „ახალგაზრული სასამართლოების აქტი“ ფუნქციონირებს, სადაც სტრუქტურულიზებულიაა მოწესრიგებული იუვენალური იუსტიცია. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ცალკე აწესრიგებს პატიმრობას.

¹⁸⁸ ECtHR. Case of Iwanczuk v. Poland, (Application no. №25196/94), 15 February 2002, §64. ECtHR. Case of Gafa v. Malta, (Application no. №54335/14), 08 October 2018, §73-75. ECtHR. Case of Kolakovic v. Malta, (Application no. №76392/12), 19 June 2015, §74-75.

¹⁸⁹ ECtHR. Case of Gafa v. Malta, (Application no. №54335/14), 08 October 2018, §71.

რაც შეეხება სხვა აღკვეთის ღონისძიებებს, მათ შორის, გირაოს, გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, იგი კონკრეტულად არაა განსაზღვრული, თუმცა, გაკეთებულია მითითება, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული შეიძლება იქნეს სრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების სახეები.¹⁹⁰

გერმანიის სრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსის 116ა პარაგრაფით გათვალისწინებულია გირაო და მითითებულია, რომ მის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.¹⁹¹ ასევე, გათვალისწინებულია გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, რა დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანხის ოდენობას.

ხორვატია იმ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ცალკე სამართლებრივი დოკუმენტითაა მოწესრიგებული იუვენალური მართლმსაჯულება. ესაა „არასრულწლოვანთა სასამართლოების აქტი“.¹⁹² აღნიშნული აღკვეთის ღონისძიებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პატიმრობას, როგორც უკიდურეს ზომას და აწესებს, რომ იგი მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, თუ სხვა, ნაკლებად მზღუდველი ღონისძიებებით მიზანი ვერ იქნება მიღწეული.¹⁹³ თუ რომელია სხვა აღკვეთის ღონისძიება, მითითება გაკეთებულია ხორვატიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, რომლის თანახმადაც, გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვროს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობიდან და შემოსავლებიდან გამომდინარე, ასევე, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.¹⁹⁴

ვფიქრობ, საქართველო, არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხში, მოწინავე სახელმწიფოთა რიცხვშია, ვინაიდან, თუ რატომ არ გამოიყენება და

¹⁹⁰ The German „Youth Courts Act“, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_jgg/> (10.07.2023).

¹⁹¹ The German Code of Criminal Procedure, <<https://policehumanrightsresources.org/content/uploads/2016/08/Criminal-Procedure-Code-Germany-1987.pdf?x49094>> (10.07.2023).

¹⁹² The Croatia „Juvenile Courts Act“, <https://www.vsrh.hr/custompages/static/hrv/files/legislation_juvenile-courts-act.pdf> (10.07.2023).

¹⁹³ The Croatia „Juvenile Courts Act“, <https://www.vsrh.hr/custompages/static/hrv/files/legislation_juvenile-courts-act.pdf> (10.07.2023).

¹⁹⁴ Criminal Procedure Act of Republic of Croatia, <https://www.vsrh.hr/CustomPages/Static/HRV/Files/Legislation_Criminal-Procedure-Act.pdf> (10.07.2023).

არ უნდა გამოიყენებოდეს იგი, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი შესაძლებელია ვიპოვოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო აქტებითა და პრაქტიკის გაანალიზებით.

თავი IV. ინდივიდუალური შეფასების არსი და მისი მიმართება

პატიმრობის გამოყენების საკითხთან

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა იუვენალურ იუსტიციაში პრინციპის დონეზეა ინკორპორირებული. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-14 მუხლში მოცემულია აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ განმარტებითი ბარათის მიხედვით აღნიშნული კოდექსის მიღების ფუნდამენტური მიზანი არასრულწლოვანთა მიმართ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველესი გათვალისწინებაა.¹⁹⁵ აღნიშნული ინდივიდუალური მიდგომა, მკაფიოდ და ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე, უნდა იკითხებოდეს ნებისმიერ კანონმდებლობაში ინკორპორირებულ ნორმაში, რაც არის სამომავლო გარანტია იმისა, რომ პრაქტიკულადაც ხორცშესხმული იქნება.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი და იუვენალურ იუსტიციაში პრინციპთა პრინციპად მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესები ერთმანეთის გარეშე არ არსებული პრინციპებია. წარმოუდგენელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა, თუ ეს მის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით არ განისაზღვრა. საქართველოს კანონში „ბავშვთა უფლებათა კოდექსში“ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტებისას აღნიშნულია, რომ „ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა მიენიჭოს მის

¹⁹⁵ Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the sale of children, child prostitution and child pornography, Adopted 25 May 2000, BY resolution A/RES/54/263 at the fifty-fourth session of the General Assembly of the United Nations, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/optional-protocol-convention-rights-child-sale-children-child>> (10.07.2023); United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines) Adopted and proclaimed by General Assembly resolution 45/112 of 14 December 1990, <<https://humanrights.gov.au/sites/default/files/Annexure%20F%20-%20Riyadh%20Guidelines.pdf>> (08.07.2023); Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse (CETS No. 201) (Lanzarote Convention), <<https://www.coe.int/en/web/children/lanzarote-convention>> (10.07.2023).

საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად გაითვალისწინება...“¹⁹⁶

ასევე, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა და ბავშვის მოსაზრებები“.¹⁹⁷

ასევე, „ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით“.¹⁹⁸

ბავშვის საუკეთესო ინტერესები განმარტებულია,¹⁹⁹ როგორც: „ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით“.

ბავშვთა მიმართ არსებული საკანონმდებლო აქტების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება არასრულწლოვნის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს და მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განისაზღვრებოდეს, რაც, მთლიანობაში, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპს გულისხმობს.

¹⁹⁶ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, [<ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ \(matsne.gov.ge\)>](https://matsne.gov.ge) (09.07.2023).

¹⁹⁷ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, [<ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ \(matsne.gov.ge\)>](https://matsne.gov.ge) (09.07.2023).

¹⁹⁸ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, [<ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ \(matsne.gov.ge\)>](https://matsne.gov.ge) (09.07.2023).

¹⁹⁹ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, [<ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ \(matsne.gov.ge\)>](https://matsne.gov.ge) (09.07.2023).

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს ახასიათებს ე.წ. „სამსახოვანი ბუნება“ - სუბიექტური, ობიექტური და პროცედურული.²⁰⁰ ობიექტური ბუნება გულისხმობს მისი, როგორც ზოგადი პრინციპის, სახით არსებობას, რაც წითელ ხაზად გასდევს მთელ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. სუბიექტური ბუნების თანახმად, იგი არასრულწლოვანთათვის არსებული, თავისთავადი სუბიექტური უფლებაა. პროცედურული გარანტია კი გულისხმობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მის აუცილებლად გათვალისწინებას.²⁰¹

ამრიგად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა რთული პროცესია, რაც უნდა დადგინდეს მრავალი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხის სიტუაციური ანალიზის შემდგომ. იგი ფაქტების ჯაჭვის გაანალიზებას და ამ გზით, არასრულწლოვნისათვის საუკეთესოთა შორის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის მთავარი არსი კონკრეტულ არასრულწლოვანზე მორგებულ გადაწყვეტილებას გულისხმობს ყველა სიტუაციაში. მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპი, როგორცაა ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში და მისთვის რელევანტური აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, მით უფრო, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაა შერჩეული.²⁰²

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, ფაქტობრივად, გულისხმობს საუკეთესო ინტერესების იდენტიფიცირებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გადასაწყვეტი საკითხი არასრულწლოვნის კეთილდღეობას შეესაბამებოდეს. საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებმა კუმულაციურად უნდა განიხილოს ბავშვის პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილება მოახდენს მის

²⁰⁰ სოფო კილაძე და პაატა ტურავა, *ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები*, (თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2021), 44.

²⁰¹ საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, [„ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ \(matsne.gov.ge\)](https://www.matsne.gov.ge) (09.07.2023).

²⁰² მორის შალიკაშვილი და გივი მიქანაძე, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, 2016), 87.

განვითარებასა და კეთილდღეობაზე. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას.²⁰³

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის განმსაზღვრელ რამდენიმე საკითხს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-14 მუხლი.

ინდივიდუალური მიდგომის ჩამომყალიბებელი გარემოებების განხილვა წარმოდგენას შეგვიქმნის თუ გარემოებებზე უნდა განახვილდეს ყურადღება არასრულწლოვნის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებამდე.

არასრულწლოვნის ასაკი და მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს თანაზომიერი, რაც ნიშნავს მის პროპორციულობას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ჩადენილ ქმედებასთან.²⁰⁴ პროპორციულობის პრინციპის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილება თანაზომიერია, მაშინ როდესაც არათანაზომიერ ტვირთთან არ გვაქვს საქმე.²⁰⁵ აღნიშნული პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლშია მოცემული. თანაზომიერების პრინციპის დაცვა მოითხოვს მისი შემადგენილი ოთხი სტრუქტურული ელემენტის აუცილებლობას, როგორცაა: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.²⁰⁶

ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია, რომ არასრულწლოვნობის ასაკია 14-დან 18 წლამდე და მართლმსაჯულებით სისტემაში „მოხვედრილია“ 14 წლის თუ 16 წლის ბავშვი რადიკალურად განსხვავებულია, რადგან ისინი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე არიან და ამ განსხვავების მათ საკეთილდღეოდ გამოყენების გარეშე თანაზომიერი

²⁰³ ქეროლინ ჰამილტონი, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები* (ნიუ-იორკი: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011), 35.

²⁰⁴ მინდია უგრეხელიძე, „სამართალი, როგორც განზომილებითი სისტემა“, ოთარ გამყრელიძე - 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული (თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016), 28.

²⁰⁵ გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, მზია ლეკვეიშვილი, მაია ივანიძე, თემურ ცქიტიშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, *სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში* (თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016), 502.

²⁰⁶ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი და სანდრო ჯორბენაძე, *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი*, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 24, <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> (09.07.2023).

გადაწყვეტილება ვერ მიიღება. ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „გარდატეხის პერიოდს“, არასრულწლოვნის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს, რადროსაც ხშირია არასრულწლოვანთა მიერ აგრესიის გამოხატვა და ამ ფონზე დევიაციური ქმედებების ჩადენა.²⁰⁷

არასრულწლოვნის განვითარების დონე მის ფსიქიკურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას გულისხმობს. იგი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ არასრულწლოვანს უნდა შეეძლოს ჩადენილი ქმედების გაცნობიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი ვერ იქნება მიღწეული.

არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები უმეტესწილად განსაზღვრავს მათ არაკანონმორჩილ ცხოვრებას, კერძოდ, ბავშვთა საცხოვრებელი გარემო რამდენად შესაბამისია მინიმალურ მოთხოვნებთან, როგორია ოჯახური გარემო, რა ზნეობრივი ნორმებისა და ღირებულებების მქონე გარემოში ცხოვრობს და ასე შემდეგ. არასრულწლოვნის განათლების დონე კავშირშია მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან. განათლება უფრო მეტ სოციალურ პასუხისმგებლობასა და სამოქალაქო შეგნებას აყალიბებს. ამასთან, არასრულწლოვანს აღქმაც და ცნობიერებაც უნდა ჰქონდეს იმის, თუ რა დანაშაული ჩაიდინა.

ასევე, მხედველობაში მისაღები გარემოებებია, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როდესაც მის მიმართ პატიმრობის შეფარდებაზეა მსჯელობა. ამ დროს მთავარი არასრულწლოვნის კეთილდღეობაა და თანაზომიერების პრინციპის დასაცავად უნდა გაირკვეს მისი პატიმრობა უფრო მეტი ზიანის მომტანი ხომ არ იქნება არასრულწლოვნის სამომავლო ცხოვრებისათვის?!

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის კოდექსისეულ განმარტებაში ამომწურავად არაა მოცემული ყველა ის გარემოება, რაც ამ დროს შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, სწორედ ამიტომ დათქმა - „და სხვა გარემოებების“ შესახებ. აღნიშნული შესაძლებელია მოერგოს ყველა არასრულწლოვნის მიმართ არსებულ

²⁰⁷ მორის შალიკაშვილი, *არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები* (თბილისი: 2013), 13, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Ganrideba-morisi.pdf> (09.07.2023).

ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც კონკრეტული გარემოებებით იქნება გამოხატული და ინტერპრეტირების უსაზღვრო დიაპაზონს წარმოაჩენს და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე/პირზე იქნება დამოკიდებული თუ რომელი გარემოებებია მხედველობაში მისაღები.

4.1 ინდივიდუალური შეფასების არსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

2015 წლის 12 ივნისს მიღებულმა საქართველოს კანონმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა“ განსაზღვრა ინოვაციური ინსტიტუტი - ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რეკომენდირებულია აღნიშნული ინსტიტუტი გახდეს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პროცედურების შემადგენელი ნაწილი.²⁰⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 2010 წლის 20 იანვარს გამოცემულ რეკომენდაციაში დააფიქსირა ინდივიდუალური მიდგომის ამსახველი დოკუმეტის ეროვნულ დონეზე არსებობაზე, კერძოდ: „ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, პრობაციის სამსახურებმა შეიძლება მოამზადონ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები იმისთვის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო იძულების ღონისძიებები გამოიყენონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ. ასეთი ინფორმაცია უნდა მომდინარეობდეს პირველწყაროსგან და იგი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იყოს გადამოწმებული“.²⁰⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლში საუბარი შეეხება „არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის“.

²⁰⁸ Directive (EU) 2016/800 of The European Parliament And of the Council of 11 May 2016 on procedural safeguards for children who are suspects or accused persons in criminal proceedings, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800>> (10.07.2023); Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1421925131614&uri=CELEX:32012L0029>> (10.07.2023).

²⁰⁹ Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules (Adopted by the Committee of Ministers on 20 January 2010 at the 1075th meeting of the Ministers' Deputies), <<https://www.cep-probation.org/wp-content/uploads/2018/10/CoE-probation-rules-recommendation.pdf>> (10.07.2023).

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიზანი არის პირის სოციალურ გარემოზე, მის უნარებზე, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღება.

ანგარიშში უნდა აისახოს არასრულწლოვნის საჭიროებები. გადაწყვეტილების მიმღებ პირს მიეწოდება ბავშვის ბიო-ფსიქო-საჭიროებების თაობაზე ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ იგი მტკიცებულებითი ხასიათის დოკუმენტი არაა, იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა, მისი როლი არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებისათვის შეუცვლელია.²¹⁰

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის და შესაბამისად, ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალური ქმედითობისათვის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ფსიქოლოგის დასკვნა, მაშინ, როდესაც იგი არის „ზოგადი, სავარაუდო, თეორიული და სარეკომენდაციო ხასიათის“,²¹¹ არ შეიძლება გადაწყვეტილებას დაედოს საფუძვლად, ვინაიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისთვის მხოლოდ ზოგადი მსჯელობა სპეციალისტის მიერ გაცემულ დასკვნაში, თუ არ მოხდა საკითხის სიღრმისეული შესწავლა, ვერ ასახავს რეალურ სურათს.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა დამოუკიდებელ პირს - სოციალური მუშაკს ევალება, რომელიც სამართალდამცავ უწყებას არ ეკუთვნის და სხვაგვარად აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებზე არ ახდენს აპელირებას. მასში უნდა დაფიქსირდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) არასრულწლოვნის ზოგადი ინფორმაცია;

ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე არასრულწლოვნის დამოკიდებულება;

²¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა, (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020), 31.

²¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-602-570-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 ივლისის განჩინება, საქმე №ას-207-196-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე №ას-1793-2018.

- გ) ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- დ) ემოციური, კოგნიტური განვითარებისა და ქცევითი თავისებურებების თაობაზე;
- ე) განათლების, პროფესიული მომზადების, სპორტული საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების თაობაზე;
- ვ) ოჯახი და საცხოვრებელი გარემო;
- ზ) მისი სოციალური გარემო და ურთიერთობები.

სოციალურმა მუშაკმა მასში უნდა ასახოს არასრულწლოვნის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მისი გამომწვევი მიზეზები, ემოციური მდგომარეობა, მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სურვილი და ა.შ.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის საუკეთესო გამოხატულება, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე კარგად გამოხატავს,²¹² ასევე, აჩვენებს თუ როგორი კომპლექსური საკითხია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ჩამოყალიბების პროცესი.²¹³

4.2 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევები

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სავალდებულო წესით უნდა იქნეს გამოყენებული: 1) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; 2) სასჯელის დანიშვნისას; 3) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; 4) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას; 5) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

²¹² Council of Europe, Promoting Child-friendly approaches in the area of Migration, Standards, Guidance and current practices, (Jouve, Paris: Council of Europe, December 2019), 74-77; <https://edoc.coe.int/en/refugees/8047-promoting-child-friendly-approaches-in-the-area-of-migration-standards-guidance-and-current-practices.html#> (10.07.2023).

²¹³ UNODC, UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME, Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, (New York: UNITED NATIONS, 2013), 70. https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf (08.07.2023).

სავალდებულო შემთხვევების გარდა გათვალისწინებულია მისი მომზადება, როდესაც განრიდების გამოყენების საფუძვლები არსებობს, თუმცა იგი არ გამოიყენება. ასევე, კოდექსი ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს პროკურორს, რომელსაც შეუძლია დადგენილებით მოითხოვს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა, თუ სისხლის სამართლის მიმდინარეობა და ვადები შესაძლებლობას იძლევა.

ამასთან, იგი, შესაძლებელია, ნებისმიერ საკითხთან მიმართებით იქნეს შედგენილი, როდესაც ამის საჭიროება არსებობს. მასში არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსური შესწავლის შემდგომ. ამასთან, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით, განსაზღვრულია გასათვალისწინებლად აუცილებელი დადებითი ფაქტორები:

ინდივიდუალური ფაქტორები - მრავალმხრივ საკითხებს მოიცავს, რაც, მთლიანობაში, ყველაზე კარგად წარმოაჩენს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ, გონებრივ და ემოციურ მდგომარეობას. მაგალითად, აღნიშნულ ფაქტორებში შეიძლება მოვიპოვოთ: განათლება/არაფორმალური განათლება/მუშაობის გამოცდილება, მეგობართა წრე, მათ შორის, დევიაციურ ქმედებებში ჩართულ მოზარდებთან კონტაქტი, შემოქმედებითობა, რელიგიურობა და ა.შ.

ოჯახური ფაქტორები - რაც არასრულწლოვნის კავშირს პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუტთან - ოჯახთან, ყველაზე კარგად წარმოაჩენს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმის თაობაზე, თუ რამდენად არსებობს ოჯახთან არსებული ემოციური კავშირიდან გამომდინარე არასრულწლოვნის მხრიდან დევიაციური ქმედების გაგრძელების საფრთხე.

საზოგადოებრივი ფაქტორები - ვინაიდან არასრულწლოვნები საზოგადოების შემადგენელი წევრები არიან, რომელთა მიერ ყველაზე კარგად აირეკლება საზოგადოების განსავითარებელი სფეროები, მაგალითად, რამდენად ხელმისაწვდომია პროფესიული დახმარების და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიღება, რამდენად აქტიურად და ქმედითად ზრუნავს სკოლა/საგანმანათლებლო დაწესებულება არასრულწლოვნის

კეთილდღეობაზე, არსებობს თუ არა სტაბილური და ჯანსაღი, პოზიტიური ურთიერთობები უფროსებსა და მოზარდებს შორის, რომელნიც არ არიან ოჯახის წევრები, ძლიერი და მხარშიმდგომი საზოგადოების არსებობა, რამდენად სთავაზობს საზოგადოება ახალგაზრდებს სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის საშუალებას.

ამრიგად, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის და მასთან კუმულაციურად არსებული საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ისე კარგად ვერანაირი დოკუმენტით ვერ გაანალიზდება, როგორც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით, რამეთუ, მასში მოცემული საკითხები არასრულწლოვნის ცხოვრებაში არსებულ ყველა იმ ფუნდამენტურ საკითხს ეხება, რაც მისი პიროვნებისა და საქიროებების წარმოჩენისთვის შეუფასებელი დოკუმენტია.

4.3 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და პატიმრობის გამოყენება?

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე მსჯელობისას უნდა გავანალიზოთ კანონის მოცემულობა და შემდეგ განვსაზღვროთ ის პრობლემური საკითხები, რაც არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდებამდე მის მიმართ ინდივიდუალური შეფასების შედგენის თაობაზე იარსებებს. პატიმრობის შეფარდება განსაკუთრებულად მძიმე დაღს ტოვებს არასრულწლოვნის სულიერ განვითარებაზე.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსებობა აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს,²¹⁴ რადგან სხვა დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა მოცემული არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა არ არსებობს და რადგანაც პატიმრობის შეფარდებამდე გამოძიების ორგანოებსა და სასამართლოს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ არასრულწლოვნის საქიროებებზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ლომის წვლილს შეიტანს არასრულწლოვნისათვის საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად.

პატიმრობის შეფარდებამდე შესაძლებელია თუ არა გამოიყენებოდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში? იკითხება კი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა

²¹⁴ Moris Shalikashvili, „The Juvenile Justice Code is two years old“, 9, „South Caucasus Law Journal“, 2018-2019, 175.

მართლმსაჯულების კოდექსის“ 27-ე მუხლის რომელიმე ნაწილში კანონმდებლის მიერ შესაბამისი ორგანოებისათვის ამგვარი დაშვების შესაძლებლობა?!

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 27-ე მუხლის მიხედვით, რიგ შემთხვევებში სავალდებულოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტადია არაა მოხსენიებული.

ამრიგად, მისი სავალდებულოდ გათვალისწინება არ განსაზღვრა კანონმდებელმა. იგივე მუხლით, იგი ფართო დისკრეციას აძლევს პროკურორს და ანიჭებს უფლებას ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მოითხოვოს დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა, თუ ამის საჭიროებას დაინახავს და ამასთან, სისხლის სამართლის სტადია და ვადები ამის შესაძლებლობას მიცემს.

ვადების საკითხი უნდა განვიხილოთ აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/ №95/ №23 ერთობლივი ბრძანების დანართი, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მინიმალური ვადაა 10 დღე, რაც, პროკურორის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს.²¹⁵

თუმცა, ზოგიერთი მას მცირე ვადად მიიჩნევს,²¹⁶ რამეთუ, სოციალური მუშაკის მიერ იგეგმება შეხვედრები არასრულწლოვანთან და მის ოჯახის წევრებთან, მისი ცხოვრებისეული მდგომარეობის მრავალმხრივი ანალიზი ხორციელდება, რაც რთული და შრომატევადი პროცესია; ამასთან, გასათვალისწინებელია სოციალურ მუშაკთა სიმცირეც და მათი გადატვირთული გრაფიკი, რაც დროის ფაქტორს კიდევ უფრო ართულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვადების კუთხით საკითხი პრობლემურია. არასრულწლოვნის ბრალდებულად ცნობამდე, პროკურორი ვერ მიმართვას სოციალური მუშაკს, რათა

²¹⁵ საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/ №95/ №23 ერთობლივი ბრძანება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> (10.07.2023).

²¹⁶ თამარ მახარობლიძე, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, 1, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 2016, 79.

გადაწყვიტოს, რომელი ალკვეთის ღონისძიებაა უფრო შედეგობრივი. ამისთვის ბრალმდებელს აქვს 48 საათი, სასამართლოს კი გადაწყვეტილების მისაღებად - 24 საათი, და ეს მაშინ, როდესაც სოციალური მუშაკის მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მინიმალური ვადაა 10 დღე. გამოდის, რომ ალკვეთის ღონისძიების ვადა გასული იქნება, როდესაც სოციალური მუშაკი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს მოამზადებს, მაშინ, როდესაც გაუთვალისწინებელი არ უნდა დარჩეს ის, რომ პატიმრობის გამოყენებისას ნამდვილად უკიდურესად საჭიროა, კარგად იყოს შესწავლილი არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები.

პატიმრობის გამოყენება ძალიან მძიმე შედეგის გამომწვევია არასრულწლოვნისათვის. სწორედ ამიტომ, უნდა მოხდეს მისი უკიდურეს შემთხვევაში გამოყენება. ალკვეთის ღონისძიების გამოყენების პრევენციულ-უზრუნველყოფი მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილების მიმღები პირი/ორგანო არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას მინიმალური დოზით მაინც უნდა იცნობდეს, რაც დოკუმენტურად უნდა იქნეს მომზადებული დამოუკიდებელი უწყების მიერ და არა უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები სამართალდამცავი ორგანოსა და სასამართლოს მიერ.

4.4 საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება

არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საშუალებით, სისხლის სამართლით გათვალისწინებული შემზღვეველი ღონისძიებების გამოყენება აქტიური განხილვის საგანია. ამ კუთხით მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია 2016 წლის 11 მაისს მიღებულ 2016/800 დირექტივა. იგი განხილულია, როგორც არასრულწლოვანთა პროცედურული გარანტია,²¹⁷ რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფოთა, მათ შორის, საქართველოს, მიერ. აღნიშნულ დირექტივაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის პიროვნული მხარე, მისი ეკონომიკური, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, მათ შორის,

²¹⁷ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

საცხოვრებელი გარემო, ნებისმიერი ის საკითხი, რაც მის საჭიროებებს მაქსიმალური სიზუსტით წარმოაჩენს.²¹⁸

საინტერესოა, რომ დირექტივის თანახმად, ინდივიდუალური შეფასება უნდა განხორციელდეს ყველაზე ადრეულ ეტაპზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რომ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პროკურორმა. თუმცა, შესაძლებელია, გამოტანილ იქნეს ბრალდების შესახებ დადგენილება, როცა ვერ ესწრება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება და ეს მისი საუკეთესო ინტერესებისკენაა მიმართული.²¹⁹

საინტერესოა, დათქმა იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისგან გადახვევა, როდესაც ასეთი გადახვევა გამართლებულია საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ბავშვის მიერ ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობის გათვალისწინებით. თუმცა, ეს გადახვევის საპირწონედ შედეგი, რასაც არასრულწლოვანი მიიღებს, მის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.²²⁰ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა განახორციელოს კვალიფიციურმა პერსონალმა მულტიდისციპლინური მიდგომის გზით.²²¹ მასში ბავშვის ცხოვრების ყველა სფერო უნდა იყოს იმგვარად ასახული, რომ მისი რეალური საჭიროებების გამოკვეთის შესაძლებლობა არსებობდეს, მაქსიმალური დოზით და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა წარმოჩინდეს არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა.

ინდივიდუალური შეფასება ბუნებით არ არის სამართლებრივი ინსტრუმენტი. ეს არის ფსიქო-სოციალური ინსტრუმენტი, რომლებსაც ადგენენ პროფესიონალები სპეციალური მეთოდოლოგიის საშუალებით ბავშვის პიროვნებისა და საჭიროებების შესაფასებლად.²²²

²¹⁸ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

²¹⁹ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

²²⁰ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

²²¹ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

²²² Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 36 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

როგორც კი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში იქცევა სისხლის სამართალში ინსტრუმენტად, ეს ნიშნავს, რომ უკვე მის შინაარსობრივ მხარეზეა სისხლისსამართლებრივად მისაღები გადაწყვეტილება ორიენტირებული.²²³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური შეფასების ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი მიზნები ერთმანეთს შეიძლება არ ემთხვეოდეს.²²⁴ აზრის საილუსტრაციოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, იმდენად მძიმე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პატიმრობაში, რომელიც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა, ხოლო ამ დროს არსებობდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლითაც ჩანს, რომ პატიმრობა არ შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს. ასეთ დროს, ცხადია, სამართლებრივ მიზნებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და განიმარტოს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს მის პატიმრობაში ყოფნას.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ერთგვარი ჰიბრიდული დოკუმენტია, რომელიც ემსახურება, ერთი მხრივ, სოციალური ინტეგრაციის მიზანს და ბავშვის საჭიროებების დაცვას, მეორე მხრივ, კი ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივი მიზნების მიღწევას.²²⁵ ფაქტობრივად, უნდა დავასკვნათ, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით ხორციელდება: 1) ბავშვის საჭიროებების შეფასება კვალიფიციური პროფესიონალების მიერ; 2) სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მონაცემების შეჯამება და მისი „შეფუთვა“ - სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებით.

2016/800 დირექტივა ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური შეფასება უნდა ჩატარდეს საქმის განხილვის ყველაზე ადრეულ ეტაპზე. ეს ნიშნავს, რომ

²²³ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 36 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²²⁴ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 37 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²²⁵ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 39 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

გამომიების პროცესშივე უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური შეფასება, ვიდრე არასრულწლოვნის მიმართ იძულებით პროპორციულ ზომას გამოიყენებდნენ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად დაუყოვნებლივ ხორციელდება იძულებითი ზომების გამოყენება, რომ დროში ვერ ესწრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი დათქმაა ის, რომ შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც კი მოხერხდება დროში, მაშინ მიღებულმა ინდივიდუალურმა შეფასების ანგარიშმა გავლენა მოახდინოს არასრულწლოვნის მიმართ მიღებული იძულებითი ზომის გამოყენებაზე და მისი შეცვლა იყოს შესაძლებელი.²²⁶

ამრიგად, გამოდის, რომ დროის ფაქტორიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი ღონისძიება, თუმცა, ამ ღონისძიების მიღების პარალელურად, დაიწყოს მუშაობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე, რაც ზემოქმედების მომხდენი უნდა იყოს არასრულწლოვნის მიმართ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ეს საკითხი ყველაზე კარგად ესადაგება არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის შეფარდებას, როცა ვადები ინდივიდუალური შეფასების შედგენის შესაძლებლობას არ იძლევა. თუმცა, მოგვიანებით შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში პატიმრობის ძალაში დატოვებისა თუ სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას უნდა ახდენდეს.

დირექტივა აყალიბებს ზოგად წესებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, წევრ სახელმწიფოებს უტოვებს დისკრეციის ფართო ზღვარს, თუ როგორ უნდა განახორციელონ და გამოიყენონ ბავშვების ინდივიდუალური შეფასება მათ ეროვნულ სისტემებში.²²⁷ ამიტომაც, იქ, სადაც არ არსებობს დირექტივით მკაფიოდ მოწესრიგებული საკითხები, უმთავრესი უნდა იყოს საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი, რაშიც ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იგულისხმება.

²²⁶ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

²²⁷ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 49 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

ხორვატიაში იუვენალური იუსტიციის ამოსავალია აღდგენითი მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. სწორედ ამიტომ, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლების შესასწავლად ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ნებისმიერ ეტაპზე - გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.²²⁸ კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსებობას პირდაპირ თუ ირიბად განსაზღვრავს არასრულწლოვანთა სასამართლოების აქტი.²²⁹ ინდივიდუალური შეფასების ჩატარების დებულებები მკვეთრად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ტარდება იგი - გამოძიების ეტაპზე თუ სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილებისას.²³⁰

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ განსაკუთრებული მიდგომები არსებობს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისათვის. პირველ რიგში, საქმის სასამართლოში განხილვამდე, არასრულწლოვნის ფსიქოსოციალური ანგარიშით ფასდება, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქმის არსებითი განხილვა თუ განრიდების გამოყენებაა მიზანშეწონილება? ყველა ის ორგანო და სპეციალისტი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებასთან ერთად, უნდა დარწმუნდეს არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაანალიზებით, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისთვის შესაბამისი ღონისძიებები იგეგმება.²³¹

ხორვატიაში არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური ანგარიშის მიხედვით, რისკები დონეების მიხედვით განისაზღვრება, როგორცაა დაბალი რისკის, საშუალო დონის და მაღალი რისკის, რაზეც დამოკიდებულია არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული

²²⁸ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 181 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²²⁹ The Croatia „Youth Courts Act“ (OG 84/11, 143/12, 148/13, 56/15, 126/19) https://n-lex.europa.eu/n-lex/legis_hr/nn_hr_result (10.07.2023).

²³⁰ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 177 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³¹ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 177-178 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

კანონით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები.²³² აღნიშნული ქვეყნის გამოცდილება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის კუთხით მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი, ფაქტობრივად, ზოგად დებულებას ეყრდნობა, რაც 2016/800 დირექტივასთან შესაბამისია, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა არსებობდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რაც არასრულწლოვნის ცხოვრებასა და საჭიროებებს წარმოაჩენს.

ლატვიაში არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება, 2016/800 დირექტივიდან გამომდინარე, ძალაში შევიდა 2020 წლის პირველი იანვრიდან.²³³ არასრულწლოვანთა მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის ინსტრუმენტი, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა. იგი ბავშვს საშუალებას აძლევს, მისი მოთხოვნები იქნეს გაანალიზებული და მასზე მორგებული სამომავლო გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.²³⁴ მისი მოქმედების ეფექტურობის განხილვისას უთითებენ ექსპერტთა პროფესიონალიზმზე,²³⁵ თუ რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური შეფასების მომზადებისას ყველა იმ საკითხს გაითვალისწინებს ექსპერტი, რაც, რეალურად, სისხლის სამართლის მიზნებთან შეჯერებისთვის მნიშვნელოვანია, რამეთუ არასრულწლოვნის ცხოვრების შესწავლა რთულია და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას ის ძირითადი და გადაწყვეტილების მისაღებად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იქნეს პროფესიონალურად დამუშავებული, რაც მასზე მომუშავე ექსპერტმა დამოუკიდებლად უნდა წარმართოს და განსაზღვროს.

²³² Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 179 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³³ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 97 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³⁴ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 214 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³⁵ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 100 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

საბერძნეთში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ფუნქციონირებს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების სპეციალიზებული ფორმა და რეგულირდება განათლებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპებით.²³⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობა ეფუძნება არასრულწლოვანთა მიმართ ინდივიდუალური მოპყრობის პრინციპს.²³⁷ ყველა, სისხლის სამართლის სფეროში მოხვედრილ, ბავშვს იმგვარად უნდა მოეპყრონ, რომ გაითვალისწინონ მისი პიროვნება, განსაკუთრებული საჭიროებები, მოწყვლადობა და რეალური ოჯახური, სოციალური და ეკონომიკური ფონი. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება ევალეა პრობაციის ოფიცრებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ არასრულწლოვანთა ცხოვრების წესი როგორც ბავშვისგან, ასევე, მისი ოჯახის წევრების, ნათესავების თუ მასწავლებლებისგან ინფორმაციების მოძიების გზით,²³⁸ რაც დეტალურად უნდა იქნეს ასახული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში, რასაც უნდა დაეყრდნონ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებამდე.

საბერძნეთში ინდივიდუალური შეფასების ანგარიში გამოიყენება: 1) განრიდების დაწყების გადასაწყვეტად; 2) დანაშაულის გამოძიების ეტაპზე; 3) არსებითი განხილვის შემაჯებელ სხდომაზე - სასჯელის დანიშვნამდე.²³⁹ საინტერესოა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე მიმდინარე გამოძიებისას, შესაძლებელია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით იყოს გადაწყვეტილი არასრულწლოვნის

²³⁶ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 116 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³⁷ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 132 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³⁸ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 132 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

²³⁹ Ruta Vaiciuniene, Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800, (Vilnius: 2020), 137 <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

მიმართ რომელი სახის აღკვეთის ღონისძიება იქნეს გამოყენებული. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად გონივრული იქნება მის მიმართ პატიმრობის შეფარდება.

დასკვნა

ამრიგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების როლი განსაკუთრებულია და მათი ფუნდამენტური გაანალიზებით უნდა განიმარტოს ყოველი საკანონმდებლო ნორმა და შედეგობრივად, არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა ერთგვარი სარკეა, რომელშიც უნდა აირეკლოს ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები.

აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის - პატიმრობის გამოყენებისას, ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით, უნდა განისაზღვროს, პატიმრობა იქნება თუ არა არასრულწლოვნისათვის საუკეთესო, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების მიზნების მიღწევასთან ერთად, იგი არასრულწლოვნისთვის რეალური რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ხელშემწყობი უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებთან ერთად, მისი ე.წ. „ტყუპი“ პრინციპის - თანაზომიერების პრინციპის როლიც უმნიშვნელოვანესია. თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპით, უნდა დადგინდეს, რომ ბალანსი ჩადენილ ქმედებასთან ერთად არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლების მხედველობაში მიღებით დაცულია მისთვის შერჩეულ უკიდურეს აღკვეთის ღონისძიებასთან - პატიმრობასთან მიმართებით. თანაზომიერების პრინციპი, ერთგვარად, სამართლიანობის საზომია იუვენალურ იუსტიციაში.

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება პრინციპის სახით აყალიბებს პატიმრობის, როგორც უკიდურესი საშუალების, გამოყენებას და ამით, ერთი მხრივ, კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოჰყავს და მეორე მხრივ, ხაზს უსვამს პატიმრობის უკიდურესი გამოყენების მნიშვნელობაზე.

პატიმრობაზე, როგორც ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებაზე, უთითებს როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ასევე, პრაქტიკაც. თუმცა, იუვენალური იუსტიციის მართლმსაჯულებაში ამგვარი ჩანაწერის პრინციპის დონეზე

გატარება თეთრით შავზე უთითებს მისი მაღალ დონეზე პრაქტიკულად გამოყენების აუცილებლობაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მოცემული პრინციპები, ყველა ცალ-ცალკე და ერთიანობაში, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოყენებას. პრინციპები სწორედ ის ნორმებია, რომლებიც ყოველთვის არსობრივად წარმოაჩენს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკითხებს და გვიჩვენებს საკანონმდებლო ხარვეზთა გადაჭრის გზებს.

სწორედ, ამიტომაც იუვენალური იუსტიციის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა განუზომელი არასრულწლოვანთა პატიმრობის კუთხით კანონმდებლობის დასახვეწად.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის კუმულაციურად უნდა არსებობდეს ფაქტობრივი ანუ მტკიცებულებითი და ფორმალური ანუ საპროცესო საფუძვლები. მტკიცებულებითი საფუძვლების მითითებისას, აუცილებელია, მტკიცებულებები იყოს არა მხოლოდ ჩამონათვალის სახით მოცემული, არამედ განხორციელდეს, ასევე, მათი ლაკონური სახით გაშინაარსება, რაც უფრო მეტად გამოკვეთს ბრალად წარდგენილ დანაშაულებრივ ქმედებას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის დასაბუთებისათვის, არსებობს სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული რიგი გარემოებები, რომელთა დროსაც, საქმეში არსებული ფაქტობრივ და სხვა გარემოებებთან ერთად, მისი დასაბუთება რელევანტურია. კერძოდ, ესაა სასჯელის სიმძიმე.

იგი თავისთავადი საფუძველი არაა პატიმრობის გამოყენების. სხვა გარემოებებთან ერთიანობაში უნდა შეფასდეს ბრალდებულის მიმალვის საფრთხის საშიშროება. ასევე, მისი საცხოვრებელი გარემო ხშირად განაპირობებს მიმალვის საფრთხის დასაბუთებას, კერძოდ, როდესაც ბრალდებულს აქვს საზღვარგარეთ კავშირები, საცხოვრებელი ადგილი, საქართველოში არ აქვს სამუშაო და ა.შ.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და განადგურების საფრთხის დასაბუთებისათვის რელევანტურია გამოძიების მიმდინარეობისას მოსაპოვებელ მტკიცებულებათა

მდგომარეობა, რაც, გარკვეულწილად, წარმოდგენას ქმნის, ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მტკიცებულებების მოპოვებას ან/და განადგურებას საფრთხე შეექმნება თუ არა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე მსჯელობისას ყველაზე ხშირად გამოიყენება დანაშაულის ბუნებაზე და ხასიათზე მსჯელობა, ვინაიდან, ბრალდებულის წარსული, მისი დანაშაულებრივი ისტორია, მის მიერ დროის მცირე მონაკვეთში ანალოგიური ხასიათის დანაშაულების ჩადენა მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს ზრდის. ასევე, არსებობს რიგი კატეგორია დანაშაულებისა, რომლებიც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე უთითებს.

აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და მტკიცებულებითი საფუძვლების დასაბუთების შემდეგ, მნიშვნელოვანია მისი მიზანშეწონილობის დასაბუთება, მსჯელობა, თუ რატომაა პატიმრობის გამოყენება აუცილებელი და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით პრევენციულ-უზრუნველმყოფი მიზნები რატომ ვერ იქნება მიღწეული. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთებისას გამოყენებული არ იქნეს საპირისპირო ტაქტიკის ანუ გამორიცხვის მეთოდი. პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა და შესაბამისად, მისი გამოყენების მოთხოვნისას, ბრალდების მხარე უნდა იყოს კატეგორიული, ხოლო დასაბუთება - მისი გამოყენების აუცილებლობაზე აგებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პრინციპის დონეზეა გაწერილი მისი გონივრულ ვადებში გადასინჯვის აუცილებლობა. ამ დროს ახალი, არსებითი ხასიათის მტკიცებულება უნდა არსებობდეს, რაც გამოიწვევდა მის შეცვლას სხვა, უფრო ნაკლებად მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით. ამისათვის ახალი არსებითი გარემოება უნდა არსებობდეს.

თუ რაა „ახალი“ და თან „არსებითი“ ხასიათის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშია გადასაწყვეტი და მისი განმარტების ერთიანი ფორმულა არ არსებობს. მთავარია, რომ იგი აღკვეთის ღონისძიების ფორმალურ საფუძვლებზე ახდენდეს გავლენას და ამ გზით ამცირებდეს საფრთხეების არსებობას.

უახლესი ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების ხარისხი გაუმჯობესებულია. დიდი ყურადღება ეთმობა ფორმალური საფუძვლების კონკრეტული გარემოებების მიხედვით დასაბუთებას. ამასთან, იშვიათია გადაწყვეტილება, სადაც მითითებული არაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია ეროვნული სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მითითება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კანონითა და კონვენციით გათვალისწინებული ანალოგიური შინაარსის ნორმების საფუძველზე, ამ დროს კიდევაც რომ არ გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, მისი გადაწყვეტილება არ იქნება იმ გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული, რასაც მაშინ მიიღებდა, როდესაც გამოიყენებდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

მარტივად, რომ ითქვას, თუ მხოლოდ კანონის გამოყენებისას მიღებული გადაწყვეტილება იგივეა, რაც მაშინ, თუ სასამართლო კანონსა და კონვენციას ერთად გამოიყენებდა, მაშინ კონვენციის გამოყენების ფუნქცია რეალურად მეორეხარისხოვანი როლისაა. ამ დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია.

იგი გადაწყვეტილებას სძენს ავტორიტეტულობას და ადასტურებს, რომ დაფუძნებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტზე, ისე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე. ამასთან, თუ მიეთითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მაქსიმალურად იდენტური ფაქტობრივი გარემოებები უნდა არსებობდეს და აბსტრაქტულად მითითება არაა მიზანშეწონილი. ამგვარად, დასაბუთების ხარისხი კი არ იზრდება, არამედ მჟღავნდება მხოლოდ ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული პრაქტიკის არასწორი გამოყენება ხდება, რაც განვითარების და მუდმივი დახვეწის გზაზე მყოფი ეროვნული სასამართლო პრაქტიკისთვის მიუღებელია.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა საპატიმრო გირაოს არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენების საკითხს და შედეგობრივად მისი გამოყენების დაუშვებლობა არგუმენტირებულია პრინციპების გაანალიზებით. აღკვეთის ღონისძიების სახედ არსებული ე.წ. საპატიმრო გირაო შედეგობრივად ანალოგიურად მოქმედებს ბრალდებულზე, როგორც პატიმრობა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო კონსტრუქციისა და შემდგომ პრაქტიკაში გამოყენების განხილვა. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების შემდგომ მოხდა კანონმდებლის რეალური ნების აღსრულება. უფრო კონკრეტულად, დაკავება, რაც იყო წინაპირობა და რის შემდგომაც მოსამართლე „იძულებული“ იყო, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ საპატიმრო გირაო გამოეყენებინა, დაკორექტირდა და მოსამართლე თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენებს ამ სახეს.

აუცილებლობის შემთხვევაში ბრალდებულს, რომლის მიმართაც საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავებაა გამოყენებული, შეუფარდებს საპატიმრო გირაოს ან შეუფარდებს გირაოს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებს.

საინტერესოა, თუ რა მდგომარეობა იყო და არის არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენების კუთხით. საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ საპატიმრო გირაოს გამოყენებაზე მითითება არაა. ამასთან, კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისათვის შეღავათს ითვალისწინებს.

კოდექსში მოცემული პრინციპების ერთობლივი გაანალიზება პასუხს სცემს კითხვაზე, შეიძლება თუ არა იუვენალურ იუსტიციაში საპატიმრო გირაოს დასაშვებობაზე საუბარი.

შესაბამისად, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ინკორპორირებული არაა საპატიმრო გირაო, იგი არც არსებობს. იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპთა ანალიზის შედეგად არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება უნდა იქნეს დაუშვებელი, ვინაიდან ეს არაა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისკენ მიმართული. შესაბამისად, გირაოს სახელით შეფარდებული თანხის

გადახდამდე განგრძობადი პატიმრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ვერ შეფასდება სამართლებრივად სწორად.

სამართლებრივი ნორმის პრაქტიკული განმარტება სრულად მიესადაგება ზემოთ განვითარებულ მსჯელობას. მისასალმებელია, რომ დღეის მდგომარეობით, პრაქტიკაში არ მოიძებნება არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შერჩეული იქნა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. თუმცა, გასულ წლებში, არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენება ხდებოდა, რაც, დღეს არსებული მიდგომით, დაგმობილია.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპზე, რაც გაანალიზებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ინსტიტუტისა და მისი პატიმრობის გამოყენებამდე მხედველობაში მისაღები საკითხის რაობაზე.

ინდივიდუალური მიდგომა მკაფიოდ და ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე უნდა იკითხებოდეს ნებისმიერ კანონმდებლობაში ინკორპორირებულ ნორმაში, რაც არის სამომავლო გარანტია იმისა, რომ პრაქტიკულადაც ხორცშესხმული იქნება.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი და იუვენალურ იუსტიციაში პრინციპთა პრინციპად მიჩნეული - ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ერთმანეთის გარეშე არარსებული პრინციპებია. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, ფაქტობრივად, გულისხმობს საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირებას. საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპი არის უმთავრესი გზა იმისათვის, რომ გადასაწყვეტი საკითხი არასრულწლოვნის კეთილდღეობას შეესაბამებოდეს.

ინდივიდუალური მიდგომის ამსახველი ინოვაციური დოკუმენტია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლის მიზანია, მოსამართლეს მიეწოდოს ინფორმაცია ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების შესახებ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის და შესაბამისად, ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალური ქმედითობისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნები.

ნაშრომში მსჯელობა იმ კუთხითაა განვითარებული, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს ალკვეთის ღონისძიების სხდომაზე არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტამდე. რადგან სხვა დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა მოცემული არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა არ არსებობს და რადგანაც პატიმრობის შეფარდებამდე საგამომიებო ორგანოებსა და სასამართლოს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ არასრულწლოვნის საჭიროებებზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ლომის წვლილს შეიტანს არასრულწლოვნისათვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ალკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზე სავალდებულოდ არაა განსაზღვრული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება.

საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად თავსებადია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება ალკვეთის ღონისძიების სტადიაზე და რამდენად მოხერხებადია მისი შედგენა სოციალური მუშაკის მიერ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ალკვეთის ღონისძიების ვადები. უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი გამოწვევა - ვადებია, რადგან სანამ არასრულწლოვანი პირი ცნობილი არ იქნება ბრალდებულად, მანამდე სოციალური მუშაკისადმი მიმართვას პროკურორი ვერ განახორციელებს დისკრეციის ფარგლებში, რომ გადაწყვიტოს, თუ რომელი ღონისძიება იქნება უფრო შედეგობრივი.

ამისთვის ბრალმდებელს აქვს 48 საათი, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად - 24 საათი. სოციალური მუშაკის მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მინიმალური ვადაა 10 დღე. ალკვეთის ღონისძიების ვადა გასული იქნება, როდესაც სოციალური მუშაკი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს მოამზადებს, მაშინ, როდესაც გათვალისწინების გარეშე არ უნდა დარჩეს ის, რომ პატიმრობის გამოყენებისას ნამდვილად უკიდურესად საჭიროა, კარგად იყოს შესწავლილი ინდივიდუალური მახასიათებლები.

ამრიგად, დროის ნაკლებობის გამო სრული სახით, მართალია, ვერ მოხერხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენა, მაგრამ აუცილებელია ამგვარი დოკუმენტის საქმეში არსებობა გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლითაც, თუნდაც

მცირე, მაგრამ აუცილებლად მხედველობაში მისაღები გარემოებები, იქნება პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტამდე.

საერთაშორისო დირექტივების გათვალისწინებით, ინდივიდუალური შეფასება უნდა განხორციელდეს ყველაზე ადრეულ ეტაპზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რომ მის საფუძველზე პროკურორმა მიიღოს გადაწყვეტილება. თუმცა, შესაძლებელია, გამოტანილ იქნეს ბრალდების შესახებ დადგენილება, როცა ვერ ესწრება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება და ეს მისი საუკეთესო ინტერესებისკენაა მიმართული.

ინდივიდუალური შეფასება არ არის ბუნებით სამართლებრივი ინსტრუმენტი. ესაა ფსიქო-სოციალური ინსტრუმენტი, თუმცა, მისი არსებობა სისხლის სამართლის საქმეში გულისხმობს, რომ ის იქცევა სისხლის სამართალში ინსტრუმენტად და უკვე მის შინაარსობრივ მხარეზეა სისხლის სამართლებრივად მისაღები გადაწყვეტილება ორიენტირებული.

შესაბამისად, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე იარსებებს გარკვეული ინფორმაციის შემცველი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და მის რეალურ საჭიროებებს დღის სინათლეზე გამოიტანს.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა:

აქუბარდია, ირინა, რევაზ გოგშელიძე, ლალი ფაფიაშვილი და ნინო გოგნიაშვილი, *სისხლის სამართლის პროცესი* (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები). თბილისი: სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2009.

ბობოხიძე, მარიამ, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები“, დისერტაცია, საქართველოს უნივერსიტეტი, 2020; <<https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf>> (09.07.2023).

ბოჭორიშვილი, თამარ და ბექა თაკალანძე, *აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები*. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020.

ბურდული, ირაკლი, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი და სანდრო ჯორბენაძე, *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი*. თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013, <[http://www.library.court.ge/upload/Constitution Commentary Human Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution%20Commentary%20Human%20Rights.pdf)> (09.07.2023);

გაბისონია, იური. *აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში*. თბილისი: მერიდიანი, 2003.

გიორგაძე, გიორგი, რედ. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015.

გულიაშვილი, სალომე, „ასაკი, როგორც მინიმალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი)“. სამართალი და მსოფლიო. 24 (2022).

გულიაშვილი, სალომე, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის როლი არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნამდე მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისათვის“. სამართალი და მსოფლიო. 21 (2022).

გულიაშვილი, სალომე, „პრინციპი, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის საშუალება (იუვენალური იუსტიციის მაგალითზე)“. სამართალი და მსოფლიო. 19 (2021).

გულიაშვილი, სალომე, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის საქართველოს კონსტიტუციაში ინკორპორირების მიზანშეწონილობა“. სამართლის მაცნე. (5) 7 (2022).

გულიაშვილი, სალომე, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში - არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებამდე გამოსაყენებელი კანონით გათვალისწინებული ღონისძიება?!“ სეუ და მეცნიერება, საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის მოხსენებათა კრებული.თბილისი, 2021.

გულიაშვილი, სალომე, „საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“. თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები. 2021.

ვარძელაშვილი, იოსებ, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1 (2017).

ზოიძე, ბესარიონ, *საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში*. თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007.

თუმანიშვილი, გიორგი, ბაჩანა ჯიშკარიანი და ედვარდ შრამი, *ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალზე*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019.

იზორია, ლევან, „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002.

იმერლიშვილი, ირინე, *არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა*. ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში. თბილისი: 2017.

კვაჭაძე, მარინე, რედ. *აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში*. თბილისი: მერიდიანი. 2019.

კილაძე, სოფო და პაატა ტურავა, *ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები*. თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2021.

კორკელია, კონსტანტინე, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი, 2002.

კორკელია, კონსტანტინე, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში*. თბილისი. შპს „პეტიტი“, 2003.

ლაცაბიძე, გიორგი, „პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების, თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში“. სამართალი და მსოფლიო. №10 (2018).

მახაროზლიძე, თამარ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, 1, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2016.

მუთჰორსტი, ოლაფ, *სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი - ცნება - სისტემა*. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019.

მჭედლიძე, ნანა, *საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები*. თბილისი: ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი, 2017 წლის იანვარი.

ნაჭყებია, გურამ, ნონა თოდუა, მზია ლეკვეიშვილი, მათა ივანიძე, თემურ ცქიტიშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, *სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.

ნაჭყებია, გურამ, „სამართლის ნორმაშეფარდებისა და მისი მეთოდების პრობლემა“, სამართალი და მსოფლიო, №4, 2016.

ნაჭყებია, გურამ, ნონა თოდუა, გიორგი ტყემელიაძე და მზია ლეკვეიშვილი, *სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2016.

ნიპარიშვილი, ბადრი, „პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება“. მართლმსაჯულება და კანონი, 2(50). 2016.

რადბრუხი, გუსტავ, „სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი“. სამართლის ჟურნალი, 1-2 (3-4), 2012.

ტურავა, მერაბ, *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*. თბილისი: მერიდიანი, მეცხრე გადამუშავებული გამოცემა, 2013.

უგრეხელიძე, მინდია, „სამართალი, როგორც განზომილებითი სისტემა“, ოთარ გამყრელიძე - 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.

ფაფიაშვილი, ლალი, „დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში“, რედ. კონსტანტინე კორკელია, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი, 2010.

ქვრივიშვილი, თათია, „არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1 (2017).

ქუთათელაძე, მარი, „განრიდება, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით“. მართლმსაჯულება და კანონი, № 4(52) (2016).

შალიკაშვილი, მორის, გივი მიქანაძე და მაია ხასია, *სასჯელაღსრულების სამართალი*. თბილისი: მერიდიანი, 2014.

შალიკაშვილი, მორის და გივი მიქანაძე, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება*. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: გამომცემლობა მერიდიანი, მეორე გამოცემა, 2016.

შალიკაშვილი, მორის, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი: 2013. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Ganrideba-morisi.pdf> (09.07.2023).

შეყილაძე, ხატია, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“. სამართლის ჟურნალი, №2 (2016).

ჯორბენაძე, ომარ, „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“. მართლმსაჯულება და კანონი. 1'18 (2018).

ციპელიუსი, რაინჰოლდ, *იურიდიული მეთოდების მოძღვრება*. მიუნხენი: ბეკის გამომცემლობა, მეათე გადამუშავებული გამოცემა, 2006.

ჰამილტონი, ქეროლინ, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები*. ნიუ-იორკი: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, *გურამ ნაჭყებია -75, საიუბილეო კრებული*. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2016.

კონსტიტუციის 42-ე მუხლი, *საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები და პროცედურები*. თბილისი: გამომცემლობა კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2008.

ევროპის საბჭო, *ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო*. მთარგმნ. ლაშა ლუსმანაშვილი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.

Bork, H. Robert, „Neutral Principles and some First amendment Problems“, Indiana Law Journal, 47 (1), (Fall 1971), <<https://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=2720&context=ilj>> (09.07.2023).

Berger, Raoul, „A Response to D.A.J. Richards' Defense of Freewheeling Constitutional Adjudication“, Indiana Law Journal, 59 (3), (Summer 1984) <<https://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2204&context=ilj>> (09.07.2023).

Emelonye, Uchenna, „Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria“, Doctoral Thesis, Faculty of Law University of Helsinki, 2014, <<https://helda.helsinki.fi/server/api/core/bitstreams/74d412f0-12ae-45dd-9136-7587202cdc8d/content>> (08.07.2023).

Falch-Eriksen, Asgeir and Backe-Hansen, Elisabeth, Human Rights In Child Protection, Implications for professional practice and Policy. Oslo: Macmillan, 2018.

Klatt, Matthias „Proportionality and Justification“, Constitutionalism justified: Rainer Forst in discourse, Oxford University Press 2019. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3518502> (08.07.2023).

Shalikashvili, Moris, „The Juvenile Justice Code is two years old“, 9, „South Caucasus Law Journal“, 2018-2019.

Vaiciuniene, Ruta, *Individual assessment of suspected or accused children: insights into good practice in the light of the directive (EU) 2016/800*, Vilnius: 2020, <<https://teise.org/wp-content/uploads/2021/06/Handbook-Layout-WEB.pdf>> (10.07.2023).

Lecture by Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights Council of Europe. „The principle of the best interests of the child – What it means and what it demands from adults“. CommDH/Speech (2008) 10, Strasbourg, 30 May 2008, <<https://rm.coe.int/16806da95d>> (08.07.2023).

European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *Report on the protection of children's Rights*. Venice: Council of European, 2014.

Council of Europe, *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice*. Council Europe of Publishing, 2011.

Council of Europe, Promoting Child-friendly approaches in the area of Migration, Standards, Guidance and current practices, (Jouve, Paris: Council of Europe, December 2019), <<https://edoc.coe.int/en/refugees/8047-promoting-child-friendly-approaches-in-the-area-of-migration-standards-guidance-and-current-practices.html#>> (10.07.2023).

European Court of Human Rights, *Guide on article 5 of the European Convention on Human Rights, right to liberty and security*. Council of Europe: 2022. <https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf> (10.07.2023).

Council Of Europe, Parliamentary Assembly, 2077(2015), *Abuse of pretrial detention in States Parties to the European Convention on Human Rights*, 01/10/2015, <http://www.europeanrights.eu/public/atti/2077-riso-ingl_PDF.pdf> (10.07.2023).

Home office, detentions: general instructions, (Published for Home Office staff on 14 January 2022), <https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/1114683/Detention_General_instructions.pdf> (10.07.2023).

Unodc, United Nations Office On Drugs and Crime, *Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law Model Law on Juvenile Justice and Related Commentary*, New York: United Nations, 2013, <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf> (08.07.2023).

Office of Legal Policy, *Original meaning jurisprudence: a sourcebook*. U.S.A. Washington: Office Of The Attorney General, 1987, <<https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/original-meaning-jurisprudence-sourcebook>> (09.07.2023).

UNICEF, *Implementation Handbook For The Convention On The Rights Of The Child*. Geneva: United Nations, 2007, <<https://www.unicef.org/lac/media/22071/file/Implementation%20Handbook%20for%20the%20CRC.pdf>> (09.07.2023).

Council Of Europe, *Handbook on European law relating to the rights of the child*, European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_rights_child_ENG> (09.07.2023).

Office of legislative counsel, *Principles of legislative drafting, A guide to legislation and legislative process in British Columbia*. Ministry Of Justice Province Of British Columbia, 2013. <https://www.crownpub.bc.ca/Content/documents/2-DraftingPrinciples_August2013.pdf> (09.07.2023).

American Bar Association, *Handbook of international standards on pretrial detention procedure*, 2010, <https://www.ilsa.org/Jessup/Jessup16/Batch%201/handbook_of_international_standards_on_pretrial_detention_procedure_2010_eng.authcheckdam.pdf> (09.07.2023)

ანგარიშები, რეკომენდაციები და კომენტარები:

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო*. თბილისი: 2015.

საქართველოს სახალხო დამცველი, *სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა*, თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020.

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე, <<https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf>> (09.07.2023).

General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para.1) <https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc_c_gc_14_eng.pdf> (09.07.2023).

CCPR/C/GC/35, General Comment No35_ Article 9 (Liberty and Security of Person) UNHCR, 28/10/2014, <<https://www.refworld.org/docid/553e0f984.html>> (10.07.2023).

Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, <[https://www.barobirlik.org.tr/dosyalar/duyurular/hsykkanteklifi/recR\(80\)11e%20De%C4%9Fi%C5%9Ftirilmi%C5%9F%20rec\(2006\)13.pdf](https://www.barobirlik.org.tr/dosyalar/duyurular/hsykkanteklifi/recR(80)11e%20De%C4%9Fi%C5%9Ftirilmi%C5%9F%20rec(2006)13.pdf)> (10.07.2023).

General comment No. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, <https://www.right-to-education.org/sites/right-to-education.org/files/resource-attachments/CRC_General_Comment_10.pdf> (10.07.2023).

Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member states on the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures, <<https://www.refworld.org/docid/4a7058c02.html>> (10.07.2023).

საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში, 2023, <<https://pog.gov.ge/uploads/b1e8eb81-arasrulwlovanTamarTlmsajulebis-shedegebis-angarishi.pdf?fbclid=IwAR0eIosebleZjNxZbyMk2oR0fDhV3fvTu0v1dJPHtPtXzpg1Ah6ukkwE9lk>> (06.09.2023).

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია <[საქართველოს კონსტიტუცია | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> (09.07.2023).

საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> (08.07.2023).

საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, <[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, <[საერთო სასამართლოების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, <[ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge)> (09.07.2023).

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/ №95/ №23 ერთობლივი ბრძანება, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0>> (10.07.2023).

Geneva Declaration of the Rights of the Child, League of Nations (LON), 1924, <<https://www.humanium.org/en/geneva-declaration/>> (08.07.2023).

Universal Declaration of Human Rights, United Nations Department of Public Information, NY, 1948, <<https://www.ohchr.org/en/human-rights/universal-declaration/translations/english>> (08.07.2023).

International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, General Assembly resolution 2200A (XXI), 16 December 1966, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights>> (08.07.2023).

United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), General Assembly A/RES/40/33, 29 November 1985, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>> (08.07.2023).

United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines) Adopted and proclaimed by General Assembly resolution 45/112 of 14 December 1990, <<https://humanrights.gov.au/sites/default/files/Annexure%20F%20-%20Riyadh%20Guidelines.pdf>> (08.07.2023).

UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child>> (08.07.2023).

United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile>>

Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.11.1950. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Convention_ENG> (10.07.2023).

Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse (CETS No. 201) (Lanzarote Convention), <<https://www.coe.int/en/web/children/lanzarote-convention>> (10.07.2023).

The German „Youth Courts Act“, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_jgg/> (10.07.2023).

The German Code of Criminal Procedure, <<https://policehumanrightsresources.org/content/uploads/2016/08/Criminal-Procedure-Code-Germany-1987.pdf?x49094>> (10.07.2023).

The Croatia „Juvenile Courts Act“, <https://www.vsrh.hr/custompages/static/hrv/files/legislation_juvenile-courts-act.pdf> (10.07.2023).

Criminal Procedure Act of Republic of Croatia, <https://www.vsrh.hr/CustomPages/Static/HRV/Files/Legislation_Criminal-Procedure-Act.pdf> (10.07.2023).

The Croatia „Youth Courts Act“ (OG 84/11, 143/12, 148/13, 56/15, 126/19) <https://n-lex.europa.eu/n-lex/legis_hr/nn_hr_result> (10.07.2023).

Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800&rid=1>> (10.07.2023).

Directive (EU) 2016/800 of The European Parliament And of the Council of 11 May 2016 on procedural safeguards for children who are suspects or accused persons in criminal proceedings, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016L0800>> (10.07.2023).

Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1421925131614&uri=CELEX:32012L0029>> (10.07.2023).

Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules (Adopted by the Committee of Ministers on 20 January 2010 at the 1075th meeting of the Ministers' Deputies), <<https://www.cep-probation.org/wp-content/uploads/2018/10/CoE-probation-rules-recommendation.pdf>>(10.07.2023).

Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the sale of children, child prostitution and child pornography, Adopted 25 May 2000, BY resolution A/RES/54/263 at the fifty-fourth session of the General Assembly of the United Nations, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/optional-protocol-convention-rights-child-sale-children-child>> (10.07.2023).

Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member states on the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures, <<https://www.refworld.org/docid/4a7058c02.html>> (09.07.2023).

United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty, Adopted by General Assembly resolution 45/113 of 14 December 1990, <<http://ork.lu/index.php/en/rights-of-the-child/international-acts/731-1990-united-nations-rules-for-the-protection-of-juveniles-deprived-of-their-liberty>> (09.07.2023).

General comment No. 10 (2007): Children's Rights in Juvenile Justice, CRC/C/GC/10, <<https://www.refworld.org/docid/4670fca12.html>> (08.07.2023).

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება №1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341,1660 საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საერთო სასამართლოები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/181–16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენი, საქმე №1/144–16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №1/571–16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/313–160.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1985-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/2000.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 აპრილის განჩინება, საქმე №10ა/1779.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3899-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განჩინება, საქმე №10ა/5076.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე №10ა/269.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ივლისის განჩინება, საქმე №10ა/3929.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 დეკემბრის განჩინება, საქმე 10/ა- 19/18.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №1გ/924-23.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის განჩინება, საქმე №1გ/294.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №1გ/1516.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №1გ/924-23.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის განჩინება, საქმე №1გ/98.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №1გ/1516.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-602-570-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 ივლისის განჩინება, საქმე №ას-207-196-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე №ას-1793-2018.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო:

ECtCH. Case of N.Ts. and others v. Georgia (Application no. 71776/12), 2 February 2016.

ECtCH. Case of D.L. v. Bulgaria (Application no. 7472/14), 19 May 2016.

ECtCH. Case Of Fox, Campbell and Hartley v. UK (Application nos. 12244/86 and 12383/86), 8 February 1990.

ECtCH. Case Of Yagci and Sargin v. Turkey (Application nos. 16419/90 and 16426/90), 8 June 1995.

ECtHR, Case of S., V. and A. v. Denmark (Application nos. NN35553/12, 36678/12 and 36711/12), 22 October 2018.

ECtHR, Case of D.L. v. Bulgaria (Application no. N7472/14), 19 May 2016.

ECtHR, Case of Blokhin v. Russia (Application no. N47152/06), 23 March 2016.

EctHR, Case Of Patsuria v. Georgia (Application no. №30779/04), 6 November 2007.

ECtHR, Case of Letellier v. France (Series A no. №207), 26 June 1991.

ECtHR, Case of Panchenko v. Russia (Application no. №45100/98), 8 February 2005.

ECtHR, Case of Becciev v. Moldova (Application no. №9190/03), 4 October 2005.

ECtHR, Case of Ilijkov v. Bulgaria (Application no. №33977/96), 26 July 2001.

ECtHR, Case of Idalov v. Russia (Application no. №5826/03), 22 June 2021.

ECtHR, Case of Aleksandr Makarov v. Russia (Application no. №15217/07), 12 March 2009.

ECtHR, Case of Sulaoja v. Estonia (Application no. №55939/00), 15 February 2005.

ECtHR, Case of Chraid v. Germany (Application no. № 65655/01), 26 October 2006.

ECtHR, Case of Merabishvili v. Georgia (Application no. №72508/13), 14 June 2016.

ECtHR, Case of Clooth v. Belgium (Application no. №12718/87), 12 December 1991.

ECtHR, Case of Neumeister v. Austria (Application no. №1936/63), 27 June 1968.

ECtHR, Case of Dereci v. Turkey (Application no. №77845/01), 24 May 2005.

ECtHR, Case of Mikiashvili v. Georgia (Application no. №18996/06), 9 October 2012.

ECtHR, Case of Nart v. Turkey (Application no. №20817/04), 6 June 2008, §28.

ECtHR, Case of Podeschi v. San Marino, (Application no. №66357/14), 13 April 2017.

ECHR, Ilijkov v. Bulgaria (Application No. 33977/96), 20 October 1997.

ECtHR, Case of Roche v. United Kingdom, (Application no. №32555/96), 19 October 2005.

ECtHR, Case of Suominen v. Finland, (Application no. №37801/97), 1 July 2003.

ECtHR, Case of Tatishvili v. Russia, (Application no. №1509/02), 9 July 2007.

ECtHR. Case Of Ireland v. The United Kingdom (Application no. №5310/71), 20 March 2018.

ECtHR. Case of A. And Others v. United Kingdom, (Application no. №3455/05), 19 February 2009.

ECtHR. Case of Smirnova v. Russia, (Application nos. №46133/99 and №48183/99), 24 July 2003.

ECtHR. Case of Dubinskiy v. Russia, (Application no. №48929/08), 3 July 2014.

ECtHR. Case of Toshev v. Bulgaria, (Application no. №56308/00), 10 August 2006.

ECtHR. Case of Iwanczuk v. Poland, (Application no. N°25196/94), 15 February 2002.

ECtHR. Case of Gafa v. Malta, (Application no. N°54335/14), 08 October 2018.

ECtHR. Case of Kolakovic v. Malta, (Application no. N°76392/12), 19 June 2015.